

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

მანანა ხიდაშელი

**ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების
ისტორიისათვის ანტიკურ
საქართველოში**

(ბრინჯაოს ქართული ჰვირულგამოსახულებიანი ბალთები)

გამოქვეყნება და კატალოგი

ნაშრომში განხილულია ანტიკური ეპოქის ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლები — ბრინჯაოს კვირულგამოსახულებიანი ბალთები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ ძეგლების მხატვრული სტილის შესწავლასა და მისი ეროვნული სპეციფიკის გამოვლენას. დიდი შედარებითი მასალის შესწავლის საფუძველზე განხილულია აგრეთვე მხატვრული დეკორის სიმბოლიკის საკითხები.

გამოკვლევას თან ახლავს ბრინჯაოს ქართული ბალთების სრული კატალოგი.

წინასიტყვაობა

ლითონის მხატვრული დამუშავება ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს შეადგენს. ნიშანდობლივია, რომ ეს დარგი დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს და ქართულ კულტურას თავისებურ სახეს აძლევს.

მხატვრულ მელითონეობას საქართველოში ღრმა და თვითმყობადი ტრადიციები გააჩნია. ვფიქრობთ, რომ მხატვრული მელითონეობის ნაწარმი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად და უმნიშვნელოვანეს წყაროს იმ რთული პროცესების შესასწავლად, რომელშიც ასახულია კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს უძველესი ხელოვნების განვითარების ძირითადი საფეხურები.

საქართველოში აღმოჩენილი სხვადასხვა ლითონისაგან დამზადებული ნივთები თავიდანვე გამოირჩევა დამუშავების მაღალი ოსტატობითა და შესრულების დახვეწილი გემოვნებით. უკვე შუა ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ხშირად გვხვდება ლამაზი რელიეფური ორნამენტით შემკული ცულები. რომელთა მორთულობაში ღიდ როლს ასრულებს პლასტიკური ფორმით შექმნილი სახეები, რაც თავისთავად ხელოსანთა ოსტატობის მაღალ დონეზე მიუთითებს.

ლითონის მხატვრული დამუშავების შესანიშნავ მაგალითს იძლევა აგრეთვე ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები, ფართოდ ცნობილი კოლხური ცულები და სხვა მრავალი.

მხატვრული მელითონეობა განსაკუთრებულ წარმატებას აღწევს ანტიკურ საქართველოში, მთლიანად ქართული კულტურის ძლიერი აღმავლობის ხანაში. ეს განპირობებულია ერთი მხრივ, ანტიკურობის გავლენით, ხოლო მეორე მხრივ, საკუთრივ ქართული ეროვნული კულტურის თვითმყობადი, ღრმა და ძლიერი ტრადიციებით.

ანტიკური ეპოქის ქართული ეროვნული კულტურის თავისებურება განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა ამ ეპოქის შესანიშნავ ძეგლებში, ბრინჯაოს კვირულგამოანახლებიან ბალთებში, რომლებიც, შეიძლება ითქვას, წარმოგვიდგენენ წინაქრისტიანული ხანის ქართული მხატვრული მელითონეობის უკანასკნელ ეტაპს და თითქოს ერთგვარად აგვირგვინებენ ამ დარგის ბრწყინვალე ტრადიციებს.

ხელოვნების ეს შესანიშნავი ძეგლები დიდი ხანია იქცევენ მეცნიერთა ყურადღებას. არსებობს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლიტერატურა ამ ძეგლების შესახებ. წინამდებარე ნაშრომი მათი მონოგრაფიული შესწავლის ცდას წარმოადგენს.

ქართულ ბალთებზე მუშაობის დაწყებისას ჩვენს პირველ ამოცანას წარმოადგენდა, თავი მოგვეყარა ყველა ბალთისათვის, შეგვეგროვებინა მთელი ეს

მასალა, რათა ერთ მთლიანობაში შეგვესწავლა იგი. ასე, მუშაობის პროცესში, შეიქნა აუცილებლობა ბრინჯაოს კვირულგამოსახულებიანი ბალთების კატალოგის შედგენისა, რომელშიც შევიდოდა დღეისათვის ცნობილი ყველა ნიმუში, დაცული საქართველოსა და სსრკ სხვადასხვა მუზეუმებსა და საცავებში და კერძო კოლექციებში. შეძლებისდაგვარად ჩვენ კატალოგში შევიტანეთ ცნობები იმ ბალთების შესახებაც, რომლებიც სხვადასხვა დროს უცხოელ კოლექციონერებს საქართველოდან გაუტანიათ. დღეს ეს ბალთები ინახება საზღვარგარეთის (მეტროპოლიტენის, ბრიტანეთის და სხვა) მუზეუმებში. ბალთების ამ ნიმუშებს ჩვენ არსებული პუბლიკაციების საშუალებით გავეცანით.

ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთ მიზანს ჩვენს ხელთ არსებული საკმაოდ შრავლარიცხოვანი მასალის სისტემატიზაცია წარმოადგენდა, რამდენადაც იგი საქმეცნიერო ლიტერატურაში უკვე არსებული კლასიფიკაციების ჩარჩოებში ვერ ეტყვა და მოითხოვს ახლებურ დაჯგუფებას.

ჩატარებული მუშაობის საფუძველზე შესაძლებელი შეიქნა ძეგლების მხატვრული სტილისა და დეკორის სიმბოლიკის საკითხების შესწავლა.

ბრინჯაოს ქართული ბალთების მხატვრულ-სტილისტური და სემანტიკური ანალიზის შედეგად გადაჭრით შეიძლება ლაპარაკი ამ ბალთებზე, როგორც წმინდა ქართულ მოვლენაზე, რომლის ძირითადი ნიშნები უკავშირდება ერთი მხრივ წინააღმდეგობრივ ხანის ქართული ხელოვნების ტრადიციებს, ხოლო მეორე მხრივ მთელი შემდგომი ხანის ქართული ხელოვნების რიგ თავისებურებებს.

შესავალი

პირველი ცნობა ბრინჯაოს ქართული კვირული ბალთების შესახებ და-
ცულია გერმანელი მეცნიერის ედ. აიხვალდი, ნაშრომში; 1825—26 წლებში,
იმერეთსა და სამეგრელოში მოგზაურობის დროს, ე. აიხვალდი, როგორც ჩანს,
გასცნობია დასავლეთ საქართველოს ისტორიულ ძეგლებს. მათ შორის ავ-
ტორი ასახელებს ბრინჯაოს ორ კვირულ ბალთას, რომლებიც მას ქუთაისში
უნახავს. ე. აიხვალდი ამ ბალთებს ადგილობრივი მოსახლეობის წარმართულ
კერპებად თვლის. მას გამოქვეყნებული აქვს ბალთების ამ ორი ნიმუშის ფოტო.¹
რომელსაც დღეს, ორიგინალების არარსებობის გამო, დიდი მნიშვნელობა ენიჭე-
ბა. ავტორი იქვე გვამცნობს, რომ ერთ-ერთი მათგანი, სოფ. ონის მახლობლად
მდებარე ეკლესიიდან არასო წამოღებული.

ბალთების მსგავსი ნიმუში გამოქვეყნებული აქვს, აგრეთვე, დიუბუა დე
მონპერეს, თავის ალბომში². ამ ბალთების წარმომავლობას ავტორი უკავშირებს
სოფ. Gvime-ს, რომელიც ბ. კუჭტინის შენიშვნით, ყვირილის ხეობის სოფ. მღვი-
მევი უნდა იყოს³.

1886 წ. ფრანგმა მეცნიერმა ერნსტ შანტრმა შეისწავლა ყობანის ნეკრო-
პოლიდან წამომდგარი სამკაული. მან სპეციალურად განიხილა ყობანური ტი-
პის ბრინჯაოს ბალთები და ისინი წმინდა კავკასიური წარმოშობის ნივთებად
ჩათვალა⁴, ამ ნაშრომში ე. შანტრი ჩვენთვის საინტერესო ტიპის ბრინჯაოს
კვირულ ბალთებსაც შეეხო. ავტორი სპეციალურად იხილავს დიგორიაში აღმო-
ჩენილ ბრინჯაოს კვირულ ბალთას და მას ყობანის კულტურას აკუთვნებს.

ერნსტ შანტრი გარკვეულ მსგავსებას ხედავს ბრინჯაოს კვირულ ბალთებსა
და ყობანური ტიპის ქამრის ბალთებს შორის. თუმცა, აქვე აღნიშნავს ბრინჯაოს
კვირული ბალთების თავისებურებას, რაც, ავტორის აზრით, შევეთრად განას-
ხეავენს მათ ბევრად უფრო ადრინდელი ხანის ყობანური ტიპის ბალთებისაგან⁵.

ბრინჯაოს კვირულ ბალთებს ვაკვრით ეხებიან თავის ნაშრომში ო. ტოლს-
ტოი და ო. კონდაკოვი. მათი აზრით, „Большие поясные четырехугольные
бляхи от пояса... хотя и сделаны из бронзы, но во всем рисунке, в самой

¹ E. D. Eichwald. Reise auf dem Kaspischen Meere und dem Kaukasus un-
ternommen in den Jahren 1825-26, Bd. I, 1837, Stuttgart.

² იქვე, ტაბ. 1, სურ. 1—2.

³ Dubois de Montpereux Fr., Voyage autour du Caucase chez Les Tcher-
kesses et les Abkhases, en Colchide, en Georgië, en Armenie et en Crimé, IV, Paris,
1893.

⁴ Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, 1949, стр. 80.

⁵ E. Chantre, Recherches anthropologiques dans le Caucase, vol. II, texte, pag. 53-54.

⁶ იქვე.

ფაქტურა, ვიძნით, подражают неизвестным пока изделиям из золота, других, вероятно, среднеазиатских местностей»⁷.

კავკასიური სიძველეების მცოდნემ პ. უვაროვამ, თავის ცნობილ ნაშრომში „Могильники Северного Кавказа“ აღწერა და გამოაქვეყნა შემთხვევით აღმოჩენილი და შენდევ პის მიერ შესყიდული ბალთების რამდენიმე ნიმუში. ზოგიერთი მათგანი, როგორც ჩანს, ნაპოვნი იყო ონის მასლობლად, სოფ. ღებში. უფრო გვიან, როდესაც პ. უვაროვამ საქართველოში იმოგზაურა, იგი სპეციალურად სოფ. ღებსაც ეწვია, რათა შეემოწმებინა აქ ბალთების აღმოჩენის ფაქტი; მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნავს, ვერც ბალთებისა და ვერც სამარების კვალს ვერ მიაკვლია.

ავტორი ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ. ვინც ბრინჯაოს ჰვირულ ბალთებს ჩრ. კავკასიის სამარხებს აუთენტიკებდა და ვინაიდან არც ერთი ბალთა არქეოლოგიური გათხრების შედეგად არ იყო მოპოვებული, ბალთების სადაურობის საკითხსაც გაურკვეველად სთვლიდა.

თავის ნაშრომში პ. უვაროვა ბალთების აღწერილობასაც შეეხო. ბალთების მხატვრულ დეკორში მან გამოიყო ცენტრალური და დამატებითი ცხოველები. ცენტრალურ ცხოველებად მან ჩათვალა ირემი, ხარი, ცხენი, ფანტასტიკური ცხოველი და ურჩხული. ხოლო დამატებით ცხოველებად მიიჩნია კეიცი, ფრინველი, ძაღლი, გველი და ხარი⁸.

ავტორი ბალთებზე მოცემულ გამოსახულებათა შინაარსითაც დაინტერესდა და გამოთქვა მოსაზრება, რომ ბალთებზე მოცემულია ცხოველთა არა უბრალო გამოსახულებანი, არამედ ლეგენდებისა და ხალხური თქმულებების შინაარსია გადმოცემული⁹.

პ. უვაროვას აზრით, ჩვენი ბალთები ქრონოლოგიურად ძველი ყობახის პერიოდს განეკუთვნებიან.

1910 წ. მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების ერთ-ერთ სხდომაზე ექვთიმე თაყაიშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ბრინჯაოს ორი ჰვირული ბალთა, აღმოჩენილი მდინარე ყვირილის ხეობაში. ბალთები ეკუთვნოდნენ საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

უფრო ადრე ექვ. თაყაიშვილმა იმოგზაურა მდ. ყვირილის ხეობაში, სადაც წვამოწმა აღნიშნული ბალთების წარმომავლობა. აღმოჩნდა, რომ ერთი ბალთა ნაპოვნი იყო სოფ. კაცხში, სამარხში, ხოლო მეორე — საჩხერეში, როსტომ წერეთლის ეზოში.

ე. თაყაიშვილის აზრით, აღნიშნული ტიპის ბალთები, არა მარტო შემთხვევითაა აღმოჩენილი, არამედ სამარხებშიც გვხვდება და ამიტომ ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ კავკასიურ სამარხულ ინვენტარს.

ავტორის სამართლიანი შენიშვნით, ამ ტიპის ბალთების წარმოების რაიონებად მიჩნეულ უნდა იქნეს ზემო რაჭა და ყვირილის ხეობა¹⁰.

⁷ И. Толстой, Н. Кондаков, Русские древности в памятниках искусства, вып. III, 1890, стр. 120.

⁸ МАК VIII, 1900.

⁹ იქვე, 23-367.

¹⁰ Известия ИКОМО, вып. III, протокол 53, 1913, стр. 49.

1922 წ. ავსტრიელმა მეცნიერმა ე. ფურმანმა გამოაქვეყნა კელნის მუზეუმში დაცული ბალთა და იგი რატომღაც ჩინური ხელოვნების ნიმუშად მიიჩნია¹¹.

ბრინჯაოს ქართულ ბალთებს ცნობილმა რუსმა მეცნიერმა როსტოვეცემ სპეციალური წერილი მიუძღვნა¹², რომელშიც ავტორი აღწერს ბალთებს, სპეციალურად აღნიშნავს მათი მხატვრული სტილის დახვეწილობასა და ოსტატის მაღალ გემოვნებას.

ბალთებისათვის დამახასიათებელი მხატვრული მოტივებისა და მათი სტილისტური ანალოზის შედგეად, ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბრინჯაოს ბალთები ასახავენ კავკასიაში ე. წ. სარმატულ-კავკასიურ ეტაპს¹³ და გახეყუნებთან გვიანდონისტურსა და ადრერომაულ ხანას (ძვ. წ. II—ახ. წ. III სს.)¹⁴.

როგორც ნაშრომის სათაურიდანაც ჩანს, ავტორი ბრინჯაოს ბალთებს ჩრდილო კავკასიის ძეგლებს აკუთვნებს¹⁵.

1922 წ. გამოქვეყნდა ა. მილერის საყურადღებო გამოკვლევა „Изображение собак в древностях Кавказа“¹⁶. ეს ნაშრომი მეტად საინტერესო და საგულბისხმო დებულებებს შეიცავს. ჩვენ შეეხებით მილერის შეხედულებებს მხოლოდ ბრინჯაოს კვირულ ბალთებზე, რომელთა ანალოზსაც მის გამოკვლევაში ღიდი ადგილი უჭირავს. მილერი სპეციალურად ჩერდება აღნიშნული ბალთების ლოკალიზაციის პრობლემაზე. მისი აზრით, ვინაიდან არ ყოფილა არც ერთი დასაბუთებული ფაქტი ბალთების აღმოჩენისა რომელიმე კონკრეტულ ადგილას, შეუძლებელია ისინი ჩრდილო კავკასიის ნეკროპოლებს მივაკუთვნოთ. სათანადო მასალის უქონლობის გამო, ბალთების ლოკალიზაციის საკითხს ავტორი გადაუჭრელად თვლის¹⁷.

მილერი სპეციალურად იხილავს ბალთებზე გამოხატულ კომპოზიციებს. ყველაზე უფრო ტიპურ და გავრცელებულ ნიმუშებად მას ირმის გამოსახულებიანი კომპოზიციები მიაჩნია. შედარებით უფრო იშვიათია, ავტორის აზრით, ის ხიმუშები, რომლებზედაც ცხენებისა და ხარის ფიგურებია მოცემული. ავტორი

¹¹ E. Furman, Das Tier in der Religion, 1922, გვ. 36—40.

¹² M. Rostovzev, Bronze Belt—Clasps and Pendants from the Northern Caucasus, BMM, 1922, vol. XXIII, № 2, p. 36—40.

როგორც ცნობილია, ბრინჯაოს კვირული ბალთების თერთმეტი ეგზემპლარი საქართველოში შეისყიდა ფრანგმა კოლექციონერმა კ. ანემ. ამ კოლექციიდან 7 ნივთი, მათ შორის ბრინჯაოს ოთხი ბალთა, აღმოჩნდა ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმში, მ. როსტოვეცის ზემოაღნიშნული წერილი სწორედ ამ მუზეუმში დაცული ბალთების ანალოზს ეძღვნება.

¹³ სარმატულ-კავკასიურ ეტაპს მ. როსტოვეცეი უკავშირებს კავკასიაში სარმატების შემოსეულს ცენტრალური აზიიდან. სარმატები, ავტორის აზრით, ღრმად შეიჭრნენ კავკასიის შთაანეთში და შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ამის შედეგად კავკასიაში იქმნება ახალსოკალიზაცია, რომელსაც ავტორი სარმატულ-კავკასიურს უწოდებს. ამ თეორიისათვის კარგად არის წარმოდგენილი როგორც ძლიერი კავკასიური ტრადიციები, ასევე ის ახალი მოტივები, რომლებიც სარმატებმა თან მოიტანეს.

¹⁴ იქვე, გვ. 40.

¹⁵ ბალთების ავტორისეული ლოკალიზაცია გაუგებარია და მიუღებელი. სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურიდან კარგად არის ცნობილი, რომ კ. ანეს შივრ შესყიდული იმ ბალთებიდან, რომელთა ანალოზსაც ზემოაღნიშნული წერილი ეძღვნება, შვიდი აღმოჩენილია რიონის ხეობაში, სამი — ახალციხეში, ხოლო ერთი შესყიდულია გორში. იხ. A. A. Миллер, Изображение собак в древностях Кавказа, ИРАИМК, II, 1922.

¹⁶ დასახ. ნაშრომი.

¹⁷ იქვე, გვ. 299.

ეხება აგრეთვე ბალთებზე გამოხატული კომპოზიციების დამატებით ცხოველებსაც. ამ ფიგურებში იგი უმთავრესად ძალის გამოსახულებებს ხელავს¹⁸.

ჰეარულ ბალთებზე მოცემულ გამოსახულებათა შინაარსს მიღერი ხალირობის სცენებს უკავშირებს. ავტორი ნაწილობრივ იცნობს მონადირეობასთან დაკავშირებულ აფხაზურ, სეანურსა და მეგრულ რწმენა-წარმოდგენებს. ამ შეხედულებათა მითოლოგიური ხასიათი ავტორს აფიქრებინებს, რომ ბალთებზე ასახული უნდა იყოს არა უბრალოდ ნადირობის ეანრული სცენები, არამედ ნადირობასთან დაკავშირებული მითოლოგიური სიუჟეტები¹⁹. სწორედ ამით აიხსნება, მკვლევრის აზრით, ფანტასტიკურ არსებათა სიხშირე ამგვარ ლეგენებზე.

დასასრულ, მიღერი აღნიშნავს: „Мы находим, что материал был бы полнее, а его толкование яснее, если бы мы в состоянии были использовать также соответствующие памятники живого быта народностей Кавказа“²⁰.

ბალთების თარიღის დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არქეოლოგ ე. პხელინას მიერ სამხ. ოსეთში 1926 წ. ჩატარებულ გათხრებს სოხტას სამაროვანზე, სადაც მან მიაკვლია სამ სრულიად ხელუხლებელ ორმოსამარსს. ორი მათგანის საკმაოდ მდიდარ სამარსეულ ინვენტარში აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭვირული ბალთების ორი ნიმუში.

ერთი წლით გვიან, 1927 წ., დიდი ლიახვის ზედა წელზე, სოფ. ურსდზუართან ადგილობრივმა მოსახლემ შემთხვევით იპოვა მეტად საინტერესო სამარხი, რომელიც ბალთების ერთ უნიკალურ ეგზემპლარს შეიცავდა.

ამგვარად, ე. პხელინას ხელთ აღმოჩნდა ბრინჯაოს ბალთების 'შემცველი' სავი სამარხი, რომელთა დათარიღებაც საკმაოდ ზუსტად ხერხდებოდა.

ე. პხელინას კვლევის შედეგები, ხელნაწერის სახით, 1926 წლიდან ინახებოდა ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქივში, ამიტომ დიდი ხნის განმავლობაში ფართო საზოგადოებისათვის და ხშირად სპეციალისტებისათვისაც მიუწვდომელი იყო (ნაშრომი გამოქვეყნდა მხოლოდ 1968 წ.)²¹.

ე. პხელინას აზრით, სოხტასა და ურსდზუართში აღმოჩენილი სამარხები განეკუთვნებიან გვიანელინისტურსა და ადრერომაულ ხანას.

ე. პხელინას ნაშრომში მოცემულია, აგრეთვე, ბალთების ჩგუფებად დაყოფის ცდა. ავტორის აზრით, ბალთები შეიძლება რვა ჩგუფად დაიყოს: 1) ბალთა, რომელზეც ოთხი ხარია წარმოდგენილი. პხელინასთვის ცნობილია ამ ტიპის ერთი ეგზემპლარი, რომლის ფოტოც, როგორც შევითაც აღვნიშნეთ, გამოქვეყნებული ჰქონდა ე. აიხვალდს. 2) ბალთა, რომელზეც წარმოდგენილია ორთავიანი ცხენი, მასზე ამხედრებული ქალღვთაებით, 3) ბალთა, რომელზედაც გამოხატულია მხედარი, 4) ბალთების შედარებით იშვიათი ჩგუფი, რომელზეც წარმოდგენილია ხარი. 4) ბალთების ჩგუფი, სადაც მოცემულია ცხოველი სრბოლის პოზაში. 6) ბალთების ჩგუფი, რომელზეც წარმოდგენილია ურჩხულისებური, უკანთავმოზრუნებული ირემი. 7) ბალთები, რომლებზეც მოცემულია ურ-

18 დასახ. ნაშრომი, გვ. 300.

19 იქვე, გვ. 295.

20 იქვე, გვ. 223—324.

21 Е. Г. Пчелкина, Погребальные комплексы из Сохта, Урсдзуар и Рук в Юго-Осетии, ИЮОНИИ, XV, 1968.

ჩხულისებური ირმის გამოსახულება, 8) ბალთები, რომლებზეც გამოსახულია ცხენი.

ბალთებზე მოცემულ გამოსახულებათა შინაარსს მკვლევარი ნართების ეპოსს უკავშირებს.

1927 წ. ი. მეშჩანინოვმა სპეციალური ნაშრომი უძღვნა ბრინჯაოს ჰეირული ბალთების მხატვრული დეკორის სემანტიკურ ანალიზს²².

ბალთებზე მოცემულ გამოსახულებათა სემანტიკური მნიშვნელობის ასსნა ი. მეშჩანინოვმა სცადა ენის იაფეტური მოძღვრების საფუძველზე. ავტორი განიხილავს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს პირველყოფილი ადამიანის აზროვნებაში მთლიანი, ერთიანი ცის დანაწევრების პროცესი და როგორ იქმნებიან ადამიანის აზროვნებაში ამ დანაწევრებული ცის შესატყვისი ცხოველები. მეშჩანინოვის აზრით, ყველა ტომური ერთეულისათვის ერთიანი, მთლიანი ცის დანაწევრების შედეგად წარმოიშობიან „ეთნიური ცები“. ბალთაზე გამოსახული ცხოველები ავტორს სწორედ ამ ეთნიური ცების წარმომადგენლებად მიაჩნია. ცხენი — იონიის ცის წარმომადგენელია, ფრინველი — მესხეთის, ხოლო ხარი, ირემი, გველი და ძაღლი — ივერიის ცის წარმომადგენელი. ბალთებზე მოცემული გამოსახულებანი დანაწევრებული, „ეთნიური ცების“ შეერთებას ასახავს, რაც შეესატყვისება სხვადასხვა ტომების შეერთების პროცესს. ბალთებზე გამოსახულ ცხოველთა ბრძოლის სცენები, შესაძლებელია, ასახავენ ცალკეულ ტომთა შორის არსებულ შეტაკებებს.

კოლხურ-ყობანური ცულებისა და ბრინჯაოს ჰეირული ბალთების დეკორის სემანტიკის საკითხს ი. მეშჩანინოვი თავის მეორე საყურადღებო ნაშრომშიც შეეხო²³. აღნიშნული ძეგლების მხატვრული დეკორის ანალიზისას, ავტორი ერთ მთლიანობაში განიხილავს ორნამენტსა და ცხოველთა გამოსახულებებს და დაჰყავს იგი გველი — ზიგზაგი — გველუშაპი — ურჩხული — ძაღლი გამოსახულებამდე. აქედან გველი — ფრთოსანი ურჩხული — ფრინველი არსებათა ერთ კატეგორიას წარმოგვიდგენენ, რომელთაც მტკიცედ უკავშირდება ირმისა და ძაღლის გამოსახულებანი.

ეს ცხოველები არსებათა ერთ კატეგორიას წარმოგვიდგენენ და ტოტემურ სამყაროს უკავშირდებიან.

ი. მეშჩანინოვმა გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებაც, რომ კოლხური ცულებისა და ბრინჯაოს ჰეირული ბალთების დეკორში ასახული ძაღლი და მგელი იბერების ტოტემისა და ღვთაების გამოსახულებას უნდა წარმოგვიდგენდნენ²⁴.

1928 წ. გამოქვეყნდა ხელოვნებათმცოდნე ტ. ივანოვსკიას ცნობილი წერილი „Кавказские бронзовые поясные пряжки“, რომელშიც დიდი ყურადღება დაეთმო ბალთების მხატვრული სტილის შესწავლას და, ძირითადად მიეძღვნა ბალთების სტილისტური განვითარების სურათის აღდგენას. ნაშრომის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს, აგრეთვე, მასში წარმოდგენილი ბრინჯაოს ბალთების მეცნიერულად დასაბუთებული კლასიფიკაცია. იმ დროი-

²² И. И. Мещанинов, Закавказские поясные бляхи, Махач-Кала, 1927.

²³ И. И. Мещанинов, Змея и собака..., ЗВОРАО, т. XXV.

²⁴ ე. ბარდაველიძის აზრით, მეშჩანინოვის ამ ნაშრომში ხმარებულ ტერმინ „იბერები“ წევნ კოლხთა ტომი უნდა ეკუთვნის. იხ. В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования..., 1957, გვ. 46, სქოლიო 26.

სათვის ცნობილი ბალთები ტ. ივანოვსკაიას დაყოფილი აქვს ხუთ ჯგუფად. ნათავარი ყურადღება მის კლასიფიკაციაში ეთმობა ბალთაზე წარმოდგეხილი კომპოზიციის ცენტრალური ცხოველის პოზასა და კომპოზიციაში გაერთიანებულ გამოსახულებათა რაოდენობას. კლასიფიკაცია შემუშავებულია წმინდა ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით და ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას არ ეყრდნობა.

ზემოაღნიშნულ წერილში ავტორი დაწვრილებით განიხილავს მის მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის პირველ ჯგუფში გაერთიანებულ ნიმუშებს²⁵. იმავე წელს ტ. ივანოვსკაიამ გამოაქვეყნა მეორე წერილი, რომელიც მისი პირველი ნაშრომის დამატებად შეიძლება ჩაითვალოს²⁶. იგი ეძღვნება ბალთების ნაკლებად გავრცელებული ჯგუფის შესწავლას, რომელზეც ცენტრალური ცხოველი „პოზაშია მოცემული.

1931 წ. გამოქვეყნდა ი. მეშჩანინოვის რეცენზია ტ. ივანოვსკაიას ზემოაღნიშნულ წერილებზე²⁷. ი. მეშჩანინოვი აკრიტიკებს ივანოვსკაიას კვლევის მეთოდს, რომელიც მხოლოდ სტილისტური ანალიზის მონაცემებს ეყრდნობა. ავტორმა აქვე გამოთქვა მოსაზრება, რომლის თანახმად, ბალთები დაღესტნის ხელოსანთა ნახელავის თანამედროვე მიმბაძველობად ჩათვალა.

ბრინჯაოს ქვირულ ბალთებს რამდენიმე ნაშრომი უძღვნა ავსტრიელმა მეცნიერმა ფრ. ჰანჩარმა²⁸, რომლებშიც ავტორი მთლიანად იზიარებს ბალთების ჯგუფებად და საფეხურებად დაყოფის ტ. ივანოვსკაიას მიერ შემოთავაზებულ სქემას.

ბალთების გავრცელების არე, ავტორის აზრით, უკავშირდება ცენტრალური კავკასიის, თბილისისა და გორის ყოფილ გუბერნიებს²⁹.

ფ. ჰანჩარი დაწვრილებით ჩერდება ბრინჯაოს ბალთებზე წარმოდგეხილ გამოსახულებებზე, რომლებსაც ადარებს კავკასიის გეიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის სხვადასხვა ძეგლს. ავტორი განიხილავს ხანლარის ინკრუსტირებულ კერამიკას, კალაქენტსა და კავკასიის სხვა ადგილებში აღმოჩენილ ბრინჯაოს გრავირებულ ქაშრებს, ყობანურ სამკაულებზე გამოსახულ ჭიხვისა და ძაღლის ფიგურებს, ყობანური ტიპისა და ყაზბეგის განძის ქაშრის ბალთებს, და იმ დასკვნამდე მიდის, რომ კავკასიის მატერიალური კულტურის ძეგლები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფება; მაგრამ თვითველი მათგანი ლოკალურ კულტურას წარმოგვიდგენს, რომელსაც გარკვეული თავისებურებანი გააჩნია³⁰.

²⁵ Т. Ивановская, Материалы к изучению искусства древнего Кавказа.

1. Кавказские бронзовые поясные пряжки, Харьков, Мистентвознаиство, 1928.

²⁶ Т. Ивановская, Бронзовые прямоугольные пряжки с изображением бегущего зверя, Сборник в честь акад. В. П. Бузескула, Харьков, 1928.

²⁷ И. И. Мещанинов, Рецензия на работу Т. Ивановской о пряжках, СОГАНМК, № 1, 1931.

²⁸ F. Hančar, Einige Gürtelschliessen aus dem Kaukasus, ESA, 1931, S. 146—151.

F. Hančar, Eine kaukasische Gürtelschalle aus Bronze in Wiener Völkerkunstmuseum, Wiener Prähist, Zeitschrift, Bd. XV111, 1931.

F. Hančar, Ross und Reither in urgeschichtlichen Kaukasus, Ipek, I, 1935.

²⁹ F. Hančar. Eine kaukasische... S. 51.

³⁰ F. Hančar, Einige Gürtelschliessen..., S. 152.

ავტორის აზრით, კვირულ ბალთებზე მოცეპული ცხოველთა გამოსახულებების საწყისები უნდა ვეძებოთ ადგილობრივი, კავკასიური გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის კულტურისათვის დამახასიათებელ ცხოველურ სტილში. მათ შორის არსებული დიდი მსგავსება მკვლევარს აფიქრებინებს, რომ ბრინჯაოს კვირული ბალთები კავკასიური წარმოშობის ძეგლებს წარმოადგენენ³¹.

ზევით განსილულ ძეგლებზე, ფ. ჰანზარის აზრით, ძლიერად არის წარმოდგენილი სკვითური ელემენტი. ხოლო ბრინჯაოს ბალთებში, ავტორის რწმენით, გავრთიანებულია ძველი კავკასიური ხელოვნება უფრო ახალ, სკვითური ხელოვნების ნაკადთან³². ბრინჯაოს ბალთებს ჰანზარი ლურისტანული კულტურის ძეგლებსაც უკავშირებს და მათ შორის იდეოლოგიურ კავშირსა და სინქროზულობას ხედავს³³.

მკვლევარი სპეციალურად ჩერდება ბრინჯაოს ბალთების დათარიღების საკითხზე. იგი შესაძლებლად თვლის ბალთების გაურცელებას კავკასიაში სკვითების გამოჩენიდან ქრისტიანობის დასაწყისამდე.

ფრ. ჰანზარმა წამოაყენა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბალთები შესაძლებელია წარმოადგენდნენ წარჩინების ნიშნებს, რომლებიც მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაზე, ამიტომაც არ გვხვდება, ავტორის აზრით, ბრინჯაოს ბალთები სამარხებში³⁴.

1932 წ. ა. ტალგრენი თავის ერთ-ერთ ნაშრომში შეეხო ურალის მატერიალური კულტურის ძეგლებისათვის დამახასიათებელ ცხოველურ სტილს და მისი წარმოშობა სამხრეთს დაუკავშირა³⁵. ავტორის აზრით, ურალის მატერიალური კულტურის ძე. წ.-ის III—II სს-ით დათარიღებული ზოგიერთი ძეგლი მტკიცედ დაკავშირებული ჩანს ბრინჯაოს კვირულ ბალთებთან. ავტორის ეს მოსაზრება ემყარება ურალის ძეგლებისა და ბალთების სტილისტურ-ორნამენტულ მსგავსებას. მისი აზრით, კვირული ბალთები, შესაძლებელია, პერმული ფირფიტების მოდელებადაც იყო გამოყენებული. ავტორის აზრით, ურალის მატერიალურ კულტურაში აღნიშნული სტილი კავკასიიდან არის შესული.

ბალთების სადაურობის დადგენისა და დათარიღებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1939 წ. ზემო რაქაში, ენიმკის მიერ მოწყობილ არქეოლოგიურ ექსპედიციას, არქეოლოგ გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით. ექსპედიციამ სოფ. ღების მახლობლად, ბრილსა და შოშეთში, მიაკვლია სამარხებს, სადაც დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბრინჯაოს კვირული ბალთები.

გ. გობეჯიშვილმა რაქაში აღმოჩენილ ბალთებს სპეციალური ნაშრომი უძღვნა³⁶, რომელიც მეტად საყურადღებო დებულებებს შეიცავს. ნაშრომში გადაჭრილია ბალთებთან დაკავშირებული ზოგიერთი სადავო საკითხი. გ. გობეჯიშვილის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ბრინჯაოს კვირული ბალთების სადაურობის საკითხის დადგენა და გადაჭრა. როგორც ცნობილია, სამეცნიერო

³¹ დასახ. ნ.შრ., გვ. 153.

³² იქვე, გვ. 157.

³³ F. Hanžar, *Kaukasus und Luristan*, ESA, IX, 1934.

³⁴ F. Hanžar, *Eine kaukasische...*, S. 51.

³⁵ A. M. Tallgren, *Etudes archéologiques sur la Russie Orientale durant l' Ancien âge du fer* ESA, VII, 1932, P. 20.

³⁶ გ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები (საღისერტაციო ნაშრომი), 1942, თბილისი.

ლიტერატურაში, დიდი ხნის განმავლობაში, არ იყო ზუსტად გარკვეული ამ ძეგლების სამშობლო. სპეციალურ ლიტერატურაში მათ ზოგჯერ „ამიერკავკასიულს“, ზოგჯერ „კავკასიურს“ და ზოგჯერ „ჩრდილო კავკასიურსაც“ უწოდებდნენ ხოლმე. ბრილისა და შოშეთის ნეკროპოლებზე აღმოჩენილი სამარხები უაღრესად საყურადღებო მასალას იძლეოდნენ ბალთების სადაურობის საკითხის დასადგენად. აღნიშნული აღმოჩენების და მუზეუმის კატალოგებში ძველად ცნობილი ბალთების აღმოჩენის ადგილს შესახებ ცნობების ურთიერთშეჭერებით გ. გობეჯიშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბრინჯაოს კვირული ბალთები წარმოადგენს ქართული უძველესი ხელოვნების ნიმუშს. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ ბალთების სამშობლო საქართველოა და ამიერიდან მათ უნდა ეწოდოს ბრინჯაოს ქართული ბალთები³⁷.

რაკის არქეოლოგიურ ექსპედიციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე, ბალთების დათარიღებისათვის. ბრინჯაოს ქართული ბალთების შემცველი სამარხი კომპლექსების ანალიზის შედეგად, გ. გობეჯიშვილი ყველა ტიპის ბალთებს ათარიღებს დროის საცმოდ დიდი მონაკვეთით — ძვ. წ. III ს-ის დამდეგიდან ახ. წ. III ს. გასულამდე³⁸.

გ. გობეჯიშვილის ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა ბალთების კლასიფიკაციის საკითხს; ავტორი ნაწილობრივ იზიარებს ტ. ივანოვსკაიას მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის ძირითად სქემას, ხოლო ნაწილობრივ ცვლის და აუმჯობესებს მას. სემანტიკური და სტილისტური განვითარების მიხედვით, გ. გობეჯიშვილი კვირულ ბალთებს აერთიანებს ოთხ ქრონოლოგიურ ჯგუფსა და რამდენიმე საფეხურში³⁹.

1940 წ. არქეოლოგმა მ. ივანენკომ აღწერა და გამოაქვეყნა ქუთაისის მუზეუმში დაცული ბალთების თვრამეტი ნიმუში⁴⁰. ავტორის აზრით, ბრინჯაოს კვირული ბალთების წარმოების ძირითად კერას ზემო რაქა და ყვირლის ხეობა წარმოადგენდა. მისი აზრით, ბალთები შეიძლება ჩავთვალოთ ძველი კოლხეთის ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფის ნახელაუად⁴¹.

1941 წ. გამოცემულ თავის წერილში⁴² მ. ი. მაქსიმოვამ ერთმანეთს შეადარა ბრინჯაოს კვირული ბალთები და საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლურჯი მინის ათწახნაგა საბეჭდავები და მათ შორის გარკვეული სიუფეტური მსგავსება დაინახა. ბალთებს მ. ი. მაქსიმოვა ძველი წელთაღრიცხვის VII—VI სს-ის ძეგლებად მიიჩნევს⁴³.

ბ. ა. კუფტინი ბრინჯაოს ქართულ კვირულ ბალთებს თავის რამდენიმე ფუნდამენტურ ნაშრომში შეეხია⁴⁴ და არაერთი მეტად საყურადღებო დე-

37 დასახ. ნაშრ., გვ. 51—52.

38 გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიურ გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952, გვ. 106.

39 გ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები, გვ. 237—248.

40 М. И. Иващенко, Материалы к изучению культуры: колхоза, МСХ, 1941, ნაკვ. I, გვ. 25, 37.

41 იქვე, გვ. 36.

42 М. И. Максимова, Стеклопечати многогранные, найденные на территории Грузии, „ნიშის მოამბე“, X, 1941.

43 იქვე, გვ. 86.

44 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, 1941, Тбилиси, Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, II, 1949, Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, 1949.

ბულება წამოაყენა. მან ჯერ კიდევ 1934 წ. შეისწავლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ჭვირული ბალთები და დაათარია ისინი ელინისტური ხანით. ავტორის აზრით, ბალთების დათარიღებისათვის დასაყრდენს წარმოადგენდა სოფ. როზენბერგსა და მანგლისის ნეკროპოლებზე აღმოჩენილი ჭვირული ბალთები და მათი თანმსლები ინვენტარი. კუფტინმა ერთმანეთს შეუდარა მანგლისისა და როზენბერგის ნეკროპოლებზე აღმოჩენილი ძეგლები. ეს მასალა მან დაუქვეშირა კავკასიის სხვა ნეკროპოლებიდან წამომდგარ გვიანელინისტური და რომაული ხანით დათარიღებულ სამკაულს და გამოთქვა მოსაზრება, რომ ბალთების თარიღის გადაწევა ძნელია ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის იქით⁴⁵.

ამავე პერიოდს მიაკუთვნა მკვლევარმა არქეოლოგ პჩელინას მიერ სობტას სამაროვანზე მოპოვებული ბალთები, რომლებიც ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახებოდა⁴⁶.

ბ. კუფტინი სპეციალურად ეხება ბალთებზე წარმოდგენილ გამოსახულებათა სიუჟეტურ და დეკორატიულ მოტივებს და აღნიშნავს: „Их происхождение может быть прослежено в зоне контакта скифского звериного стиля с западно-грузинским (позднекобанским) и центральнокавказским (с бронзовыми поясами)“⁴⁷.

ბ. კუფტინის აზრით, თრიალეთის სამარხებში ბალთების აღმოჩენის ფაქტი მიუთითებს „на тесную связь Триалетской Грузии, именно древней Гогарены, в эпоху, предшествующую римской оккупации Южно-Кавказского двуречья с территорией Колхиды, т. е. с территорией верхнего Риона и Квирилы, где эти бляхи были встречены в наибольшем количестве... По-видимому, путь их передвижения отсюда на юг шел через Боржомские ущелья“⁴⁸.

1944 წ. გამოქვეყნდა შ. ამირანაშვილის კაპიტალური ნაშრომი „ქართული ხელოვნების ისტორია“. გამოკვლევაში საკმაო ადგილი დაეთმო ბრინჯაოს ქართული ჭვირული ბალთების განხილვას⁴⁹.

შ. ამირანაშვილის აზრით, ქართული ბალთები, რომლებიც არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული და, აგრეთვე, შემთხვევით არის აღმოჩენილი უმთავრესად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, თავისი სემანტიკური და მხატვრული სტილის ნიშნებით კოლხური ხელოვნების წრეს ეკუთვნის. ბალთების მხატვრული ფორმის გენეტიკური შესწავლა, ავტორის აზრით, არკვევს, რომ ბრინჯაოს ჭვირული ბალთები, ცხოველთა გამოსახულებებით, წარმოიშვა ქართული ხელოვნების კოლხურ წრეში არა უადრეს ბრინჯაოს კულტურის აყვავების პერიოდისა და საკმაოდ დიდხანს იყო მხარებში.

მხატვრული ფორმის შედარებითი ანალიზის შედეგად, შ. ამირანაშვილი ასკვნის, რომ ბალთების მხატვრული სახის განვითარებაში სამი გარკვეული ეტაპი არსებობს. უადრესი არ შორდება ბრინჯაოს კულტურის აყვავების პერიოდს დასავლეთ საქართველოში, ხოლო უგვიანესი აღწევს ახალ ერას და

45 Б. А. К у ф т и н, Триалети, стр. 25—29.

46 Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная..., стр. 21—22 და შიკე, Материалы к археологии Колхиды, т. I, стр. 79, 80.

47 Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, стр. 29.

48 ი ქ ე, 33: 30.

49 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1944, გვ. 82—96.

შესაძლებელია, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებშიც იყო ხმარებაში⁵⁰.

ავტორი საგანგებოდ ჩერდება ბალთების გამოსახულებათა შინაარსის საკითხზე და აღნიშნავს: „ბალთებზე მოთავსებულ გამოსახულებათა ანალიზი ამტკიცებს, რომ მათი წარმოშობა ეკუთვნის საქართველოს მხატვრული კულტურის განვითარების ისეთ ეპოქას, როდესაც კოსმოსური და ტოტემური თემატიკა შეადგენდა სახვითი ხელოვნების ძირითად შინაარსს და მათ შორის სტადიალური გამოიჭვნა ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო“⁵¹.

1957 წ. ამერიკელი მეკლევარი ქალი დაგნი კარტერი გაკვრით შეეხო მეტროპოლიტენის მუზეუმში დაცულ ქართულ ბალთებსაც და მათი მხატვრული სტილი ევრაზიის მოქთაბარე ტომებისათვის დამახასიათებელ ცხოველურ სტილს დაუკავშირა⁵².

1960 წ. გამოსულ ძველი ხელოვნების ლარუსის ენციკლოპედიაში გამოქვეყნებულია ბრინჯაოს ქართული ჰეირული ბალთის ერთი ეგზემპლარის ფოტო. ამ ბალთას ენციკლოპედიის ავტორები ძველი წელთაღრიცხვის VIII—III საუკუნეებით ათარიღებენ⁵³.

1961 წ. გამოქვეყნდა არქეოლოგ დ. ქორიძის საყურადღებო ნაშრომი — „მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები საჩხერის რაიონიდან“. ნაშრომი მიზნად ისახავს საჩხერის რაიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლას. მეკლევარის ყურადღებას იქცევს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და სოფელ ქორეთის საშუალო სკოლის მუზეუმში დაცული ძეგლები.

დ. ქორიძის გამოკვლევაში ცალკე თავი ეძღვნება საჩხერის რაიონში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჰეირული ბალთების მიმოხილვას. ავტორი აღწერს საჩხერის რაიონში აღმოჩენილ შვიდ ბალთას, რომელთაგანაც ოთხ განსხვავებულ სახეობას გამოჰყოფს.

სოფ. ქორეთში აღმოჩენილი ბალთების ანალოგიებს დ. ქორიძე ეძიებს, როგორც საქართველოს მუზეუმში დაცულ ბალთებს შორის, ასევე გ. გობეჯიშვილის მიერ ზემო რაქაში მოპოვებულ ძეგლებს შორისაც.

მეკლევარი ითვალისწინებს გ. გობეჯიშვილისა და შ. ამირანაშვილის მიერ ბალთების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს, აგრეთვე საკუთარ დაკვირვებებს საჩხერის რაიონში აღმოჩენილი მასალის მიმართ და აღნიშნავს: სტილისტური და შინაარსობრივი განვითარების მიხედვით საჩხერის რაიონის ბალთებს შორის ადრეულა უნდა იყოს პატარა ზომის ის ბალთა, რომლის ცენტრალური მოედანი დაკავებულია ირმის ფანტასტიკური გამოსახულებით. ბალთათა განვითარების შემდგომ საფეხურს უნდა ასახავდეს ის სამი ბალთა, რომელთა ცენტრალური მოედანი აგრეთვე ირემთა ფანტასტიკურ გამოსახულებებს უკავია. ამ ბალთების ცენტრალური მოედანი ნაკლებ ჰეირულია და მოედანიც არა ორი ცხოველის, არამედ ორ შემთხვევაში ოთხი, ხოლო ერთ შემთხვევაში სამი ცხოველის გამოსახულებებს დაუჭერია. საჩხერის რაიონში აღმოჩენილი ცხენის

⁵⁰ დასახ. ნაშრ., გვ. 96.

⁵¹ იქვე, გვ. 90.

⁵² D. Carter, *The Symbol of the Beast, The Animal Style Art of Eurasia*, New York, 1957, p. 113.

⁵³ Larousse Encyclopedia of Prehistoric and Ancient Art, 1960, გვ. 229, სურ. 414.

გამოსახულებიანი ბალთები, ავტორის აზრით, განვითარების გვიან საფეხურს ეკუთვნის⁵⁴.

დ. ქორიძეს აღნიშნული ბალთების არსებობის ხანად ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელი მეოთხედი და ახალი წელთაღრიცხვის საწყისი საუკუნეები მიაჩნია⁵⁵.

ბრინჯაოს ჰვირულ ბალთებს რიგ ნაშრომებში გაეკრით შეეხო არქეოლოგი გ. ლომთათიძე. მისი აზრით, ბალთები ანტიკური საქართველოს — ძირითადად მთიანი კოლხეთის, კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს⁵⁶.

გ. ლომთათიძემ ყურადღება გაამახვილა ურბნისის ექსპედიციის მიერ 1954 წ. მოპოვებულ ერთ გვიანანტიკური ხანის ანტიფაქსურ კრამიტზე, რომელზედაც გამოხატულია ბრინჯაოს ბალთების მსგავსი, ოღონდ სხვა მანერით გამოკვანილი კომპოზიცია: ირემი, რომელსაც ერთი ნუკრი ზურგზე აზის, ხოლო მეორე მის ფეხებთან არის გამოხატული. ეს ფაქტი, მკვლევრის აზრით, კიდევ უფრო ადასტურებს მოსაზრებას აღნიშნულ გამოსახულებათა ჩვენებურობისა და ამ დროის საქართველოში ფართოდ გავრცელებულობის შესახებ⁵⁷.

უკანასკნელ ხანებში სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად ბრინჯაოს ჰვირულ ბალთებს სიუჟეტურად უკავშირდება ყანჩაეთში აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის საბეჭდავები⁵⁸.

1969 წ. გამოქვეყნდა ბ. ტეხოვის წერილი⁵⁹, რომელიც ეძღვნება სპხ. ოსეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბალთების შესწავლას. ავტორს ხელთ აქვს ჰვირული ბალთების 18 ეგზემპლარი, მათში იგი გამოჰყოფს 3 ტიპსა და რამდენიმე ქვეტიპს.

ტეხოვის აზრით, ბალთები მკიდროდ უკავშირდება ცენტრალური კავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის კულტურას და აგრძელებს ყობანური და კოლხური კულტურის მდიდარ ტრადიციებს. ქრონოლოგიურად ავტორი ბალთებს აკუთვნებს ძვ. წ. II — ახ. წ. I—II სს.

* * *

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ბრინჯაოს ჰვირული ბალთების თარიღის შესახებ ზოგჯერ სრულიად განსხვავებულა მოსაზრებები იყო გამოთქმული. ბალთების ერთ-ერთი პირველი მკვლევართაგანი, პ. უეაროვა ამ ძეგლებს ყობანური ხანით თარიღებდა⁶⁰. ავსტრიელა მეცნიერი ფ. ჰანჩარი ბალთების გავრცელების ხანად კავკასიაში ვარაუდობდა დროის საკმაოდ ვრცელ პერიოდს, სკვითების გამოჩენიდან ქრისტიანობის დასაწყისამდე, მაგრამ თავის

54 დ. ქორიძე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები, თბილისი, 1961, გვ. 104—105.

55 იქვე, გვ. 107.

56 გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახალი წელთაღრიცხვის I—III საუკუნეებში. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1. 1955, გვ. 349—374.

57 მისივე, ურბნისის ნაქალაქარის არქეოლოგიური ძეგლები, „მანე“, 1964, № 2, გვ. 107.

58 ი. გავგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, 1964, გვ. 34—35.

59 Б. В. Т е х о в, Об ажурных поясах пряжек из Юго-Осетии, СА, № 4, 1969.

60 МАК, VII, 1900, стр. 367.

წამრომებში მკვლევარი არაფერს ამბობს კავკასიაში სკვითების გამოჩენის კონკრეტულ თარიღზე⁶¹.

როგორც უკვე დაინახეთ, ზოგ შემთხვევაში ბალთები ძვ. წ-ის III — III სს-ის ძველებად არის მიჩნეული.

1922 წ. მეტროპოლიტენის მუზეუმში დატული ბრინჯაოს ქართული ბალთების რამდენიმე ნიმუში შეისწავლა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა მ. როსტოვეცემ. მათი სტილისტური ანალიზის შედეგად, მკვლევარი ჰილის იმ დასკვნამდე, რომ ბრინჯაოს აღნიშნული ბალთები განეკუთვნებიან ძვ. წ-ის II და ახ. წ-ის III სს.⁶²

მ. როსტოვეცის მიერ წამოყენებულ ამ თარიღს მხარი დაუჭირა ბ. კუფტინამც. მან სპეციალურად შეისწავლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დატული ბრინჯაოს ბალთები და მანგლისის ბალთებისა და მათი თანმხლები ინვენტარის ანალიზის შედეგად, ეს ძველები გვიანელინისტური და რომაული ხანით დაათარიღა⁶³.

ბრინჯაოს ბალთების დათარიღებისათვის უღარესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გ. გობეჯიშვილის მიერ რაქაში ჩატარებული ექსპედიციის შედეგებს. მაგრამ სამწუხაროდ, ექსპედიციის შედეგები გამოქვეყნებული არ არის. ამიტომ ჩვენ კიდევ ერთხელ მოვიყვანთ პატივცემული მკვლევარის აზრს ბრინჯაოს ქართული ბალთების თარიღის შესახებ. გ. გობეჯიშვილის აზრით, ბალთების არსებობის თარიღად მიჩნეული უნდა იყოს ძვ. წ-ის III ს. და ახ. წ-ის III ს⁶⁴.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, გ. გობეჯიშვილზე ცოტა უფრო ადრე, ბრინჯაოს ბალთების სამ ეგზემპლარს სამარხებში მიაკვლია არქეოლოგმა ე. პხელიონამ. მაგრამ გათხრითი სამუშაოების შედეგების გამოქვეყნებლობის გამო, ეს ფაქტი შეუმჩნეველი დარჩა⁶⁵.

ე. პხელიონას აზრით, სოხტასა და ურსღუარში აღმოჩენილი სამარხები დიდ სიახლოვეს იჩენენ ერთმანეთთან, რაც განპირობებულია მათი კულტურული და ქრონოლოგიური ერთიანობით. აღნიშნულ სამარხებს აეტორი გვიანელინისტური, გვიანანტიკური ხანით ათარიღებს⁶⁶.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, სამარხებში არქ. ბ. ტეხოვმა აღმოაჩინა ბალთების კიდევ ოთხი ნიმუში (ბალთა №№ 93, 114, 118). ბ. ტეხოვის აზრით, ბალთების გაერკელების თარიღა მოიცავს ძვ. წ. II ს. და ახ. წ. I—II სს⁶⁷.

სამარხებში ბრინჯაოს კვირული ბალთების ორი ნიმუში მოპოვებულ იქნა აგრეთვე ივ. ჭავჭავიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არგვეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1966 წ.

⁶¹ F. Haliczar. Einige... S. 157.

⁶² M. Rostovtzev, დასახ. ნაშ., გვ. 40.

⁶³ Б. А. Куфтин, Трналеги, стр. 26. შტრ. Б. А. Куфтин, Материалы к археологическим Колхиды, т. I, стр. 79—80.

⁶⁴ გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, გვ. 106.

⁶⁵ ე. პხელიონას მიერ აღმოჩენილ სამარხებულ ინვენტარს, რომელიც ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დატული, იხილავს ბ. კუფტინი თავის ნაშრომში Археологическая маршрутная... стр. 21—25.

⁶⁶ Е. Г. Пчелина. Погребальные комплексы..., стр. 139—140.

⁶⁷ Б. В. Техов. Об ажурных поясных..., стр. 59.

არგვეთში აღმოჩენილი სამარხები, არქეოლოგების რ. აბრამიშვილისა და ნ. მათიაშვილის აზრით, ზოგადად, გვიანელინისტურ-გვიანრომაული ხანით თარიღდება⁶⁸.

1965 წ. ქარელის რაიონის სოფ. სუკიანთუბნის მახლობლად შემთხვევით აღმოჩნდა სამარხი, რომლის ინვენტარში ბრინჯაოს კვირული ბალთაც შედიოდა. სამარხი ადგილზე შეიწავლა არქეოლოგმა გ. ნემაძემ. მისი აზრით, აღნიშნული სამარხეული ინვენტარი მკიდროდ უკავშირდება საქართველოში აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის სამარხეულ კომპლექსებს (კლდეეთი, ურბნისი, სამთაერო, რაქა) და თარიღდება II—III სს. ახ. წ.

ამრიგად, როგორც ზევით განხილულმა მასალამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, ბრინჯაოს ქართული ბალთების არსებობის ხანად მიჩნეული უნდა იყოს გვიანელინისტური, გვიანრომაული ხანა — ძვ. წ. II — ახ. წ. II — III სს.

⁶⁸ რ. აბრამიშვილი, ნ. მათიაშვილი, გვიანელინისტური-ადრერომაული ხანის ძეგლები სოფ. არგვეთიდან (ხელნაწერი).

ბრინჯაოს ქართული ბალთების კლასიფიკაცია

ბრინჯაოს ქართული ბალთები ერთ მტკიცედ ჩამოყალიბებულ ტიპს ქმნიან. მათ ძირითადად სწორკუთხედის მოყვანილობა აქვთ, მაგრამ გვხვდება ისეთი ნიმუშებიც, რომელთა ფორმა კვადრატულია. ბალთებს გარშემო მოუყვება საკმაოდ განიერი, ორნამენტული ჩარჩო, რომელსაც კუთხეებში გაკეთებული აქვს სხვადასხვა სიმაღლის კოპები. ჩარჩოს შიგნით მოთავსებული არე დაკავებული აქვს რთულ კომპოზიციას, რომელიც რელიეფურ ფორმებშია მოცემული. აღნიშნული კომპოზიციის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგებს ერთი ცხოველის გამოსახულება, შესრულებული მაღალი რელიეფით. ამ ცხოველს უჭირავს ჩარჩოს შიგნით მოთავსებული სივრცის ძირითადი ნაწილი. დარჩენილ არეს ავსებს აეურული ორნამენტი, რომელიც შედგება ძირითადად, ცხოველთა ფიგურებისაგან ან მათი ცალკეული ელემენტებისაგან. გეომეტრიული მოტივები ბალთების ორნამენტში ნაკლებ იჩენს თავს. დამატებითი ცხოველები განლაგებულია კომპოზიციის ცენტრალური ფიგურის გარშემო.

ბრინჯაოს აეურული ბალთების პირველი მეცნიერული კლასიფიკაცია ეკუთვნის ხელოვნებათმცოდნე ტ. ივანოვსკაიას¹. ავტორის მიერ შემუშავებულ კლასიფიკაციაში მთავარი ყურადღება ექცევა ბალთების იკონოგრაფიულ ნიშნებს — ცენტრალური ცხოველის პოზასა და კომპოზიციაში წარმოდგენილ გამოსახულებათა რაოდენობას. ამ ორი ნიშნით არის განსაზღვრული ბალთების ჯგუფებად დანაწილების პრინციპი: თითოეული დიდი ჯგუფის შიგნით გამოყოფილია რამდენიმე ქვეჯგუფი. ქვეჯგუფებად დაყოფის დროს კი ავტორი ძირითადად ეყრდნობა იკონოგრაფიის, სტილის, ბალთის ზომის, ჩარჩოს შესრულების სტილის ცვალებადობას.

ტ. ივანოვსკაიას მიერ შემუშავებული სქემის თანახმად, ბალთებზე გამოსახული ცენტრალური ცხოველი აღინიშნება A-თი, მის ზურგს ზევით მოთავსებული ცხოველი B-თი, ცენტრალური ცხოველის თავთან წარმოდგენილია ფიგურა C-თი, ხოლო ფეხებთან გამოსახული ცხოველი D-თი.

იმ დროისათვის ცნობილი ბალთები ტ. ივანოვსკაიას განაწილებული აქვს სუთ დიდ ჯგუფად. პირველ ჯგუფში გაერთიანებულია ის ბალთები, რომლებზეც წარმოდგენილია ოთხფიგურიანი კომპოზიცია ABCD. მეორე ჯგუფში გაერთიანებულია ბალთები, რომლებზედაც მხოლოდ ორა ცხოველია გამოხატული DA. მესამე ჯგუფში ავტორი აერთიანებს აგრეთვე ორფიგურიან კომპო-

¹ Т. А. Ивановская, Кавказские бронзовые поясные пряжки, 1928.

პოზიციას — აქედან A ცხოველი მოცემულია „რბენის“ პოზაში, ხოლო კომპოზიციის მეორე ელემენტი B ცხოველი. მეოთხე ჯგუფში ტ. ივანოვსკაია აერთიანებს სამცხოველიან კომპოზიციებს — ABD. მეხუთე ჯგუფს ავტორი აკუთვნებს ბალთების იმ ერთადერთ ეგზემპლარს, რომელზეც წარმოდგენილია ორთავიან ფანტასტიკურ ირემზე ამხედრებული ქალღვთაების ფიგურა.

თითოეული ჯგუფი, თავის მხრივ, დაყოფილია ქვეჯგუფებად. ტ. ივანოვსკაიას შენიშვნით, თითოეულ ქვეჯგუფს გარკვეული თავისებურება გააჩნია. ეს თავისებურებანი წინა ქვეჯგუფის თავისებურებიდან გამომდინარეობს, რაც; ბალთებში ქმნის საერთო ევოლუციურ ხაზს, სადაც თითოეული სახე წინა ქვეჯგუფიდან გამომდინარეობს და შემდეგი ტიპის საფუძველს ქმნის.

ეს კლასიფიკაცია, ავტორის სიტყვით, შემუშავებულია წმინდა ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით და ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას არ ეყრდნობა.

ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში ავტორი განიხილავს ბალთების მხოლოდ პირველ ჯგუფს, იძლევა თვითეული ქვეჯგუფის იკონოგრაფიულსა და სტილისტურ ანალიზს და საყურადღებო დაკვირვებებს გვთავაზობს.

იმავე წელს ტ. ივანოვსკაიამ გამოაქვეყნა მეორე წერილი², რომელიც მისი პირველი ნაშრომის დამატებად შეიძლება ჩაითვალოს. ნაშრომში განხილულია ბალთების ნაკლებად გავრცელებული ჯგუფი, რომელსაც მკვლევარი თავისი კლასიფიკაციის მესამე ჯგუფში აერთიანებს. ამ ბალთებზე ცხოველი მოცემულია „რბენის“ პოზაში, ხოლო კომპოზიციის მეორე ელემენტი ცენტრალური ცხოველის ზევით არის გამოხატული.

ამგვარად, ტ. ივანოვსკაიამ თავის ნაშრომებში შემოგვთავაზა იმ დროისათვის ცნობილი ბალთების კლასიფიკაცია. მის მიერ გამოყოფილი ხუთი დიდი ჯგუფიდან ავტორი დაწვრილებით შეისწავლის მხოლოდ პირველსა და მესამე ჯგუფებს და მათი სტილისტური განვითარების საკმაოდ საინტერესო სურათს გვაწვდის.

ტ. ივანოვსკაიას ნაშრომები მეტად საყურადღებო შეხედულებებს შეიცავენ. დიდი მნიშვნელობა აქვს ავტორის მიერ შემუშავებულ სქემასაც. მაგრამ, ზოგადად, ივანოვსკაიას მიერ შემუშავებულ კლასიფიკაციას ნაკლოვანი მხარეებიც გააჩნია. კერძოდ, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს გამართლებული რაოდენობრივი პრინციპი, რომელიც ივანოვსკაიას კლასიფიკაციას უდევს საფუძველად³. ამ ნიშნის მიხედვით ავტორი პირველ ჯგუფში აერთიანებს ყველა ოთხ ელემენტარ კომპოზიციას. როგორც დავინახავთ, ოთხფიგურიანი კომპოზიციები იკონოგრაფიულად და სტილისტურად სრულიად განსხვავებული ბალთებისათვის არის დამახასიათებელი. მხოლოდ ამ პრინციპით მათი ერთ ჯგუფში გამოყოფა არ უნდა იყოს გამართლებული. ასევე გაუმართლებელია კლასიფიკაციის მესამე ჯგუფში ორელემენტარ კომპოზიციების მოთავსება და სხვა.

ტ. ივანოვსკაიას მიერ შემუშავებულ სქემას ნაწილობრივ იზიარებს გ. გობეჯიშვილი. სემანტიკური და სტილისტური განვითარების მიხედვით ბალთებს იგი აერთიანებს ოთხ ქრონოლოგიურ ჯგუფსა და რამდენიმე საფეხურში⁴.

თავისი კლასიფიკაციის პირველ ჯგუფში გ. გობეჯიშვილი აერთიანებს იმ

² Т. А. Ивановская, Бронзовые прямоугольные пряжки..., Харьков, 1929.

³ შდრ. გ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოს ჭართული ბალთები, გვ. 214—216.

⁴ გ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები, 1942, გვ. 237—248.

ბალტებს, რომლებზეც ცენტრალური ცხოველი თავშემობრუნებულ პოზაშია მოცემული. ირმის რქების განშტოება ქმნის ცხერისა და ხარის ორი თავის (ფიგ. B₁, B₂) სქემატურ გამოსახულებებს. D ფიგურა გამოსახავს ევრძის თავს, ფრინველს ან ძალღს. ამავე ჩგუფის ქვესახეს ქმნის კვლავ უკან თავნობრუნებული ირემი. მისი რქები ცვლილებებს განიცდის. რქები შედარებით მოკლეა და სპირალური ხვეულებით ბოლოვდება. ფეხებს შორის გამოსახული ცხოველი ქრება. კომპოზიციაში ჩნდება ახალი C ელემენტი.

მეორე ჩგუფის ბალტებზე ირემს თავი წინ აქვს მიმართული. იგი „რბენის“ პოზაშია. ზურგის ზემოთ (B) გამოსახულია ხარის, ან ძალღის ფიგურები, ზოგჯერ ცენტრალური ცხოველის ზურგის ზევით დარჩენილი არე ამოვსებულია ცხოველის სტილიზებული ფორმით ან სპირალით. D ცხოველი ძალღია, C ცხოველის ადგილი დაკავებული აქვს A ცხოველის წინა ფეხებს, ან სპირალურ მოტივს.

ამავე ჩგუფის ქვესახეს ეკუთვნის ბალტები, რომელთა ცენტრში გამოსახულია ირემი, რომელიც არ გარბის. ირმის ზურგს ზემოთ გამოსახულია B ხარის თავი, ფრინველი, წინ ძალღი, გველი, ფრინველი, ფეხებს შორის D ძალღი, ფრინველი.

ამავე ჩგუფის მეორე ქვესახეს ეკუთვნის ის ბალტა, რომლის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ორთავიანი, ფანტასტიკური ირემი. მასზე გამოსახულია ანთროპომორფული არსება. ცხოველის ფეხებქვეშ ძალღია გამოხატული, ხოლო წინ — გველი.

II ჩგუფის ბალტების ზოგიერთ ეგზემპლარზე ირემი კარგავს განშტოებულ რქებს და ნახევარმთვარის ან ნამგლის ფორმის წამონაზარდებს იძენს.

III ჩგუფის ბალტებზე გამოსახულია ფანტასტიკური ცხოველი, რომელსაც რქების მაგივრად აქვს ახალი მთვარის მოყვანილობის წამონაზარდები. გ. გობეჯიშვილის აზრით, ფანტასტიკური ცხოველი ცხენის რეალური გამოსახულებით შეიქცელება.

კლასიფიკაციის IV ჩგუფში გაერთიანებულია ის ბალტები, რომლებზედაც ცენტრალურ გამოსახულებას წარმოადგენს ხარი.

გ. გობეჯიშვილის მიერ გამოყოფილი ბალტების ოთხ ჩგუფს შ. ამირანაშვილი უმატებს მეხუთეს. მეხუთე ჩგუფში ავტორი აერთიანებს ბორჯომის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში დაცულ ორ ბალტას, რომლებიც სტილის თვალსაზრისით წინა ჩგუფისაგან განსხვავებულ მხატვრულ ჩგუფს ქმნიან.

ერთ-ერთ მათგანზე გამოსახულია ფანტასტიკური თავშემობრუნებული არსება ფრინველის თავით, რომელსაც მოგრძობ რელიეფური სხეული აქვს. ფეხების მაგივრად ფანტასტიკურ არსებას ოთხი წამონაზარდი აქვს, რომლებიც ორნამენტული ხვეულის ფორმას გვაძლევენ⁵.

გ. გობეჯიშვილი ნაწილობრივ იზიარებს ივანოვსკაიასეულ სქემებს, ხოლო ზოგ შემთხვევაში ცვლის და აუმჯობესებს მათ. თუ ტ. ივანოვსკაია ბალტაზე წარმოდგენილ ყველა ოთხფიგურიან კომპოზიციას თავისი კლასიფიკაციის პირველ ჩგუფში ათავსებდა, გ. გობეჯიშვილი, საეცებით სამართლიანად, გამოყოფს აღნიშნული ტიპის ბალტებში ორ სრულიად განსხვავებულ ჩგუფს.

გ. გობეჯიშვილის მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია საინტერესო და

⁵ შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 91

კვირებებს შეიცავს, მაგრამ რამდენადაც ავტორი ეყრდნობა არსებული ბალ-
თების მცირერიცხოვან ნაწილს, დღეს ეს კლასიფიკაცია სრულყოფილად ვერ
ჩაითვლება.

დღეისათვის დაგროვილი მასალა ბალთების ახლებური კლასიფიკაციის აუ-
ცილებლობას იწვევს. ჩვენ ხელთ გვაქვს ბრინჯაოს ქართული ბალთების ას-
ოთხმოცამდე ეგზემპლარი. ამიტომ, მიუხედავად ზევით მოხსენიებულ მკვლევარ-
თა მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციების ძირითადი პრინციპის სისწორისა,
დღეისათვის მოპოვებული მასალა მათი კლასიფიკაციის ჩარჩოებში ვერ ეტყე-
ვა და ახლებურ დაჯგუფებას მოითხოვს.

იმისათვის, რომ შედარებით სრულად მოხერხდეს არსებული ბალთების
დაჯგუფება, რომ მოვახდინოთ ბალთების დეკორის მხატვრული ანალიზი, აღ-
ვადგინოთ მათი სტილისტური განვითარების სურათი, საჭიროა ერთ მთლიან-
ობაში შევისწავლოთ ბალთების ყველა ის მრავალრიცხოვანი ნიმუში, რომ-
ლებიც დღეისათვის არის ცნობილი⁶.

ბრინჯაოს ქართული ბალთების დაჯგუფებისას, ჩვენ ვიზიარებთ ტ. ივან-
ოვსკიასა და გ. გობეჯიშვილის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის ძი-
რითად პრინციპს — ცენტრალური ცხოველის ცვალებადობას. მართლაც, ქარ-
თული ბალთების უმეტესობის შესახებ დატული ცნობები იმდენად მწირია
და ზედპირული, რომ მათი კლასიფიკაციის დროს ძირითადი ამოსავალი თვი-
თონ ბალთის მონაცემები უნდა იყოს. კერძოდ კი, პირველ რიგში ყურადღება
უნდა მიექცეს ბალთაზე ცენტრალური ცხოველის გამოსახულებას, რომელიც
ამ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალის სისტემაში მოყვანის ერ-
თადერთ რეალურ საშუალებას წარმოადგენს.

ცენტრალური ცხოველის იკონოგრაფიის ცვლილებების მიხედვით ჩვენ
გამოვყავით ჰვირული ბალთების ხუთი იკონოგრაფიული ჯგუფი. თითოეული
ჯგუფი რამდენიმე ქვეჯგუფად არის დაყოფილი. ქვეჯგუფებად დაყოფის დროს
ძირითადად ყურადღებას ვაქცევდით დამატებითი ცხოველებისა და ჩარჩოს ორ-
ნამენტის ცვალებადობას.

ქართული ბალთების ჯგუფებსა და ქვეჯგუფებს დაწვრილებით ქვემოთ შე-
ვებებით.

ვიყენებთ ტ. ივანოვსკიას შემოთავაზებულ სქემას და კომპოზიციის
ძირითად ელემენტს აღვნიშნავთ A-თი, მის ზურგს ზევით მოთავსებულ ცხო-
ველს B-თი, ცენტრალური ცხოველის წინ გამოსახულ ფიგურას C-თი, ხოლო
ცენტრალური ცხოველის ფეხებთან მოცემულ ცხოველს D-თი.

I ჯ გ უ ფ ი

ჩვენი კლასიფიკაციის პირველ ჯგუფში გაერთიანებულია საკმაოდ დიდ-
ჯგუფი ბალთებისა. ამ ჯგუფის ბალთებისათვის დამახასიათებელია ორი საერთო
ნიშანი: 1. კომპოზიციის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს უკან თავმოპო-
რუნებული ფანტასტიკური ირმის გამოსახულება. 2. ამ ჯგუფში გაერთიანებუ-

⁶ ბალთების ძირითადი კოლექციები დატულია თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა
მუზეუმებში, ბალთების მნიშვნელოვანი კოლექცია ინახება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმსა
და სახელმწიფო ერმიტაჟში. ბალთების ცალკეული ნიმუშები ინახება აგრეთვე უცხოეთში:
ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმში, ბრიტანეთის მუზეუმში და სხვ.

ლი ბალთებისათვის დამახასიათებელია ორფიგურიანი კომპოზიცია, რომელიც შედგება ორი, A და D ელემენტისაგან.

აღნიშნული ჯგუფი შედგება ორი ქვეჯგუფისაგან.

I ქვეჯგუფი

პირველ ქვეჯგუფში გაერთიანებულ ბალთებს ახასიათებს ორი საერთო იკონოგრაფიული ნიშანი: 1) ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით, 2) კომპოზიციის D ელემენტს წარმოადგენს ჭიხვის თავის გამოსახულება.

მაგალითისათვის განვიხილოთ ბალთა № 1 (ტაბ. 1).

ბალთაზე წარმოდგენილია ორფიგურიანი კომპოზიცია AD. A წარმოადგენს უკანთავმობრუნებულ ფანტასტიკურ ირემს. D — ჭიხვის თავის სქემატურ გამოსახულებას. ბალთა ფორმით უახლოვდება კვადრატს. შედარებით სხვა ნიმუშებთან, პატარა ზომის არის. იგი მასიურია და ტლანქად ნამუშევარი. გარშემო ბალთას მოუყვება საკმაოდ განიერი ჩარჩო, რომელიც შესრულებულია წნული ორნამენტით. ჩარჩოს კუთხეებში მოთავსებულია დაბალი და მასიური კოპები, რომლებიც გარშემორტყმულია რელიეფურად გამოსახული წრეხაზით.

კომპოზიციის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს ფანტასტიკური ირმის გამოსახულება. ირემი აღნიშნულ კომპოზიციაში, პროფილშია გამოსახული. მას თავი უკან აქვს მობრუნებული. ცხოველის ამგვარი მოთავსება სიბრტყეში კმნის სპირალური კომპოზიციის შთაბეჭდილებას. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ირმის წერილი წელი, რომელიც მის სხეულს ორ ნაწილად ყოფს. წელის ორივე მხარეს იქმნება დაახლოებით თანაბარი სიდიდის მასა — ერთს წარმოადგენს ირმის საკმაოდ ჰიპერტროფირებული თეძო, ხოლო მეორეს მისი მკერდი.

ირმის რქები სიმეტრიულად იშლება ორივე მხარეს და ავსებს ჩარჩოს ზედა ხაზსა და ირმის ფიგურას შორის დარჩენილ სივრცეს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ცენტრალური ცხოველის ზევით დარჩენილი ეს არე ძალიან შემეცირებულია. ალბათ ამიტომ ირმის რქები მოკლე და განიერი ხაზებით არის შესრულებული.

ცენტრალური ცხოველის სხეულსა და ჩარჩოს ქვედა ხაზს შორის მოთავსებული არეც საკმაოდ მცირეა. ბალთის ამ ნაწილს ავსებს ირმის ოთხი ფეხი. ფეხები მოკლე და განიერი ხაზებით არის შესრულებული. ორი განაპირა ფეხი თითქმის სრულიად სწორხაზოვნად არის დამუშავებული, ამიტომ საყრდენი სექტების შთაბეჭდილებას ტოვებს.

დამატებითი ცხოველი გამოსახულია ცენტრალური ცხოველის ფეხებთან. ეს არის კომპოზიციის D ელემენტი, რომელსაც ჭიხვის თავის სქემატური გამოსახულება წარმოადგენს. კომპოზიციაში სქემატურად არის გამოხატული ჭიხვის თავის კონტური, თავზე გამოსახულია დახვეული რქები და რელიეფური თვალები.

II ქვეჯგუფი

მეორე ქვეჯგუფში გაერთიანებულ ბალთებზე ჩარჩო კვლავ წნული ორნამენტით არის შესრულებული. განსხვავებულია მხოლოდ კომპოზიციის D

ელემენტი, რომელსაც მეორე ქვეჯგუფის ბალთებზე ფრინველის გამოსახულება წარმოადგენს. მაგალითისათვის განვიხილოთ ბალთა № 8 (იხ. ტაბ. 2).

ბალთა ფორმით უახლოვდება კვადრატს. ზომით თითქმის I ქვეჯგუფში განხილული ბალთების ტოლია. მაგრამ, ამავე დროს, საკმაოდ განსხვავდება მათგან. საერთო შთაბეჭდილებით, აღნიშნული ნიმუში, ზევით განხილული ბალთებისაგან განსხვავებით, ნაკლებ მასიურია და უფრო მეტადაა აუქურული. ეს მიღწეულია იმით, რომ შემცირებულია ჩარჩოს სიგანის ზომა. შესაბამისად ამისა, ჩარჩოს შიგნით მოთავსებული არე უფრო ვრცელია. შეცვლილია გამოსახულებათა პროპორციები. ფორმა უფრო დახვეწილია, თხელი და ლამაზი.

ბალთის ჩარჩო ვიწროა, იგი შედგება წნული ორნამენტის ერთი რიგისაგან. ჩარჩოს კუთხეებში მოთავსებულია დაბალი, წრიული ფორმის კოპები.

ჩარჩოს შიგნით დარჩენილი სივრცის უდიდესი ნაწილი უქირავს კომპოზიციის ძირითად A ელემენტს. ცენტრალური ცხოველი სპირალურად არის განლაგებული. თავი მას უკან აქვს შემობრუნებული და თავით ეხება გვეს. უკან შემობრუნებულ კისერთან ერთად სპირალური კომპოზიციის შთაბეჭდილებას ქმნის ვიწრო და საკმაოდ გრძელი წელი, რომელიც ცხოველის სხეულის ორ ნაწილად ყოფს.

ირმის რქები სიმეტრიულად იშლება ორ მხარეს და ავსებს ბალთის ზედა ნაწილს. ირმის კუდი განლაგებულია მისი ზურგის გასწვრივ. კუდი ბოლოში სპირალურად არის დახვეული და უერთდება ირმის რქებს.

ცენტრალური ცხოველის სხეულსა და ჩარჩოს ქვედა ხაზს შორის დარჩენილი არე შევსებულია ირმის ფეხების გამოსახულებით. მარჯვნივ განლაგებული ორი ფეხი თითქმის სწორხაზოვნად არის მოცემული. ისინი თითქოს საყრდენი სეკტების შთაბეჭდილებას სტოვებენ. მარცხნივ მდებარე ორი ფეხი შესრულებულია ფორმის ერთგვარი მოხრით. ფორმის დეტალიზაცია ძალიან სუსტია. ფეხები ბოლოვდება სუსტად შესამჩნევი ქდეებით, რომლებიც ბალთებზე სხვა ნიმუშებზე კარგად გამოხატული ჩლიქების სახეს იღებს.

ცენტრალური ცხოველის ფეხებთან განლაგებულია კომპოზიციის D ელემენტი. ცხოველი ძალიან პირობითად არის გამოხატული. მისი ფიგურა ზოგად ხაზებშია გადმოცემული. მას აქვს გრძელი კისერი, რომელიც მოლუნული თავით მთავრდება. საფიქრებელია, რომ ბალთაზე ჩვენ ფრინველის სქემატური გამოსახულება გვაქვს მოცემული.

III ქ ე ე ჯ გ უ ფ ი

პირველი ჯგუფის მესამე ქვეჯგუფს ახასიათებს ზოგიერთი ახალი იკონოგრაფიული ნიმუანი: 1) ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. 2) კომპოზიციის D ელემენტს წარმოადგენს ძალის გამოსახულება.

მაგალითისათვის განვიხილოთ ბალთა № 29 (იხ. ტაბ. 2).

ბალთას გარშემო მოუყვება საკმაოდ განიერი ჩარჩო, რომელიც შესრულებულია სპირალური ორნამენტით. ჩარჩოს კუთხეებში მოთავსებულია კონფუსის ფორმის საშუალო სიმაღლის კოპები, რომლებიც გარშემორტყმულია რელიეფური წრეებით.

კომპოზიციის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ფანტასტიკური ირმის გამოსახულება. ირმის ფიგურა მოცემულია პროფილში.

ირემს აქვს სიმეტრიულად გაშლილი და დატოტვილი რქები. რქების ფორ-

მა ავსებს ირმის სხეულსა და ჩარჩოს ზედა ხაზს შორის დარჩენილ მთელ სივრცეს. ცენტრალური ცხოველის ფეხები თხელი და დახვეწილი პროპორციებით გამოირჩევა. ფეხები შესრულებულია ფორმის მოხდენილი მოხრით. კარგად ჩანს ოსტატის სწრაფვა ფორმის დეტალიზაციისაკენ. ფეხები ბოლოვდება კარგად დამუშავებული და აშკარად შესამჩნევი ჩლიქებით.

აღნიშნულ კომპოზიციაში ცენტრალური ცხოველის ფეხებთან გამოხატულია ძალლი. მისი ფიგურა საკმაოდ რეალისტურად არის გადმოცემული. ძალლი მოცემულია ექსპრესიულ პოზაში. მას აქვს მოგრძო და თხელი სხეული. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბალთების დეკორში ძალლის სხეულის გადმოცემის პრინციპი ძალიან მოგვაგონებს ფანტასტიკური ირმის დამუშავების პრინციპს. ძალს აქვს ვრძელი და ვიწრო წელი, რომელიც მის სხეულს ორ ნაწილად ყოფს და ამით ქმნის მეკრდისა და თეძოს მოცულობით ფორმებს. ძალს აქვს ვრძელი, ბოლოში სპირალურად დახვეული კული. სახეზე კარგად შეიმჩნევა დიდი რელიეფური თვალი. კარგად არის დამუშავებული ძალლის თათები, რომლებიც თავისი ფორმით თითქოს ცენტრალური ცხოველის ჩლიქებს მოგვაგონებს.

II ჭ გ უ ფ ი

ჩვენი კლასიფიკაციის მეორე ჭგუფში გაერთიანებულია ბალთების ყველაზე მრავალრიცხოვანი ნიმუში. მათთვის დამახასიათებელია ორი საერთო ნიშანი:

1) კომპოზიციის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ფანტასტიკური ირემი, რომელსაც პირველი ჭგუფის ბალთებზე წარმოდგენილი ირმისაგან ორი იკონოგრაფიული ნიშანი განასხვავებს: ა) მეორე ჭგუფის ბალთებზე ირემს თავი წინ აქვს მიმართული, ბ) განსხვავებულია აგრეთვე ირმის რქები. აქ რქები ორად იყოფა და სპირალებით ბოლოვდება.

2) მეორე ჭგუფის ბალთების ჩარჩოში ყოველთვის ჩასმულია ოთხფიგურაიანი კომპოზიცია.

I ქ ე ე ჭ გ უ ფ ი

პირველ ქვეჯგუფში გაერთიანებულ ბალთებს ახასიათებს რამდენიმე საერთო იკონოგრაფიული ნიშანი: 1) ბალთების ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით, 2) კომპოზიციის B ელემენტია ირემი, D ფრინველი, C ძალლი. მაგალითისათვის განვიხილოთ ბალთა № 36 (იხ. ტაბ. 4). ბალთაზე ოთხკუთხედ ჩარჩოში წარმოდგენილია ოთხფიგურაიანი კომპოზიცია ABCD. ჩარჩო შედგება წნული ორნამენტისაგან. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი, მასიური კოპები.

კომპოზიციის ცენტრალური ელემენტია ფანტასტიკური ირმის გამოსახულება, რომელიც წარმოადგენს პროფილში გამოსახულ სიგრძეზე განლაგებულ მასივს. ცენტრალურ ცხოველს აქვს წვრილი და საკმაოდ გრძელი წელი, რომელიც მის სხეულს ორ ნაწილად ყოფს. წელის ორივე მხარეს იქმნება დაახლოებით თანაბარი სიდიდის ფორმა. ერთს წარმოადგენს ცხოველიან ბეკრდი, ხოლო მეორეს მისი პიპერტროფირებული თეძო.

ირმის რქები ორად არის გაყოფილი და ბოლოში მთავრდება სპირალებით, რომლებიც ჩარჩოს ეხება. რქებთან ახლოს გამოსახულია ცხოველის ყური, რომელიც პატარა, განიერი ხაზით უერთდება რქებს. ცენტრალური ცხოველის

გრძელი კუდი განლაგებულია მისი ზურგის გასწვრივ და მთავრდება სპირალით.

კომპოზიციის B ელემენტს წარმოადგენს ირმის თავის გამოხატულება. თავი მოცემულია an face, ძალიან სქემატურად. გადმოცემულია მხოლოდ სახის კონტური. მას აქვს გრძელი სახე, რომელიც ორი მოგრძო ყურით უერთდება ჩარჩოს. რქებს შორის, როგორც ჩანს, ცხოველის შუბლზე რელიეფურად გამოხატულია რაღაც ნიშანი.

ცენტრალური ცხოველის ფეხთან გამოხატულია კომპოზიციის D ელემენტი, რომელიც ფრინველის გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს. კომპოზიციაში მოცემულია ამ ცხოველის სხეულის წინა ნაწილის ზოგადი, სწორხაზოვანი დამუშავებული კონტურები. წინა თათებით იგი ცენტრალური ცხოველის ფეხებს ეყრდნობა. მას აქვს მაღალი, სწორი კისერი, რომელიც თავდება მოკაუქებული თავით. ცხოველის სხეულის უკანა ნაწილი კომპოზიციაში საერთოდ არ არის გამოხატული. ჩვენი აზრით, კომპოზიციაში ცენტრალური ცხოველის წინ (C) ძალდა გამოხატული, ძალის ფიგურა ძალიან ტლანქად არის ნაკეთები. მას აქვს გრძელი, სწორხაზოვანი ტანი, ცუდად დამუშავებული მოკლე და განიერი ფეხები, პატარა თავი, რომელზედაც კარგად ემჩნევა დიდი რელიეფური თვალი.

II ქვეჯგუფი

მეორე ჯგუფის მეორე ქვეჯგუფს, სხვა ქვეჯგუფებისაგან განსხვავებული, თავისი სპეციფიკური იკონოგრაფიული ნიშნები ახასიათებს. II ქვეჯგუფში გავრთიანებული ყველა ბალთის ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით, კომპოზიციის B ელემენტია ძალი, D — ფრინველი, C — თევზი.

მაგალითისათვის განვიხილოთ ბალთა № 47 (ტაბ. 4).

ბალთაზე ოთხკუთხედ ჩარჩოში ჩასმულია ოთხელემენტია კომპოზიცია. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. სპირალების ერთ რიგს, ორივე მხარეს, დაუყვება წნული ორნამენტის ვიწრო რიგი. ჩარჩოს კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კონუსის ფორმის კოპები, რომლებიც გარშემორტყმულია რელიეფური წრეებით. კომპოზიციის ცენტრს წარმოადგენს ფანტასტიკური ირმის გამოსახულება. ირმის ფორმა მასიურობითა და შესრულების ერთგვარი სიტლანქით გამოირჩევა.

ცენტრალურ ცხოველს აქვს მოკლე, განიერი კისერი, რომელიც თანდათან ვიწროვდება და გადადის პატარა თავში. თავზე ცხოველს კარგად ემჩნევა დიდი, რელიეფურად შესრულებული თვალი. თვალის ორივე მხარეს მოთავსებულია შეერილები. ცხოველს ხახა დაღებული აქვს. მისი ბოლოები სპირალურად ეხვევა და ჩარჩოს ეხება. მაგრამ ფორმა ტლანქია და დაუნაწევრებელი. ამიტომ ხახა ჩარჩოსაგან გამოყოფილი არ არის.

ცხოველის რქები ორ ნაწილად არის გაყოფილი და ბოლოში სპირალურად ეხვევა. გრძელი კუდი ცხოველის ზურგის გასწვრივაა განლაგებული და ბოლოში სპირალურად დახვეული. ირემს კისერსა და ზურგზე მოუყვება გრებილი მოსართავი.

ცენტრალურ ცხოველსა და ჩარჩოს ქვედა ხაზს შორის დარჩენილი სივრცე საკმაოდ შემეიკრებელია. ცხოველი ჩარჩოს უერთდება ფეხების საშუა-

ლებით. ფეხები შედარებით მოკლეა და დაკუთხული ხაზებით არის შესრულებული.

ცენტრალური ცხოველის ფეხებს შორის გამოსახულია კომპოზიციის D ელემენტი. იგი წარმოადგენს ფრინველის გამოსახულებას, რომლის ფიგურა შედარებით უკეთ არის დამუშავებული.

III ქვეჯგუფი

მეორე ჯგუფის მესამე ქვეჯგუფში გაერთიანებულ ბალთებს ახასიათებთ ზოგიერთი საერთო იკონოგრაფიული ნიშანი. უმრავლეს შემთხვევაში ბალთების ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კომპოზიციის B და D ელემენტებს ძალის გამოსახულება წარმოადგენს, ხოლო C ელემენტს — გველისა. არის მცირერიცხოვანი შემთხვევები (იხ. კატალოგი №№ 67—72), როდესაც კომპოზიციაში გველის ფიგურას ორმხრივ დახვეული სპირალის გასახულება ეკლის. ბალთების ამ ნიმუშებზე შეცვლილია აგრეთვე ჩარჩოც, რომელიც ამ შემთხვევაში წნული ორნამენტით არის შესრულებული.

მესამე ქვეჯგუფის ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს ბალთა № 58 (იხ. ტაბ. 5).

ბალთის ჩარჩო შედგება სპირალური ორნამენტის ორი რიგისაგან. ჩარჩოს კუთხეებში გაკეთებული აქვს საშუალო სიმაღლის კონუსები, რომლებიც გარშემორტყმულია რელიეფური წრეებით.

კომპოზიციის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ფანტასტიკური ირმის გამოსახულება, რომელიც თითქმის არაფრით არ განსხვავდება წინა ქვეჯგუფებში წარმოდგენილი ფანტასტიკური ცხოველისაგან.

კომპოზიციის B და D ელემენტს წარმოადგენს ძალის გამოსახულება. ძალის ორივე ფიგურა საკმაოდ ექსპრესულ პოზაშია მოცემული. ამ ფიგურებს საერთო იკონოგრაფიული ნიშნები ახასიათებთ. ორივეგან კარგად შეიმჩნევა ძალის ვიწრო და მოგრძო წელი, გრძელი, ბოლოში სპირალურად დახვეული კუდი, დაკვეტილი ყურები და ა. შ.

კომპოზიციაში ფანტასტიკური ირმის წინ გამოხატულია გველი. კარგად არის დამუშავებული მისი ოდნავ გაგანიერებული თავი, რომელზედაც დიდი რელიეფური თვალია გამოყვანილი.

IV ქვეჯგუფი

მეოთხე ქვეჯგუფში გაერთიანებული ბალთების საერთო ნიშანს წარმოადგენს კომპოზიციის ცენტრში A გამოსახული ფანტასტიკური ირემი. კომპოზიციის B ელემენტია ძალის. C და D ელემენტებია ფრინველი

ჩარჩო მორთულია როგორც წნული, ასევე სპირალური ორნამენტით.

მეოთხე ქვეჯგუფში გაერთიანებული ბალთები ფორმის სილამაზითა და დახვეწილობით გამოირჩევა. მის ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს ბალთა № 64 (იხ. ტაბ. 5).

ჩარჩო შედგება სპირალური ორნამენტის ორი რიგისაგან. მისი ორნამენტი მოცემულია საკმაოდ მაღალ რელიეფში და მაღალმხატვრულად არის შესრულებული. ჩარჩოში ჩასმულია ოთხფიგურაიანი კომპოზიცია ABCD. კომპო-

ზიციის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ფანტასტიკური ირემი, რომელიც ბალთაზე პროფილშია მოცემული. ცხოველს აქვს საკმაოდ გრძელი კისერი, რომელიც თავის მიმართულებით თანდათან ვიწროვდება, თავზე გამოყვანილია დიდი, რელიეფური თვალი. ხახა დეკორატიულად იშლება და ჩარჩოს ებჯინება. ხახაზე გამოხატულია ქდეები, რომლებიც დეკორატიულ მიზნებს ემსახურება.

ცენტრალური ცხოველის რქები ორად არის დატოტვილი და მთავრდება მოზრდილი სპირალებით.

ცენტრალურ ცხოველს კისერზე და ზურგზე მოუყვება გრეხილი მოსართავი. ირმის კული განლაგებულია ცხოველის ზურგის გასწვრივ და სპირალით მთავრდება.

ირმის ფეხები შესრულებულია დაკუთხულ ხაზებში. ფეხის ფორმა ძლიერ დეტალიზაციას განიცდის და კარგად დამუშავებული ჩლიქების სახეს იღებს.

ცენტრალური ცხოველის ზევით (B) გამოხატულია ძალდი. ძალდი ექსპრესულ პოზაშია მოცემული მისი შესრულების სტილი ძალიან მოგვაგონებს ცენტრალური ცხოველის გამოხატვის სტილს.

კომპოზიციის C და D ელემენტს წარმოადგენს ფრინველის გამოსახულება. ფიგურები აქაც ზოგად ხაზებშია მოცემული. მაგრამ ფორმა უკეთ არის დამუშავებული; მოჩანს ოსტატის სწრაფვა ფორმის დეტალიზაციისაკენ. ფრინველებს კარგად ემჩნევათ თვალის გამოსახულება. სხეულზე უჩინდებთ დამატებითი ქდეები, რაც ფრთების სქემატურ გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს. ფრინველის სხეულზე ქდეების გამოყვანა შეესაბამება მთელი კომპოზიციის ორნამენტულ ხასიათს.

V ქ ვ ე ჯ გ უ ფ ი

მეხუთე ქვეჯგუფში გაერთიანებულია ბალთის ერთადერთი, მაგრამ შეტად საინტერესო ეგზემპლარი, რომელზედაც ქალღვთების გამოსახულება გვაქვს მოცემული (ბალთა № 86. იხ. ტაბ. 7).

ბალთა დახვეწილი ფორმითა და შესრულების მაღალი ოსტატობით გამოირჩევა. მას გარშემო მოუყვება საკმაოდ განიერი ჩარჩო, რომელიც სპირალური ორნამენტის ორი რიგისაგან შედგება. ჩარჩოს კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები, რომლებიც გარშემორტყმულია რელიეფური წრეებით.

ბალთაზე წარმოდგენილი კომპოზიციის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ორთავიანი ფანტასტიკური ირმის გამოსახულება. ორთავიან ირემს აქვს საკმაოდ ვიწრო წელი, რომლის ორივე მხარეს მოცემულია ირმის ორი მკერდი. მკერდის ორივე ფორმა თანაბარი სიდიდის არის და ერთ სიმბრტყეშია წარმოდგენილი. მკერდის ფორმა ძალიან მოცულობითია. ფორმის მოცულობითობასა და სიმრგვალებს ხაზს უსვამს მკერდზე გამოხატული კონცენტრიკული წრეები, რომლებიც თითქოს წარმოადგენენ გარკვეულ აქცენტს მოცულობით მასებზე. ბალთის ორნამენტში მოცულობით მასებს ქმნის აგრეთვე ფანტასტიკური ცხოველის ორი თავი. თავების ფორმა აქცენტირებულია რელიეფურად გამოყვანილი თვლებით. ფანტასტიკურ ცხოველს ხახა ფართოდ აქვს დაღებული. იგი სპირალურად იშლება და ორივე მხარეს ჩარჩოს ებჯინება.

ირმის თავებთან, ორივე მხარეს მოცემულია სპირალურად დახვეული რქე-

ბი. ისე, რომ ბალთის ორნამენტში ოთხი, ორმხრივ სპირალურად დახვეული რქა არის წარმოდგენილი. ფანტასტიკურ ირემს კისერზე მოუყვება გრეხილი ორნამენტი.

ცენტრალური ცხოველის ფეხები ლამაზი, თხელი პროპორციებით გამოირჩევა და ფორმის ერთგვარი მოხრით არის შესრულებული.

ფანტასტიკურ ორთავიან ირემზე ამხედრებულა ქალღვთაების ფრონტალური ფიგურა. მას ხელები ზევით აქვს აწეული. მარჯვენა ხელით ის ჩარჩოს ეყრდნობა, ხოლო მარცხენა ხელის მტევანი მოხრილი აქვს და ეხება ირმის რქებს. ქალღვთაების სახე ტლანჭადაა დამუშავებული. ფორმის დეტალიზაცია ძალიან სუსტია და უხეში. ქალის ფიგურას მკვეთრად ემჩნევა შკერდი. წელზე მას ქამარი აქვს შემორტყმული. ორთავიანი ფანტასტიკური ირმის თავებთან გველის სახეებით ერთნაირი გამოსახულებანია მოცემული. გველს აქვს სხეულთან შედარებით მასიური თავი, რომელზედაც დიდი რელიეფური თვალია გამოყვანილი. გველს კუდი ბოლოში სპირალურად არის დახვეული.

ცენტრალური ცხოველის წელს ქვემოთ ძაღლის ფიგურაა მოცემული.

VI ქ ე ე ჯ გ უ ფ ი

მეორე ჯგუფის მეექვსე ქვეჯგუფში გაერთიანებულ ბალთებს ახასიათებთ რამდენიმე საერთო ნიშანი: 1) ბალთების ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით, 2) ბალთებზე წარმოდგენილი ოთხელემენტის კომპოზიციის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ფანტასტიკური ირემი, ხოლო დანარჩენ სამ ელემენტს ძაღლის ფიგურები.

მეექვსე ქვეჯგუფის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს ბალთა № 87 (იხ. ტაბ. 7).

ბალთის ჩარჩო შედგება წნული ორნამენტისაგან. ჩარჩოს კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კონუსები.

კომპოზიციის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ფანტასტიკური ირემი. ირემს აქვს წკრილი და მოგრძო წელი, რომელიც მის სხეულს ორ ნაწილად ყოფს.

ირემს სახეზე კარგად ეტყობა დიდი რელიეფური თვალი. კუდი განლაგებულია ირმის ზურგის გასწვრივ და ბოლოვდება სპირალით. ირმის ირგვლივ განლაგებულია ძაღლის ფიგურები.

კომპოზიციაში წარმოდგენილ ძაღლის ფიგურებს საერთო ნიშნები ახასიათებთ. ძაღლს ყოველთვის აქვს მოგრძო სხეული, ვიწრო წელი, დიდი, რელიეფური თვალი, დაკვეთილი ყურები, გრძელი, ბოლოში სპირალურად დახვეული კუდი და სხვ.

III ჯ გ უ ფ ი

ჩვენი კლასიფიკაციის მესამე ჯგუფში გაერთიანებულია ერთი დიდი ჯგუფი ქართული ბალთებისა, რომლებზეც წარმოდგენილი კომპოზიცია, მეორე ჯგუფის ბალთების მსგავსად, ოთხი ელემენტისაგან შედგება. მესამე ჯგუფში კომპოზიციის ძირითად ელემენტს კვლავ ფანტასტიკური ირმის გამოსახულება წარმოადგენს, რომლის გარშემოცაა განლაგებული კომპოზიციის სხვა შემადგენელი ნაწილები. ამიტომაც რ. ივანოვსკიამ, რომლისთვისაც ამოსაველ

წერტილს კომპოზიციაში წარმოდგენილი ელემენტების რაოდენობრივი მხარე წარმოადგენდა, ყველა ეს ნიშნები ბალთების ერთ დიდ საერთო ჯგუფში გააერთიანა. ტ. ივანოვსკაიას ეს უზუსტობა თავის დროზე გ. გობეჯიშვილმა აღნიშნა და სრულიად სამართლიანად ამ ტიპის ბალთებში ორი განსხვავებული ჯგუფი გამოჰყო.

მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კლასიფიკაციის მეორე და მესამე ჯგუფში გაერთიანებული ბალთები ზოგიერთი ნიშნებით ერთმანეთს ემსგავსებიან, მათ შორის დიდი განსხვავებაც შეიმჩნევა, როგორც იკონოგრაფიის, ასევე შესრულების სტილის მხრივაც. განსხვავებით მეორე ჯგუფისაგან, მესამე ჯგუფის ბალთებზე აშკარად შეინიშნება განვითარების გარკვეული ხაზი. ხათლად ჩანს, თუ როგორ იძენს თანდათან ფანტასტიკური ირემი ცხენის ატრიბუტებს და საბოლოოდ, ამ ტიპის ბალთების დეკორში ირმის ფიგურას საესეებით რეალისტურად შესრულებული ცხენი შეცვლის. ვინაიდან ბალთების დეკორში ცხენი დამოუკიდებელ მხატვრულ სახეს კი არ წარმოადგენს, არამედ ირმის სახის ევოლუციის შედეგად არის მიღებული — ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ცხენის გამოსახულებიანი ბალთებიც მესამე ჯგუფში მოგვეთავსებინა.

მესამე ჯგუფში, განსხვავებით მეორე ჯგუფისაგან, იცელება აგრეთვე კომპოზიციის დამატებითი ცხოველები. აქ ძალისა და ფრინველის გვერდით ახალი მხატვრული სახეები ჩნდება (კვიცი, ჭიზვის მთლიანი ფიგურა და სხვა).

ბალთების მესამე ჯგუფში ჩვენ გამოვეყავით სამი იკონოგრაფიული ქვეჯგუფი. ქვეჯგუფებად დაყოფისას ჩვენთვის ამოსავალ წერტილს კვლავ წარმოადგენს კომპოზიციაში წარმოდგენილი ცენტრალური ცხოველი.

პირველი ქვეჯგუფის ბალთებზე გამოსახული ცენტრალური ცხოველი ძლიერად წააგავს ჩვენი კლასიფიკაციის მეორე ჯგუფში გაერთიანებულ ბალთებზე მოცემულ ცენტრალურ ცხოველს. მაგრამ მეორე ჯგუფისაგან განსხვავებით, აქ ფანტასტიკურ ირემს მარტივი, სპირალურად დახვეული რქები კი არა აქვს გამოსახული, არამედ მათ ადგის სამი, ორმხრივ სპირალურად დახვეული რქა იქერს. პირველ ქვეჯგუფში, ამ სამრქიანი ირმის ევოლუციის შედეგად მიღებულ ცხენის გამოსახულებასაც ხშირად სამი, სპირალურად დახვეული რქა გააჩნია. ამ რქებს ცხენისათვის ერთი შეხედვით გაუგებარი, რუდიმენტული მნიშვნელობა აქვს, რომელაც თავის ახსნას მხოლოდ და მხოლოდ სამრქიანი ირმის გამოსახულებაში ვპოუვხვართ.

მესამე ჯგუფის მეორე ქვეჯგუფში გაერთიანებული ბალთების ფანტასტიკური ცხოველი სხეულის ზოგადი მოხაზულობით უფრო და უფრო ემსგავსება ცხენს. განსხვავებით პირველი ქვეჯგუფისაგან, ცენტრალურ ფანტასტიკურ ცხოველს ნახევარმთვარისებური რქები აქვს გამოსახული. რქების ეს ფორმა ცხენის გამოსახულებაზეც იჩენს თავს, მაგრამ აქ იგი თავის მნიშვნელობას კარგავს და ცხენის ერთგვარი მოსართავის როლს ასრულებს.

ამგვარად, მესამე ჯგუფის ბალთებზე აშკარად შეიმჩნევა აქ წარმოდგენილი კომპოზიციების ცენტრალური ცხოველის — ფანტასტიკური ირმის ცხენის გამოსახულებით შეცვლის ორი ევოლუციური ხაზი. ერთი ევოლუციური ხაზი ასახულია პირველ ქვეჯგუფში გაერთიანებული ბალთების დეკორის ცვალებადობაში, ხოლო მეორე გზა — მეორე ქვეჯგუფში გაერთიანებული ბალთების ორნამენტის შეცვლაში. მესამე ქვეჯგუფს ეკუთვნის ერთადერთი ეგზემპლარი, რომელზეც წარმოდგენილია მხედარი.

პირველი ქვეჩგუფის ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს ბალთა № 96 (იხ. ტაბ. 8). ბალთის ჩარჩო შედგება წნული ორნამენტისაგან. კუთხეებში მოთავსებულია მაღალი ზომის კონუსები. ჩარჩოში ჩასმულია ოთხფიგურიანი კომპოზიცია ABCD, რომლის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ფანტასტიკური ირმის გამოსახულება. ირეში პროფილშია გამოსახული მას აქვს საკმაოდ მასიური სხეული, რომელსაც ორ ნაწილად ჰყოფს შედარებით წვრილი და მოგრძო წელი.

ფანტასტიკურ ცხოველს კისერსა და ზურგზე მოუყვება გრებილი მოსართავი. ასეთივე გრებილი ორნამენტით დაფარულია მისი ყური. კუდი განლაგებულია ცხოველის ზურგს გასწვრივ და მთავრდება მოზრდილი სპირალით. ირმის ფეხები თხელი, დაკუთხული ხაზებიათ არის შესრულებული.

კომპოზიციის ცენტრალური ელემენტის — ირმის გარშემო ძაღლის ფიგურებია განლაგებული.

მესამე ჩგუფის ბალთებზე ცენტრალური ცხოველის ცვლილებების დასადგენად გარკვეული მნიშვნელობა აქვს ბალთა № 120 განხილვას (იხ. ტაბ. 9).

ბალთის ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. ჩარჩოში ჩასმული კომპოზიციის ცენტრალური ელემენტია ფანტასტიკური ირმის გამოსახულება. სხეულის ზოგადი გამოსახულებით იგი ძალიან ემსგავსება ზევით განხილული ბალთის ცენტრალურ ცხოველს. მაგრამ მიუხედავად ამ მსგავსებისა, ფანტასტიკური ირეში უკვე გარკვეულად მოგვაგონებს ცხენის ფიგურას. მას აქვს უფრო დიდი და მასიური ტორსი, მოკლე და ძალიან მასიური კისერი, რომელიც ცხენის მსგავსად ოდნავ არის მოხრილი თავის მიმართულებით. ამგვარად, ირმის სხეულის მოხაზულობა უკვე ცხენის სხეულს ემსგავსება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ფანტასტიკურ არსებაში ჭერ კიდევ ძლიერად არის წარმოდგენილი ირმის ატრიბუტები — ეს არის უპირველესად ყოვლისა ირმის რქები, რომლებიც სამი, ორმხრივ სპირალურად დახვეული ნაწილისაგან შედგებიან. ფანტასტიკურ არსებას აქვს ირმისათვის დამახასიათებელი გრძელი კუდი, რომელიც მისი ზურგის გასწვრივ არის განლაგებული და ბოლოში სპირალურადაა დახვეული. ცხოველის ფეხები ირმის ფეხებს მოგვაგონებს, რომლებიც დაკუთხულ ხაზებშია შესრულებული და მთავრდება ჩლიქებით.

კომპოზიციის B ელემენტს წარმოადგენს ჩიხვის გამოსახულება, გრძელი, წელში ოდნავ შევიწროებული სხეულით, რომელიც პროფილშია გამოსახული. ჩიხვის თავი მოცემულია მაღალი რელიეფით, რომელიც ორნამენტში ყველაზე ამოზრდილ ფორმას ქმნის.

ბალთა № 119 (ტაბ. 9). აქ წარმოდგენილია უკვე ცხენის სახეებით რეალისტური გამოსახულება, რომელიც ძალიან შორეულ მსგავსებას იჩენს თავის წინამორბედ ფანტასტიკურ ირემთან. ცხენის სხეული მასიური ფორმებით გამოირჩევა. სხეული წელში ოდნავ არის შევიწროებული. მის მასიურ კისერზე რელიეფურ ფორმებშია გამოყვანილი კისრის მოსართავი. ცხენის თავი ჩარჩოს ებჯინება, ხოლო მისი რეალისტურად შესრულებული ყური განლაგებულია ჩარჩოს ზემოდან. კარგად შეიმჩნევა ლავამის გამოხატულება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბალთაზე ოსტატი ცხენის სახეებით რეალისტურ გამოსახულებას იძლევა, მაინც აშკარად შესამჩნევია ის ნიშნები, რომლებიც

ცენს მემკვიდრეობით აქვს მიღებული ირმის გამოსახულებისაგან. ეს არის ცენის მკერდსა და გავაზე გამოხატული კონცენტრირებული წრეები, გრეხილი მოსართავი, რომელიც გამოხატულია ცხენის კისერსა და ზურგზე და რაც მთავარია — სამი ორმხრივ სპირალურად დახვეული რქა. რომლის მნიშვნელობა, ირმის ფიგურისაგან დამოუკიდებლად, სრულიად გაუგებარი იქნებოდა.

II ქ ე ე ჯ გ უ ფ ი

მეორე ქვეჯგუფის ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს ბალთა № 121 (იხ. ტაბ. 10). ბალთის ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია მაღალი, კონუსის ფორმის კოპები.

კომპოზიციის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ფანტასტიკური ირნის გამოსახულება, რომელიც პროფილშია მოცემული.

მეორე ქვეჯგუფისათვის დამახასიათებელი ეს ცხოველი ზოგიერთი ნიმუშით ენათესაება პირველი ქვეჯგუფის ბალთებზე წარმოდგენილ ირემს. მას აქვს მოკლე და წვრილი წელი, რომელიც მის შასიურ სხეულს ორ ნაწილად ყოფს. წელის ორივე მხარეს შექმნილია თანაბარი სიდიდის ორი ფორმა, რომლებიც ერთ სიბრტყეშია განლაგებული. მისი მოკლე, განიერი კისერი თავის მიმართულებით თანდათან ვიწროვდება. ირმის მკვლე ფეხები დაკუთხულ ხაზებშია შესრულებული და თათებით ბოლოვდება. ცხოველის მკერდსა და გავაზე გამოხატულია კონცენტრირებული წრეები.

პირველი ქვეჯგუფის ირმისაგან განსხვავებით ცენტრალური ცხოველის რქები, სპირალურად კი არ არის დახვეული, არამედ მას უჩნდება ნახევარწრიული წამონაზარდები, ე. წ. „ნახევარმთვარისებური“ (გ. გობეჯიშვილი) რქები.

განსხვავებულად არის შესრულებული ირმის კუდიც, რომელიც სწორხაზოვნად ეშვება ქვევით და ჩარჩოს ქვედა ხაზს ებჯინება.

ირემს კისერზე უჩნდება ახალი სახის მოსართავი, რომელიც ერთი რელიეფური ხაზით არის შესრულებული.

კომპოზიციის B ელემენტს წარმოადგენს ორთავიანი ირმის გამოსახულება. ირმის პროტომებზე ზემოდან გამოხატულია ჩიხვის თავი.

კომპოზიციის C ელემენტია ძაღლის გამოსახულება. ბალთის ეს ნაწილიც ძალიან ტლანქად არის დამუშავებული. ძაღლის ფიგურა ცუდად არის გამოყოფილი როგორც ჩარჩოსაგან, ასევე ცენტრალური ცხოველის მკერდისაგან.

ცენტრალური ცხოველის ფეხებთან D გამოხატულია ფრინველი. ფრინველი თითქოს ზურგიდან არის დანახული. კომპოზიციაში გამოხატულია მისი მაღალი სხეული, ფრთები და თავი.

მეორე ქვეჯგუფის ცენტრალური ცხოველის ცვალებადობა კარგად მოჩანს ბალთა № 134 (იხ. ტაბ. 11).

აღნიშნულ ბალთაზე წარმოდგენილია ცხენის საეკებით რეალისტური გამოსახულება. ცხენი ხასიათდება ძლიერი, მასიური სხეულით. მაღალი ძლიერი ყელით, ოდნავ მოხრილი თავით. პირში ამოღებული აქვს ლაგამი.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ცხენის ფიგურა გარკვეულ იკონოგრაფიულ კავშირშია თავის წინამორბედ ირმის ფიგურასთან. ირემს თავზე გამოხატული აქვს ნახევარწრიული ფორმის მოსართავი, რომელიც ირმის ნახევარმთვარისებური რქების ცვალებადობის შედეგად არის მიღებული.

ბალთა № 139-ზე გამოხატული ცხენი ირმის ამ იკონოგრაფიულ ნიშნებსაც კარგავს და სრულიად დამოუკიდებელ სახეს ქმნის.

III ქვეჯგუფი

მესამე ქვეჯგუფს ეუთვნის ბალთის ის ეგზემპლარი, რომელზეც მოცემულია მხედრის გამოსახულება. იხ. ბალთა № 144.

ბალთის ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი, მასიური კოპები.

ბალთაზე წარმოდგენილია ცხენის საცხები რეალისტურად, ფიგურა. ცხენს აქვს ძალიან ვიწრო, მოგრძო წელი, რომელიც მის სხეულს ორ ნაწილად ყოფს. ამიტომ წელის ორივე მხარეს შექმნილია ორი მოცულობითი მასა. ცხენს აქვს მოკლე, მასიური კისერი. მისი თავი დახრილია და ყურებით ჩარჩოს ებჯინება. ცხენის კუდი სწორხაზოვნად ქვევით ეშვება. ფეხები დაკუთხულ ხაზებშია მოცემული და ფლოქებით ბოლოვდება. ცხენზე ამხედრებულია მამაკაცის ფიგურა, რომელსაც წაგრძელებული, სწორხაზოვნად შესრულებული ტანი გააჩნია. ფიგურა გამოსახულია სრულ პროფილში. მამაკაცის სწორხაზოვანი ხელები ცხენის ფაფარზეა მოთავსებული, ხოლო მუხლებში ოდნავ მოხრილი ფეხებით წვევით არის დაწეული.

კომპოზიციის B ელემენტს წარმოადგენს ფრინველის გამოსახულება. ფრინველის სხეული მთლიან პროფილშია მოქცეული. იგი ცხენის ზურგზე ზის,

ცხენს თავთან გამოსახული აქვს კონცენტრიკული წრეხაზი,

IV ქგუფი

ჩვენი კლასიფიკაციის მეოთხე ქგუფში გაერთიანებულია ბალთების მეტად საინტერესო, მაგრამ მცირერიცხოვანი ეგზემპლარები. მათი საერთო ნიშანია კომპოზიციის ცენტრალური ელემენტი, რომელსაც ბალთების ყველა ნიმუშზე ჭიხვის გამოსახულება წარმოადგენს.

იკონოგრაფიული ნიშნების მიხედვით მეოთხე ქგუფში გამოვყავით სამი ქვეჯგუფი:

I ქვეჯგუფი

პირველ ქვეჯგუფში გაერთიანებულ ბალთებს რამდენიმე საერთო ნიშანი ახასიათებთ: 1) კომპოზიციის ცენტრალური ელემენტია ჭიხვის გამოსახულება. მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი ქვეჯგუფის ბალთებზე წარმოდგენილი ჭიხვი განსხვავდება როგორც იკონოგრაფიულად, ასევე სტილისტურად, მეორე და მესამე ქვეჯგუფის ბალთებზე გამოსახული ჭიხვის ფიგურისაგან. 2) პირველი ქვეჯგუფის ბალთებზე წარმოდგენილი კომპოზიცია შედგება ოთხი ელემენტისაგან. 3) ჩარჩო შედგება წნული ორნამენტისაგან.

პირველი ქვეჯგუფისათვის ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს ბალთა № 145 (იხ. ტაბ. 12).

ბალთის ჩარჩო შედგება წნული ორნამენტის სამი რიგისაგან. ჩარჩოს კუთხეებში მოთავსებულია საკმაოდ მაღალი კონუსები, რომლებიც გარშემორტყმულია რელიეფური წრეებით.

ჩარჩოში ჩასმულია ოთხელეპენტის კომპოზიცია ABCD. კომპოზიციის ცენტრალურ A ელემენტს წარმოადგენს ჭიხვის გამოსახულება.

კომპოზიციაში ჭიხვის ფიგურა პროფილშია მოცემული. მხოლოდ მისი თავია გადმოცემული an face.

ჭიხვის ფიგურა გამოირჩევა დიდი ზომითა და ფორმის მასიურობით. განსაკუთრებით მასიურია ჭიხვის მკერდი და მაღალი, ძლიერი კისერი, ხოლო მისი წელი შედარებით ვიწროა. ჭიხვის მკერდსა და გაეაზე გამოხატულია კონცენტრირებული წრეები. კისერი და კუდი მორთულია წნული ორნამენტით, რომლის ბოლოც კუდის ფორმაში გადადის. კუდი განლაგებულია სხეულის ზურგის გასწვრივ და მთავრდება მოზრდილი სპირალით. ჭიხვის მასიური სხეული ეყრდნობა მოკლე, დაკუთხულ ხაზებში შესრულებულ ფეხებს.

კომპოზიციის B, C და D ელემენტებს ძალის ფიგურები წარმოადგენს. მათ საერთო იკონოგრაფიული ნიშნები გააჩნათ: მოგრძო, თხელო სხეული, ვიწრო წელი, დატკეპტილი ყურები, დიდი რელიეფური თვალები, გრძელი, ბოლოში სპირალურად დახვეული კუდი და სხვა.

II ქვეჯგუფი

მეორე ქვეჯგუფის ბალთებზე წარმოდგენილი კომპოზიციის ცენტრალურ ფიგურას კვლავაც ჭიხვი წარმოადგენს. მაგრამ იგი, ზევით განხილული ჭიხვის ფიგურებისაგან განსხვავებით, ახალ იკონოგრაფიულ ნიშნებს იღებს. მეორე ქვეჯგუფის ჭიხვების ფიგურა, სხეულის ზოგადი მოხაზულობით, თითქმის იმეორებს ბალთების პირველსა და მეორე ჯგუფში წარმოდგენილ ორებს, რომელთაგანაც იგი მხოლოდ თავის ფორმითა და მდებარეობით განსხვავდება, ბალთების ჩარჩო შესრულებულია როგორც წნული, ასევე სპირალური ორნამენტით.

ჩარჩოს შიგნით გაერთიანებულია სამ, ოთხ და ექვსფიგურიანი კომპოზიციები.

მაგალითისათვის განვიხილოთ ბალთა № 148 (იხ. ტაბ. 12). ბალთას გარშემო მოუყვება წნული ორნამენტით შესრულებული ვიწრო ჩარჩო. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კონუსის ფორმის კოპები, გარშემორტყმული რელიეფური წრეებით.

ჩარჩოში ჩასმულია ოთხელემენტიანი კომპოზიცია ABCD.

კომპოზიციის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ჭიხვის გამოსახულება. მისი სხეული პროფილშია გამოხატული, ხოლო თავი კი პარდაპირ იყურება. თავი შემკულია მასიური რქებითა და პატარა, მოხდენილი ყურებით. კარგად შეიმჩნევა აგრეთვე დიდი, რელიეფური თვალები.

ჭიხვს აქვს ძალიან ვიწრო წელი, რომელიც მის სხეულს ორ ნაწილად ყოფს. ამით, წელის ორივე მხარეს იქმნება თეძოსა და მკერდას თანაბარი სიდიდის ორი მოცულობითი ფორმა. თეძოსა და მკერდზე გამოხატულია კონცენტრირებული წრეები. ჭიხვი ეყრდნობა დაკუთხული ხაზებით. ლამაზი ფორმითა და თხელი პროპორციებით შესრულებულ ფეხებს.

ჭიხვის ფეხებთან მოცემულია პროფილში გამოსახული ფრინველი, რომლის ფიგურა ლამაზი, ნატიფი ხაზებით გამოირჩევა. მას აქვს მაღალი კისერი, პატარა, მოხდენილი თავი, რომელზედაც შეიმჩნევა რელიეფური თვალი.

ასეთივე ფორმის ფრინველი (B₁) გამოსახულია ჭიხვის თავთან, მისი რელიეფური რქების უკან.

კომპოზიციის C ელემენტსაც ფრინველის გამოსახულება წარმოადგენს. ფრინველს ეს ფიგურა სრულიად ახალ რაკურსშია დანახული. კომპოზიციაში აღბეჭდილია თითქოს მისი ფრენის მომენტი. კარგად ემჩნევა ორმხრივ გაშლილი ფრთები. მისი თავის მასა სცილდება რელიეფის სიბრტყეს და რქებთან ერთად ორნამენტში ყველაზე უფრო ამოზიდულ ფორმას ქმნის.

III ქვეჯგუფი

მესამე ქვეჯგუფის დამახასიათებელსა და წინა ქვეჯგუფებისაგან განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ჩარჩოს შიგნით დარჩენილი სივრცე ოთხტოლ ნაწილად არის გაყოფილი, ორი, ურთიერთგადაამკვეთი სწორი ხაზით. ამიტომ ბალთაზე წარმოდგენილია ჩარჩოში ჩასმული ოთხი დამოუკიდებელი კომპოზიცია. თითოეული კომპოზიციის ცენტრალური ელემენტია ჭიხვის გამოსახულება, რომელიც როგორც სტილისტურად, ასევე იკონოგრაფიულად საესეზით იმეორებს მეორე ქვეჯგუფში გაერთიანებულ ბალთებზე გამოსახული ჭიხვის ფიგურებს.

მაგალითისათვის განვიხილოთ ბალთა № 116.

ბალთის ჩარჩო შედგება წნული ორნამენტისაგან. ჩარჩოს კუთხეებში შოთახებულია დაბალი კოპები.

ჩარჩოს შიგნით დარჩენილ სივრცეს ოთხ ნაწილად ყოფს წნული ორნამენტით შესრულებული ორი ურთიერთგადაამკვეთი ხაზი. ხაზების ურთიერთგადაამკვეთის ადგილას გამოსახულია მასიური კონუსი, გარშემორტყმული რელიეფური წრეხაზით. ჩარჩოს შიგნით შექმნილია ოთხი დამოუკიდებელი კომპოზიცია. თითოეულ კომპოზიციაში ჭიხვის რეალისტური ფიგურაა მოცემული.

ჭიხვის სხეული გამოხატულია პროფილში. ხოლო მისი თავი პირდაპირ იყურება. ჭიხვის წინ გამოხატულია ორმხრივ დახვეული სპირალი.

V ქვეჯგუფი

მეხუთე ქვეჯგუფში გაერთიანებულია ბალთების მეტად საინტერესო, მაგრამ ნაკლებად გავრცელებული ეგზემპლარები, რომლებზედაც წარმოდგენილია ფანტასტიკური ირეში ე. წ. „სარბოლის პოზაში“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ტიპის ბალთების ანალოზს ეძღვნება ტ. ივანოვსკაიას ნაშრომი, რომელშიც ავტორის მიერ განხილულია ბალთების ექვსი ნიმუში.

ტ. ივანოვსკაიას მიერ განხილულ ნიმუშებს დაეუმატეთ ჩვენთვის ცნობილი ამ ტიპის ბალთების რამდენიმე ეგზემპლარი (იხ. კატალოგი). მათ შორის ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მეტად თავისებურია სტილის ორი ბალთა, რომლებსაც შ. ამირანაშვილი ცალკე ქვეჯგუფში აერთიანებდა⁷. ხოლო გ. გობეჯიშვილი ერთ-ერთ მათგანს, რომელზედაც უკან თავმოზრუნებული ფანტასტიკური ირეშია გამოსახული, თავისი კლასიფიკაციის პირველ ქვეჯგუფში ათავსებდა⁸. მაგრამ, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ბორჯომის ბალთები როგორც იკონოგრაფიული ნიმუშებით, ასევე მხატვრული სტილით საესეზებით უკავშირდება ჩვენს მიერ მეხუთე ქვეჯგუფში გაერთიანებულ ბალთებს.

⁷ შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

⁸ გ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოს ქართული ბალთები, გვ. 238.

I ქვეჯგუფი

მესუთე ჯგუფში ჩვენ მიერ გამოყოფილია სამი ქვეჯგუფი.

პირველ ქვეჯგუფში გაერთიანებულია 8 ბალთა. ამ ბალთებზე წარმოდგენილი კომპოზიციის ცენტრალური ელემენტია სრბოლის პოზაში მოცემული ფანტასტიკური ირმის გამოსახულება. ირემს წინა ფეხი ზევით აქვს აწეული. კული ბოლოში მთავრდება სპირალით და ეხება ბალთის ჩარჩოს ზედა ზაზს. ამ ქვეჯგუფისათვის დამახასიათებელია სპირალური ორნამენტით შესრულებული ჩარჩო. აღნიშნულ ქვეჯგუფში გაერთიანებულია ერთი, ორ და სამეღმენტიანი კომპოზიციები.

პირველი ქვეჯგუფის საინტერესო ნიმუშია ბალთა № 158 (იხ. ტაბ. 13).

ბალთას გარშემო მოუყვება საკჰოდ განიერი ჩარჩო, რომელიც შედგება სპირალური ორნამენტის ორი რიგისაგან. ჩარჩოში ჩასმულია მარტივი ერთფიგურიანი კომპოზიცია, რომელიც წარმოგვიდგენს ფანტასტიკურ ირემს სრბოლის პოზაში. ცხოველი წარმოადგენს პროფილში გამოსახულ, სიგრძეზე განლაგებულ მასივს, რომლის წელი, თეძოსა და მკერდთან შედარებით, ოდნავ არის შევიწროებული. ირემს აქვს მოკლე კისერი. რომელიც მთავრდება პატარა, მოხდენილი ფორმის თავით, რომელზედაც გამოყვანილია დიდა, რელიეფური თვალი. თვალს გაკეთებული აქვს ბაფთისებური სამკაული.

ირმის ფეხები ბოლოვდება სპირალებით, რომლებზედაც კარგად შეიმჩნევა რელიეფურად შესრულებული ქდეები.

II ქვეჯგუფი

მესუთე ჯგუფის მეორე ქვეჯგუფში გაერთიანებულია ბალთების ხუთი ნიმუში.

ამ ქვეჯგუფისათვის დამახასიათებელია ორი ნიშანი:

- 1) განიერი, სპირალური ორნამენტით შესრულებული ჩარჩო;
- 2) ცენტრალური ფანტასტიკური ცხოველი, რომლის ოთხივე ფეხი განლაგებულია მისი ტორსის ქვეშ. ფეხები ბოლოში სპირალურად ეხვევა და ფარფლისებურ ფორმას იღებს.

მაგალითისათვის განვიხილოთ ბალთა № 168 (იხ. ტაბ. 17).

ბალთას გარშემო მოუყვება განიერი ჩარჩო, რომელიც სპირალური ორნამენტით არის შესრულებული.

კომპინაციის ცენტრალური ელემენტია ფანტასტიკური ირმის გამოსახულება. ირემს აქვს მოგრძო სხეული, რომელიც წელში ოდნავ არის შევიწროებული. ირმის ფეხები ბოლოვდება მოზრდილი სპირალებით, რომლებიც ფარფლისებურ ფორმას იძლევიან.

ირემს თავი უკან აქვს მოზრუნებული. ნისკარტისებური პირი ძლიერ აქვს დადებული. ირმის კისერი და თავი შემკულია ბაფთისებური ორნამენტით. კისრიდან ხელოვნურად არის ამოზრდილი სპირალურად დახვეული რქები.

ფანტასტიკურ ცხოველს გამოხატული აქვს გრძელი კული, რომელიც დახვეული სპირალით ბოლოვდება. კუღსა და ირმის სხეულს შორის მოთავსებულია ორმხრივ დახვეული სპირალური ორნამენტი.

კომპოზიციის C ელემენტს ძაღლის გამოსახულება წარმოადგენს. ძაღლს

აქვს მოგრძო, წელში შევიწროებული სხეული. გრძელი, ბოლოში სპირალურად დახვეული კუდი. თავზე გამოყვანილია დიდი, რელიეფური თვალი.

III ქვეჯგუფი

მესამე ქვეჯგუფში გაერთიანებულია ბალთების სამი ეგზემპლარი.

მესამე ქვეჯგუფისათვის დამახასიათებელია რამდენიმე საერთო ნიშანი:

1) კომპოზიციის ცენტრალური ელემენტია ფანტასტიკური ირემი, რომლის ოთხივე ფეხი ირმის ტორსს ქვემოთ არის განლაგებული. მაგრამ მეორე ქვეჯგუფისაგან განსხვავებით, ირმის ფეხები ფარფლისებურ ფორმას კი არ ქმნის. არამედ ფეხები დაკუთხულ ხაზებშია შესრულებული. ირმის კუდი განლაგებულია მისი ზურგის ვისწვრივ და ბოლოვდება სპირალით. 2) ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. 3) მესამე ქვეჯგუფში გაერთიანებულია ერთ, ორ და სამელემენტოანი კომპოზიციები.

მაგალითისათვის განვიხილოთ ბალთა № 171 (იხ. ტაბ. 18). ბალთას გარშემო მოუყვება საკმარად განიერი ჩარჩო. ჩარჩო შედგება წნული ორნამენტის ორი რიგისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოიყოფიან თითქოს ჩარჩოს ორნაწილად გამოყოფი ტეხილი ხაზით. ჩარჩოს კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები.

ჩარჩოში ჩასმულია ერთფიგურიაანი კომპოზიცია, რომელიც წარმოგვიდგენს ფანტასტიკურ ირემს სრბოლის პოზაში.

ირემს აქვს გრძელი სხეული, რომელიც წელში ძლიერად არის შევიწროებული. ირმის თავზე მოთავსებულია დიდი, რელიეფური თვალი. ირმის რქები სპირალურად არის დახვეული. ფეხები ტორსს ქვემოთ არის განლაგებული და შესრულებულია დაკუთხული ხაზებით.

ამგვარად, იკონოგრაფიული ნიშნების მიხედვით ჩვენს მიერ გამოყოფილია ქვირული ბალთების ხუთი იკონოგრაფიული ჯგუფი.

პირველი ჯგუფის ბალთებისათვის დამახასიათებელია ორი საერთო ნიშანი: 1. კომპოზიციის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს უკან თავმობრუნებული ფანტასტიკური ირმის გამოსახულება. 2. ამ ბალთებისათვის დამახასიათებელია ორფიგურიაანი კომპოზიცია AD.

I ქვეჯგუფში ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კომპოზიციის D ელემენტს წარმოადგენს ჭიხვის თავის გამოსახულება.

II ქვეჯგუფში ჩარჩო კვლავ წნული ორნამენტით არის შესრულებული. შეცვლილია მხოლოდ კომპოზიციის D ელემენტი, რომელიც ფრინველის ფიგურას წარმოადგენს.

III ქვეჯგუფში იცვლება ჩარჩო, რომელიც სპირალური ორნამენტისაგან შედგება. იცვლება აგრეთვე კომპოზიციის D ელემენტი. ფრინველის ფიგურას ძაღლის გამოსახულება ეცლის.

მეორე ჯგუფში ბალთები კვლავ ორი ნიშნის მიხედვით არის გაერთიანებული: 1. კომპოზიციის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ფანტასტიკური ირემი, რომელსაც განსხვავებით პირველი ჯგუფის ბალთებისაგან, თავი წინ აქვს მიმართული. 2. ჩარჩოში ჩასმულია ოთხფიგურიაანი კომპოზიცია ABCD. ამ ჯგუფში ჩვენ გამოვყავით ექვსი ქვეჯგუფი, რომლებიც ერთმანეთისაგან განს-

სვავდებიან იკონოგრაფიული ნიშნებით. ცვლილებებს განიცდიან მხოლოდ დამატებითი ცხოველები და ბალთების ჩარჩო.

I ქვეჯგუფში ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კომპოზიციის ცენტრში A გამოსახულია ფანტასტიკური ირემი, B — ირმის თავი. — C ძაღლი, D — ფრინველი.

II ქვეჯგუფში ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით.

A ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, D ფრინველი, C თევზი.

III ქვეჯგუფში ჩარჩო კვლავ შესრულებულია სპირალური ორნამენტით. A — ფანტასტიკური ირემი, B — ძაღლი, D — ძაღლი, C — გველი.

IV ქვეჯგუფში ჩარჩო მორთულია როგორც სპირალური, ასევე წნული ორნამენტით. A — ფანტასტიკური ირემი, B — ძაღლი, C და D — ფრინველი.

V ქვეჯგუფს ეკუთვნის ბალთის ერთადერთი ეგზემპლარი, რომლის ცენტრში მოთავსებულია ორთავიანი ირმის გამოსახულება. ირმის პროტომებზე აღმართულია ქალღმთავების ფრონტალური ფიგურა.

VI ქვეჯგუფში ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. A — ფანტასტიკური ირემი, B — ძაღლი, C — ძაღლი, D — ძაღლი.

მესამე ჯგუფში გაერთიანებულია თავისებური ჯგუფი ბალთებისა, რომლებზედაც კომპოზიციის ცენტრში კვლავ ფანტასტიკური ირემია გამოხატული. ირმის გარშემო განლაგებულია ოთხელემენტაანი კომპოზიცია. მეორე ჯგუფის ბალთებისაგან განსხვავებით, მესამე ჯგუფში აშკარად შეიმჩნევა, თუ როგორ იძენს ფანტასტიკური ირემი ცხენის ატრიბუტებს და ბოლოს, ირმის ფიგურას ცხენის რეალისტური გამოსახულება ცვლის.

მეოთხე ჯგუფში გაერთიანებული ბალთების საერთო ნიშანია კომპოზიციის ცენტრალური ელემენტი, რომელსაც ყველგან ჭიხვის გამოსახულება წარმოადგენს.

I ქვეჯგუფში ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კომპოზიცია შედგება ოთხი ელემენტისაგან.

II ქვეჯგუფში ჩარჩო შესრულებულია როგორც წნული, ასევე სპირალური ორნამენტით. ჩარჩოს შიგნით მოთავსებულია სამ, ოთხ და ექვსელემენტაანი კომპოზიციები.

III ჯგუფში წარმოდგენილ ბალთებზე ჩარჩოს შიგნით დარჩენილი სივრცე ოთხ ტოლ ნაწილად არის გაყოფილი ორი ურთიერთგადამკვეთი სწორი ხაზით. ამიტომ ბალთზე წარმოდგენილია ოთხი დამოუკიდებელი კომპოზიცია, თითოეული კომპოზიციის ცენტრალური ელემენტა ჭიხვის გამოსახულება.

მეხუთე ჯგუფის ბალთებზე წარმოდგენილია ფანტასტიკური ირემი ე. წ. „სრბოლის პოზაში“.

I ქვეჯგუფში ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კომპოზიცია შედგება ერთი, ორი ან სამი ელემენტისაგან.

II ქვეჯგუფში გაერთიანებულ ბალთებზე თავისებურია აგრეთვე ფანტასტიკური ირმის პოზა. ირემს ფეხი ზევით აქვს აწეული და ფეხით ეყრდნობა დამატებითი C ცხოველის თავს. მისი სპირალით დამთავრებული კუდიც ზევით არის აწეული და ეხება ჩარჩოს ზედა ხაზს.

III ქვეჯგუფისათვის დამახასიათებელია ხანიერი, ძლიერად ორხაზებრივი ჩარჩო. II ქვეჯგუფში იცვლება აგრეთვე ფანტასტიკური ცხოველის პო-

ზა. მისი ოთხივე ფეხი განლაგებულია ტორსის ქვეშ. ბოლოში ფეხები სპირალურად ეხვევა და ფარგლისებურ ფორმას იღებს.

III ქვეჯგუფში ჩაჩო შესრულებულია წნული ორნამენტით ჩარჩოში გაერთიანებული ერთი, ორი და სამეღეჟენტიანი კომპოზიციები.

იცლება აგრეთვე ცენტრალური ცხოველის პოზა, ცხოველის ოთხივე ფეხი მოთავსებულია ტორსის ქვევით, მაგრამ ფეხები სპირალურად კი არ არის დახვეული, არამედ დაკუთხულ ხაზებშია მოცემული. ფანტასტიკური ირმის ჯუდი განლაგებულია მისი ზურგის გასწვრივ.

ბრინჯაოს ბალთების მხატვრული სტილის საკითხები

როგორც ზევითაც იყო აღნიშნული, ბრინჯაოს კვირული ბალთების წარმოშობა და განვითარება საქართველოშია საფიქრებელი. დღეისათვის დაგროვილი მასალა საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად შემოვფარგლოთ მათი წარმოების ძირითადი კერები, რომლებიც, როგორც ჩანს, კავკასიონის ძირითადი ქედის სამხრეთ კალთებზეა საქმბნელი. ყველაზე მეტი ჩაოდენობით კვირული ზალთები აღმოჩენილია მთის რაქასა და ზემო იპერეთში, მდ. ყვირილის ზემო წელში. სწორედ ეს ორი ოლქი წარმოადგენდა ანტიკურ საქართველოში ბრინჯაოს ბალთების წარმოების უმნიშვნელოვანეს ცენტრებს¹.

ბალთების წარმოების მეტად ძლიერი კერა არსებობდა, როგორც ჩანს, ისტორიულ შიდა ქართლში, დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, სადაც აღმოჩენილია ბალთების მნიშვნელოვანი ჩაოდენობა, რომელთა რიცხვმა განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში იმატა.

ბალთები დიდი ჩაოდენობით არის ნაპოვნი აგრეთვე თრიალეთში. ბ. კუფტინის აზრით, თრიალეთში აღნიშნული ტიპის ბალთები მდ. რიონისა და მდ. ყვირილის ზემო წელის რაიონებიდან გავრცელდა. მათი გავრცელება ბორჯომის ხეობისა და, შესაძლებელია, ბაქურჩანისა და ტაბაწყურის გზითაც მოხდა, სადაც სოფ. ბალანთაში ნაპოვნი კვირული ბალთის ერთი ეგზემპლარი².

როგორც ვხედავთ, ბრინჯაოს კვირული ბალთების წარმოების ძირითადი კერები რიონისა და ყვირილის ზემო წელსა და ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზეა სავარაუდებელი. აღსანიშნავია, რომ ეს რაიონები ამიერკავკასიაში უძველესსა და უძლიერეს მეტალურგიულ კერებს წარმოადგენდნენ. მნიშვნელოვნად იზრდება ამ რაიონების როლი გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ ანტიკურ საქართველოში ბრინჯაოს კვირული ბალთების წარმოშობა და განვითარება დაუკავშირდა მეტალურგიული წარმოების ამ უძველესსა და უმნიშვნელოვანეს კერებს, რაც თავისთავად მოწმობს ადგილობრივი მეტალურგიული წარმოების განვითარების მაღალ დონეს.

მართლაც, ბრინჯაოს ქართულ ბალთებს ახასიათებს დიდი კულტურა, ღრმა ტრადიცია და შესანიშნავი მხატვრული სტილი. მათი მაღალი მხატვრული ოსტატობა გვარწმუნებს იმაში, რომ საქართველოში ორნამენტულ ხელოვნებას, რომელიც ამ ბალთებში უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი, განვითარების ხანგრძლივი ისტორია გააჩნდა.

¹ შტრ. გ. ვოხეჯიშვილი, ბრინჯაოს ქართული ბალთები, გვ. 237; დ. ქოროძე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები, თბ., 1961, გვ. 131.

² Б. А. К у ф т и н, Триалети, გვ. 29—30.

ამჭერად ჩვენს ამოცანას შეადგენს ხელოვნების ამ შესანიშნავი ძეგლების მხატვრული სტილის დახასიათება, მის თავისებურებათა აღნიშვნა და განსაკუთრებით, მისი მხატვრული სტილის ეროვნული სპეციფიკის გამოვლენა შეძლებისდაგვარად.

მიუხედავად იმისა, რომ ხერხდება ბალთების მრავალრიცხოვანი ნიმუშის დაჭვლევა იკონოგრაფიული ნიშნებით, სტილისტურად ისინი საოცრად ერთიანნი არიან. ბალთების ყველა ეგზემპლარისათვის დამახასიათებელია აქურული, რელიეფურ ფორმებში შესრულებული კომპოზიცია, რომელიც ოთსკუთხედ ჩარჩოშია ჩასპული. ჩარჩოს კუთხეებში ყოველთვის მოთავსებულია სხვადასხვა სიმაღლის ქიმები. აღნიშნული ბალთებისათვის საერთოა, აგრეთვე, კომპოზიციის შედგენის ამოცანები და პრინციპები. მთავარ კომპოზიციურ ამოცანას წარმოადგენს ჩარჩოს შიგნით დარჩენილი სივრცის ამოვსება ცხოველთა გამოსახულებებით ან ორნამენტით ისე, რომ რაც შეიძლება სრულად შეივსოს თავისუფალი არე.

განსაკუთრებულ სიახლოვეს ერთმანეთთან პირველი და მეორე ჯგუფის ბალთები იჩენენ. მიუხედავად მათ შორის არსებული იკონოგრაფიული განსხვავებისა, პირველსა და მეორე ჯგუფის ბალთებს საერთო სტილისტური ნიშნები ახასიათებთ. ამიტომაც მათი მხატვრული სტილის განვითარების სურათს ჩვენ ერთად ვიძლევი.

პირველი და მეორე ჯგუფის ბალთებს ახასიათებთ საერთო კომპოზიციური პრინციპები. მთავარი კომპოზიციური ამოცანაა ჩარჩოს შიგნით მოთავსებული სივრცის ამოვსება ცხოველთა გამოსახულებებით, ან ორნამენტით. პირველი ჯგუფის ბალთებზე ცენტრში გამოსახულია ერთი დიდი ზომის ცხოველი, ხოლო დამატებითი ცხოველი მოცემულია ცენტრალური ცხოველის ფეხებთან, ან (მეორე ჯგუფი) დამატებითი ცხოველები კომპოზიციის ცენტრალური ელემენტის გარშემო არიან განლაგებულნი. როგორც ჩანს, ოსტატი ხელმძღვანელობს გარკვეული კომპოზიციური სქემით, რომელსაც მტკიცედ იცავს და არასოდეს არ არღვევს.

პირველი და მეორე ჯგუფის ბალთებს ძალიან აახლოვებს ერთმანეთთან. აგრეთვე, ცენტრალური ცხოველის, ფანტასტიკური ირმის გამოსახულება, რომლის ფიგურა ავსებს ჩარჩოს შიგნით დარჩენილი სივრცის უდიდეს ნაწილს. პირველი და მეორე ჯგუფის ბალთებზე გამოხატულ ცენტრალურ ცხოველს ერთმანეთისაგან ანსხვავებს ორი ნიშანი: 1) პირველ ჯგუფში ცენტრალურ ცხოველს თავი უკან აქვს მიბრუნებული, ხოლო მეორე ჯგუფის ცენტრალური ცხოველის თავი წინ არის მიმართული. 2) პირველ ჯგუფში ფანტასტიკური ირმის რქები სიმეტრიულად იშლება, იტოტება და ავსებს ზევით დარჩენილ მთელ სივრცეს. ხოლო მეორე ჯგუფში ირმის რქები ბოლოში სპირალურად არის დაჯეული.

ბალთების ყველა ნიმუშისათვის დამახასიათებელია სპირალური კომპოზიცია, რომელიც განსაკუთრებული სიძლიერით ბალთების პირველ ჯგუფშია წარმოდგენილი. სპირალური კომპოზიციის შთაბეჭდილებას ორნამენტში ქმნის ფანტასტიკური ირმის ვიწრო და გრძელი წელი, რომელიც მის სხეულს ორ ნაწილად ყოფს. სპირალური კომპოზიციის შთაბეჭდილებას პირველ ჯგუფში აძლიერებს ცხოველის გრძელი კისერი, რომელიც უკან არის მობრუნებული ისე, რომ ირმის თავი მის თეძოზეა დაყრდნობილი. კომპოზიციის სპირალურ ხასი-

ათს აძლიერებს აგრეთვე ფანტასტიკური ცხოველის დახვეული რქები, მოზრდილი სპირალით დამთავრებული კუდი და ჩარჩო, რომელიც ხშირად სპირალური ორნამენტით არის დამუშავებული.

ბალთის ორნამენტში ცხოველის წერილი წელის ორივე მხარეს იქმნება დაახლოებით თანაბარი სიდიდის ორი ფორმა. ერთს წარმოადგენს ცხოველის მკერდი, ხოლო მეორეს მისი ჰიპერტროფირებული თეძო. თეძოცა და მკერდიც საკმაოდ მოცულობითია და მთლიანად ბალთის რელიეფურ ორნამენტში ყველაზე ამოზიდულ ფორმას სწორედ სხეულის ეს ნაწილები ქმნის (თუ არ ჩავთვლით კონუსებს ჩარჩოს კუთხეებში, რომლებთან შედარებითაც რელიეფი თანდათან დაბლდება). მაგრამ ეს მოცულობითობა არასოდეს არ არღვევს იმ საერთო სიმბრტყეს, რომელშიც კომპოზიციის სხვა ნაწილებია მოცემული. თეძოსა და მკერდზე ხშირად გამოხატულია კონცენტრირებული წრეები, რომლებიც ხაზს უსვამენ ფორმის მოცულობითობას და სიმრგვალებს და თითქმის გარკვეულ აქცენტს ქმნიან ამ მოცულობით ფორმებზე. ორნამენტის მესამე მოცულობით ფორმას ქმნის ცენტრალური ცხოველის თავი, რომელიც აგრეთვე აქცენტირებულია რელიეფური თვალთ.

უკლებლივ ყველა ბალთისათვის დამახასიათებელია გამოსახულებათა ძლიერი სტილიზაცია. მხატვრული სტილიზაცია ექვემდებარება ჩარჩოს შიგნით დატოვებული სივრცის ამოვსებას ორნამენტული მოტივების საშუალებით. მხატვრული სტილიზაციის განვითარება ორივე ჩგუფის ბალთებში საყესებით ერთნაირად მიჰდინარეობს, რის გამოც ჩვენ დავერდებით მხოლოდ პირველი ჩგუფის ზოგიერთი ბალთის ანალიზს.

როგორც უკვე დაენახეთ, პირველი ჩგუფის პირველ ქვეჩგუფში გაერთიანებული ბალთები გამოირჩევიან მასიურობით და ფორმის ერთგვარი სიტლანქით. ისინი პატარა ზომისანი არიან. ბალთებს აქვთ განიერი ჩარჩო, ამიტომ ჩარჩოს შიგნით დატოვებული სივრცე მცირეა. ეს არე თითქმის მთლიანად უპირავს ცენტრალური ცხოველის გამოსახულებას. გვერდებზე ცხოველი უშუალოდ ჩარჩოს ებჯინება. ხოლო ჩარჩოს ზედა და ქვედა ხაზს შორის დარჩენილი სივრცე ძალიან შემცირებულია. ამ არეს ავსებს მასიური ხაზებით შესრულებული რქები. ცხოველის სხეულსა და ჩარჩოს ქვედა ხაზს შორის დარჩენილი არე უპირავს ცხოველის ფეხების გამოსახულებას. ფეხები თითქმის სწორხაზოვნად არის შესრულებული. ამიტომ ისინი უფრო საყრდენი სვეტების შთაბეჭდილებას სტოვებენ. მხოლოდ ორ ფეხს გააჩნია პატარა ტეხილები, რომლებიც ბალთების შემდეგ ნიმუშებზე სტილიზაციის გამო ორნამენტულ სახეს იღებს.

ამგვარი კომპოზიციების ტიპური ნიმუში წარმოდგენილია ბალთა № 1 (იხ. ტაბ. 1). ამ ბალთაზე ჩარჩოში ჩასმულია შედარებით მარტივი კომპოზიცია, რომელშიც მთავარ მხატვრულ ზემოქმედებას ცენტრალური ცხოველის ფორმა ახდენს. იგი სიმძიმითა და მასიურობით გამოირჩევა. ცხოველის ფიგურა საკმაოდ ამორფულია, დაუმუშავებელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, უაღრესად გამოწხატველია. კომპოზიციაში წარმოდგენილი ცხოველის გამოსახულება ორნამენტისაგან დამოუკიდებლად აღიქმება. გამოსახულებათა შორის დარჩენილი სივრცე ორნამენტის ნაწილს კი არ წარმოადგენს, არამედ სიყარის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამიტომ აღნიშნული კომპოზიციის მხატვრულ გადაწყვეტაში

ფორმის სტილიზაციას, ორნამენტულობასა და აუტონომიურ მხარეებს ხოვანი როლი ეთმობა.

პირველი ჯგუფის მეორე ქვეჯგუფის ბალეტები, პირველ ქვეჯგუფთან შედარებით, ნაკლებ მასიურნი არიან. გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა აგრეთვე კომპოზიციის დეკორატიულ გადაწყვეტას. ბალთა № 8-ზე (იხ. ტაბ. 2) ჩარჩოს ზომა შემცირებულია, ამიტომ ჩარჩოში მოთავსებული სივრცე უფრო გაზრდილია. კომპოზიცია საერთო შთაბეჭდილებით ნაკლებ მასიურია და უფრო მეტადაა აუტონომიური. მაგრამ მხატვრული სტილის განვითარების მხრივ, აღნიშნული ეგზემპლარი, ჯერ კიდევ ძლიერ არის დაკავშირებული წინა ბალთასთან. ამ კომპოზიციაშიც ცენტრალური ცხოველის გამოსახულება ორნამენტისაგან დამოუკიდებლად აღიქმება; გამოსახულებათა შორის დარჩენილი სივრცე ორნამენტს სუსტად უკავშირდება. მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ბალთაზე კარგად შეიმჩნევა ახალი მხატვრული ამოცანის მინიშნება — კომპოზიციის ორნამენტული გადაწყვეტა წინა პლანზე წამოწეული. გამოსახულებათა ფორმა უფრო დახვეწილია, ხაზები უფრო ნატიფი, ამიტომაც აუტონომიურ ფონს მეტი სიმსუბუქე ეძლევა.

ბალეტების შემდეგ ნიმუშებში კომპოზიციის ორნამენტულ-დეკორატიული გადაწყვეტა ოსტატის მთავარ ამოცანას წარმოადგენს. ამ ბალეტების ზომა იზრდება. ჩარჩოს სივრცე კი ხშირად შემცირებულია. შესაბამისად ჩარჩოს შიგნით დარჩენილი არე უფრო ვრცელია. შეცვლილია აგრეთვე გამოსახულებათა პროპორციები, რომლებიც უფრო მაღალი და თხელი ხდება. ფორმაც უფრო ნატიფი და ლამაზია. დახვეწილი ფორმა ქმნის საოცრად ლამაზ ხაზებს. ყოველივე ამის გამო კომპოზიციის ყველა ელემენტი მოხდენილ სახეს იღებს. ფანტასტიკური ცხოველი მეტ სტილიზაციას განიცდის. მაგალითად, მისი ფეხები, რომლებიც ადრე საესკიზო სწორხაზოვანად იყო შესრულებული და საყრდენი სვეტების შთაბეჭდილებას ტოვებდა, ახლა დაკუთხულ ხაზებშია შესრულებული, ფეხების ფორმის მოხრა დეკორატიულ სახეს იღებს და ორგანულად უერთდება მთლიან ორნამენტს. ძლიერ სტილიზებულია აგრეთვე ირმის გრძელი ენა, რომელიც ბოლოში სპირალურად არის დახვეული, ირმის თვალი და სხვა.

ხშირად ცენტრალურ ცხოველს კისერსა და ზურგზე უჩნდება გრეხილი მოსართავი, რომელიც აგრეთვე დეკორატიულ მიზნებს ემსახურება (იხ. ბალთა № 13). ხშირად კომპოზიციაში ჩნდება დამოუკიდებელი ორნამენტული მოტივები. აღნიშნულ ბალეტებზე გამოსახულებათა შორის დარჩენილი სივრცე სივრცეებს კი აღარ წარმოადგენს, არამედ ორგანულად უერთდება ორნამენტს და ქმნის მსუბუქ აუტონომიურ ფონს, რომელშიც ცენტრალური გამოსახულება თითქმის ერთგვარად იკარგება კიდევ. ყოველივე ამის გამო, ჩარჩოში ჩასმულ მთელ კომპოზიციას აღიქვამ როგორც მთლიან ორნამენტს. მნახველზე ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ ცხოველის გამოსახულება, არამედ მთლიანად ბალტის ორნამენტის დეკორატიული ხასიათი (იხ. ბალთა № 17, ტაბ. 1).

აღნიშნული ბალეტების სტილისტური ანალოზი გვარწმუნებს იმაში, რომ ოსტატის მიზანს წარმოადგენდა არა მხოლოდ კომპოზიციის დეკორატიული გადაწყვეტა, არამედ მის წინაშე აშკარად იდგა აგრეთვე გარკვეული პლასტიკური ამოცანაც. ოსტატი ორნამენტში იძლევა ცხოველების არა მხოლოდ სილუეტს, არამედ მოცულობით ფორმასაც, რომლის დამუშავებას ის გარკვეულ ყურადღებას აქცევს. მაგრამ მოუხედავად ამისა, განსაკუთრებული ყურადღება

ბალთების ორნამენტის მხატვრულ გადაწყვეტაში ექვეყა ნატიფი ხაზების შექ-
ნას, ერთგვარი ზაზოვანი დინამიკის გადმოცემას.

როგორც უკვე აღნიშნეთ, მეორე და მესამე ჯგუფის ბალტებს ბევრი სა-
ერთო იკონოგრაფიული ნიშანი გააჩნიათ. ამ ჯგუფებისათვის უპირველესად ყო-
ვლისა, საერთოა ცენტრალური ფანტასტიკური ცხოველი, ერთნაირია კომპო-
ზიციური სქემა და სხვა, მაგრამ მეორე ჯგუფისაგან განსხვავებით, მესამე
ჯგუფის ბალტებზე გამოხატული ირემი თანდათან ცხენის ატრიბუტებს იღებს
და ბოლოს, ბალტების დეკორში ირემის ფიგურას ცხენის რეალისტური გამო-
სახულება ცვლის.

იკონოგრაფიასთან ერთად, ამ ბალტების შესრულების სტილიც ბევრ საერ-
თოს ამკლავებს. ისევე როგორც ზევით განხილულ ჯგუფებში, აქაც ზოგიერ-
თი ნიმუში მხატვრული ფორმის სიმძიმითა და სიტლანჭით გამოირჩევა. ბალ-
ტებზე წარმოდგენილი ფანტასტიკური ცხოველი ცუდად არის დამუშავებულა,
მაგრამ მიუხედავად ამისა, ცხოველის ფიგურა მაინც მეტად გამომხატველია.
ბალტების ამ ნიმუშებზე ფორმის მხატვრულ დამუშავებას, დეკორის ორნამენ-
ტულობასა და აეურს ნაკლები ყურადღება ექცევა (იხ. ბალთა № 58, ტაბ. 5).
შემდეგი ნიმუშები, განსაკუთრებით კი ის ბალტები, რომლებზეც ცხენის რეა-
ლისტური გამოსახულებაა მოცემული, ფორმის შესანიშნავი დამუშავებით გა-
მორჩევა. ნატიფი ფორმა მოხდენილ ხაზებს იძლევა და ამის შედეგად
მთლიანად ბალთის ორნამენტი დახვეწილ სახეს იღებს.

წინა ორი ჯგუფის ბალტებისა და მესამე ჯგუფში გაერთიანებული ბალ-
ტების შესრულების სტილი მაინც საკმაოდ განსხვავებულია. მიუხედავად
ამისა, რომ ოსტატი, ისევე როგორც წინა ჯგუფებში, დიდ ყურადღებას აქ-
ცევს ხაზოვანი დინამიკის გადმოცემას. ხაზების სინატიფის დაცვას, მესამე
ჯგუფში გაცილებით უფრო მეტად და მკაფიოდ იჩენს თავს კომპოზიციაში პლა-
სტიკური ამოცანის გადაწყვეტა, რომელიც აქ წინა პლანზეა წამოწეული.

ეს სიახლე განსაკუთრებით სრულად ცენტრალური ცხოველის დამუშავე-
ბაში იჩენს თავს. ცხენის ფიგურა უფრო მაღალ რელიეფშია მოცემული. ოს-
ტატი სრულიად განსხვავებულად ახდენს სხეულის ფორმის მოდელირებას.
ცხენის სხეული ძლიერად არის გამოწეული ფონიდან და თითქმის მრგვალ ქან-
დაკებად გვევლინება. ფორმის მოდელირების ეს ახალი პრინციპი თავს იჩენს
აგრეთვე ცხენის კისრის მოსართავის დაუშვავებაში, რომელიც გრაფიკულად
კი არ არის შესრულებული, არამედ ფონიდან პლასტიკური მასებით გამოიყო-
ფა.

ახალ მხატვრულ ამოცანებს ექვემდებარება აგრეთვე დამატებითი ცხოვე-
ლების დამუშავების სტილიც. ცხენის ზურგთან მოთავსებული ჭიხვის ფიგურაც
მაღალ რელიეფშია მოცემული. მისი სკულპტურულად დამუშავებული თავი
ძლიერად გამოდის ფონიდან და მრგვალ ქანდაკებას წარმოადგენს (იხ. ბალთა
№ 134, ტაბ. 11). აღნიშნულ ბალტებში შესამჩნევადაა გაზრდილი აგრეთვე ქი-
მების ზომაც, რომლებიც რელიეფურ ორნამენტში ამოზიდულ ფორმას ქნის.

ბალტების მესამე ჯგუფის კომპოზიციებში პლასტიკური ამოცანის წინ წა-
მოწევით თითქმის მზადდება ნიადაგი ბალტების მეოთხე ჯგუფისათვის; მეოთხე
ჯგუფის ბალტები, რომელზეც ჭიხვის ფიგურაა გამოსახული, ზოგიერთი ნიშნით
წინა ჯგუფის ბალტებს უკავშირდება. განსაკუთრებით მსგავსია ცენტრალური
სხეულის ტორსი. მეოთხე ჯგუფში გამოსახულ ჭიხვის ფიგურას აქვს ვიწრო

წელი, რომელიც მის სხეულს ორ ნაწილად ყოფს. წელის ორივე მხარეს იქმნება თანაბარი სიდიდის ორი მოცულობითი მასა, მაგრამ წინა სამი წვეთისაგან განსხვავებით, აქ ჩიხვის ხაზოვან სხეულს უპირისპირდება მრგვალი ქანდაკების პრინციპებით გადაწყვეტილი ჩიხვის თავისა და რქების ფორმა. თავი და რქები ყველგან სცილდება ორნამენტის არეს, ამოდის რელიეფს ზევით და ყველაზე ამოზიდულ ფორმას ქმნის. ოსტატი ცდილობს სპირტის დაარღვევას, რელიეფში შეაქვს მრგვალი ქანდაკების ელემენტები, რითაც აცოცხლებს მხატვრულ დეკორს და თავისებურ ელფერს აძლევს მას.

ჩვენი კლასიფიკაციის მეხუთე წვეთში გაერთიანებულია ბალთების უაღრესად საინტერესო და თავისი სტილით სხვა წვეთებში გაერთიანებული ბალთებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ნიმუშები. ამ ბალთებისათვის დაშასხისათებულ სპეციფიკურ ნიშანს წარმოადგენს კომპოზიციის ცენტრალური ცხოველი — ფანტასტიკური ირემი, რომელიც გამოსახულია „საბოლის“ პოზაში.

მეხუთე წვეთში გაერთიანებულ ბალთებს ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება გააჩნია. მიუხედავად ამ ბალთების საერთო მსგავსებებისა, თითოეულ მათგანს მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური ნიშნები ახასიათებს. ამ ბალთებში აშკარად გამოსკვივის იკონოგრაფიულ და სტილისტურ ცვლილებათა ერთიანი ევოლუციის საფეხურები. ეს ევოლუცია კომპოზიციისა და საერთოდ მთელი ორნამენტის გართულების — ერთიდაიგივე მხატვრული ელემენტების მოზღვაებისა და დეკორის გადატვირთულობის გზით მიდის.

ეს პროცესი ყველაზე თვალნათლივ ჩარჩოს ევოლუციაში შეიმჩნევა. მეხუთე წვეთის პირველ ქვეწვეთში გაერთიანებული სამი ბალთის (ბალთა № 158, 159, 160, იხ. ტაბ. 13, 14) ჩარჩო შემკულია სპირალური ორნამენტით, რომელიც თავის მხრივ ჩასმულია წნული ორნამენტისაგან შემდგარ ჩარჩოში. ჩარჩოს კუთხეებში, წნულ ორნამენტზე მოთავსებულია ორ-ორი პატარა ზომის ნაწვეარწრისებური ქიმი.

ბალთების შემდეგ ნიმუშზე იზრდება ჩარჩოს ზომა, ხოლო მისი ორნამენტი გართულებას განიცდის. ბალთა № 162 (იხ. ტაბ. 15) — ჩარჩოს ზომა თითქოს ორჯერ უფრო გაზრდილია. გართულებულია მისი ორნამენტიც. ეს გართულება მიდის ერთი და იგივე მოტივების, ამ შემთხვევაში სპირალური ორნამენტების რაოდენობრივი მატების გზით. აღნიშნული ბალთის ჩარჩო შედგება სპირალური ორნამენტის ორი რიგისაგან, სპირალების ორი რიგი ერთმანეთისაგან წნული ორნამენტით არის გამოყოფილი, რაც ჩარჩოს თითქოს ორ ნაწილად ყოფს. სპირალური ორნამენტის ორი რიგის შესაბამისად იზრდება წნული ორნამენტისა და კოპების რიცხვიც.

ბალთა № 163, 164-ზე (იხ. ტაბ. 15, 16) ჩარჩოს დეკორის გართულების პროცესი კიდევ უფრო თვალნათლივ მოჩანს. აღსანიშნავია, რომ იზრდება ბალთის ზომა. ძალიან გაზრდილია აგრეთვე ჩარჩოც, რომელსაც მთელი ბალთის დაახლოებით მესამედი უჭირავს. ტენდენცია ჩარჩოს ორ ნაწილად გაყოფისა, რაც წინა ბალთაზე მხოლოდ სუსტად იყო მინიშნებული, აქ სავსებით მკაფიოდ გამოხატულ სახეს იღებს. ჩარჩოს შუაში ჩნდება ახალი მოტივი — სვეტები, რომლებიც ჩარჩოს ორ ნაწილად ყოფს. სვეტების ორივე მხარეს განლაგებულია შესანიშნავად დამუშავებული სპირალური ორნამენტი, რომელიც თავის მხრივ, ჩასმულია წნული ორნამენტისაგან შემდგარ ჩარჩოში. ჩარჩოს კუთხეებში, წნულ ორნამენტზე, მოთავსებულია დაბალი კოპები, რომელთა რიცხვი,

წული ორნამენტის შესაბამისად, ჩარჩოს ყოველ კუთხეში ოთხს აღწევს. სეტებს შორის დარჩენილი სივრცე კი ბალთას უფრო აუზრულსა და ჰაეროვან იერს აძლევს.

ჩარჩოს დეკორის მხატვრული გაფორმებით, ზემოაღნიშნულ ბალთებთან სტილისტურად ძალიან ახლოს დგას მეორე იკონოგრაფიულ ქვეჯგუფში გაერთიანებული ნიმუშები (ბალთა № 167, 168, ტაბ. 17).

ზევით განხილულ ბალთებზე ჩარჩოს დეკორის შეცვლასთან ერთად იცვლება აგრეთვე ჩარჩოს შიგნით მოთავსებულ გამოსახულებათა იკონოგრაფიაც. ამ ბალთებზე წარმოდგენილ კომპოზიციათა ცენტრალური ელემენტია სავსებით ერთნაირი ფანტასტიკური ცხოველი, მაგრამ მისი გამოსახულება გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. კომპოზიციის ცვალებადობა დეკორის გართულებისა და ერთგვარი სიჭრელის გზით მიდის, რასაც ოსტატი გამოსახულებათა სტილიზაციითა და ორნამენტში სხვადასხვა სახის გეომეტრიული მოტივების გაზრდით ახერხებს.

პირველ ქვეჯგუფში გაერთიანებულ სამ ბალთას (ბალთა № 158, 159, 160. იხ. ტაბ. 13, 14), რომელთაც, როგორც დავინახეთ, სპირალური ორნამენტის ერთი რიგისაგან შემდგარი ჩარჩო მოუყვება გარშემო, ახასიათებს მარტივი კომპოზიცია, რომელიც ერთი, ან ორი ელემენტისაგან არის შემდგარი. ამიტომ ჩარჩოს შიგნით დარჩენილია თავისუფალი არე, რომელიც ორნამენტის შემადგენელ ნაწილად კი არ აღიქმება. არამედ სიციარიელის შთაბეჭდილებას ტოვებს (ბალთა № 161, 162-ზე, ტაბ. 15). ამ მარტივ კომპოზიციას უჩნდება ახალი მოტივი, ცხოველის ფეხებთან განლაგებული სპირალი, რომელიც დეკორატიულ მიზნებს ემსახურება. ბალთა № 164-ზე (იხ. ტაბ. 16) დეკორის სიჭრელე და გეომეტრიული მოტივების სიჭარბე კიდევ უფრო ძლიერად არის შესამჩნევი. ძალიან იზრდება აგრეთვე ცენტრალური ფანტასტიკური ცხოველის სტილიზაციის ღონეც.

ასეთივე გადატვირთული დეკორატიული შემკულობა ახასიათებს მეორე ქვეჯგუფში გაერთიანებულ ბალთებზე წარმოდგენილ ფანტასტიკურ ცხოველსაც. განსაკუთრებულად სტილიზებული და დეკორატიულია ცხოველის ფარფლისებური, სპირალურად დახვეული ფეხები, რომლებიც სტილისტურად ბალთის სპირალურ ჩარჩოს უფრო უკავშირდება, ვიდრე ცენტრალურ ცხოველს (ბალთა № 168, ტაბ. 17).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბალთებზე ფორპის სტილიზაცია და გეომეტრიული მოტივების სიჭარბე. ორნამენტში ორგანული აუცილებლობით კი არ არის ნაკარნახევი, ფორპის სრულყოფასა და ერთიანობას კი არ უწყობს ხელს, არამედ თვითმიზნურსა და ამდენად ზედმეტობის შთაბეჭდილებას ახდენს; იქნება ეს გადაჭარბებით სტილიზებული ფარფლისებრი სპირალებით დამთავრებული ფეხები, თუ ყოველგვარ აზრს მოკლებული ბაფთისებური მოსართავები და ა. შ.

მეხუთე ჯგუფის მესამე ქვეჯგუფში გაერთიანებულ ბალთებსაც საერთო იკონოგრაფიული და სტილისტური ნიშნები ახასიათებთ. მაგრამ ამავე დროს, მესამე ქვეჯგუფის თვითულ ბალთასაც მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური ნიშნები გააჩნია. მესამე ქვეჯგუფის ბალთების დეკორიც. ზემო განხილული ბალთების მსგავსად, ორნამენტის გართულებას განიცდის.

ამ ქვეყნულში ეს პროცესი ყველაზე უკეთ ჩარჩოს გარკვეულ ევოლუციამი შეინიშნება.

მესამე ქვეყნულის ბალთების ჩარჩო წნული ორნამენტით არის შესრულებული. ბალთა № 170-ის ჩარჩო წნული ორნამენტის ერთი რიგისაგან შედგება, ხოლო ბალთა № 171-ის (იხ. ტაბ. 18) ჩარჩოს ზომა იზრდება. წნული ორნამენტით შესრულებული ორი ხაზი ჩარჩოზე ერთმანეთისაგან გამოყოფილია ტუხილი ხაზით, რომელიც მას ორ ნაწილად ყოფს.

მესამე ქვეყნულის ბალთების ორნამენტში (წინა ქვეყნულებისაგან განსხვავებით) თითქმის სრულებით არ გვხვდება სპირალური სახეები. დეკორში მათ ოდნავ მომრგვალებული, მოხრილი ან ტუხილი ხაზები სცვლის.

როგორც ზეითაც აღვნიშნეთ, მეხუთე ქვეყნულის თვითნებ ნიმუშს საკუთარი, ინდივიდუალური ნიშნები გააჩნია. მაგრამ აქ, თვითნებ მათგანის თავისებურება წინა ბალთის თავისებურებებიდან გამომდინარეობს. სწორედ ეს მომენტი ქმნის აღნიშნულ ბალთებში საერთო ევოლუციურ ხაზს².

ამგვარად, მეხუთე ქვეყნულში გავრთიანებული ბალთების საკმაო მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მათგან განსხვავებით, ზეით განხილული ბალთების წინა ოთხ ქვეყნულს შედარებითი ერთფეროვნება ახასიათებთ. იქ მხატვრული სტილი ზუსტად ექვემდებარება მკაფიოდ გამოხატულ კომპოზიციურ ამოცანებს. ჩარჩოში ფიგურების განლაგების სქემა ყოველთვის ზუსტად არის დაცული. მდგრადობას იჩენს, აგრეთვე, ცენტრალური ცხოველის ტიპი და პოზა. მაგალითად, პირველი ქვეყნულის ბალთებში ირემს თავი ყოველთვის უკან აქვს მობრუნებული. ამის გარდა, ბალთების ყველა ნიმუშზე ორელემენტური კომპოზიციის წარმოდგენილი.

მეხუთე ქვეყნულში გავრთიანებული ბალთების მხატვრული სტილის თავისებურება, ჩვენი აზრით, ოსტატის მეტ შემოქმედებით თავისუფლებას მოწმობს. მისი ფანტაზია, როგორც ჩანს, აღარ არის შეზღუდული ტრადიციით დაკანონებული სქემებით. ამიტომაც, ამ ბალთებზე კომპოზიციური სქემა დარღვეულია. ოსტატი გვთავაზობს როგორც ერთ, ისე ორ და სამელომენტური კომპოზიციებს. სტილისტურად სავსებით ერთგვაროვან ბალთებში ოსტატი ცენტრალურ ცხოველს გამოხატავს როგორც უკან თავშემობრუნებულ პოზაში, ასევე ცხოველის სხეულს მთლიანად პროფილში წარმოგვიდგენს. ასევე ნებისმიერია კომპოზიციის დამატებითი ცხოველების განლაგებაც.

მეხუთე ქვეყნულში არსებული კომპოზიციური დარღვევები, მათი შესრულების თავისებური სტილი წმინდა დეკორატიულ მიზნებს ექვემდებარება. ბალთების ორნამენტის მხატვრულ გადაწყვეტაში აქცენტი ძირითადად ფორმალურ, სტილისტურ მხარეზეა გამაზვილებული. ფორმის სტილიზაცია ამ შემთხვევაში ემსახურება არა შინაარსის სრულყოფილად გახსნას, არამედ, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, მას თავისთავადი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული და არა თუ ხელს უწყობს მხატვრული ფენომენის ერთ მთლიანობაში აღქმას, არამედ თიშავს ფორმას — (გამომსახველობით დაშუალებებს) შინაარსისაგან. დეკორის ესოდენ ძლიერი დატვირთვა სხვადასხვა გეომეტრიული მოტივებით თვითმიზნურ ხასიათს ატარებს, ამჟამად მოკლებულია მტკიცედ განსაზღვრულ შინაგან კანონზომიერებას და ამიტომ ბალთებისათვის დამახასიათებელი მხატვრული სტილისათვის არ არის ორგანული.

² შტ. Т. Ивановская, Брюзовые прямоугольные пряжки..., стр. 418

ბალთების ცალკეული ჯგუფების სტილისტური განვითარების სურათის აღდგენა ჩვენ დახმარებას გვიწევს ბრინჯაოს ქართული ბალთების განვითარების ერთგვარი საფეხურების ან, უფრო სწორად, ვარიანტების დადგენაში. მაგრამ სანამ ამ საკითხის გარშემო ჩვენი შეხედულებების გადმოცემაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას.

გ. გობეჯიშვილის აზრით, ბალთების ცალკეული სახეებ-ს დათარიღება, შესაძლებელია თანმხლები არქეოლოგიური მასალისა და ბალთებზე წარმოდგენილ გამოსახულებათა სემანტიკური ანალიზის გზით. მკვლევარის აზრით, ბალთებში ყველაზე ადრეულ ჯგუფს წარმოადგენს ის ნიმუშები, რომლებზეც მოცემულია უკანთავმოზრუნებელი ირემი. ხოლო ცხენის გამოსახულებიანი ბალთები უფრო მოგვიანო ხანას ეკუთვნის⁴. ასეთი მტკიცების საფუძველს წარმოადგენს შეხედულება ირმისა და ცხენის ტოტემური და სამეურნეო მნიშვნელობის შენაცვლების შესახებ.

შ. ამირანაშვილი იზიარებს გ. გობეჯიშვილის ამ მოსაზრებებს და უძველესად თელის იმ ბალთებს, რომლებზეც ირემი თავმოზრუნებულად არის გამოხატული. ამავე დროს, ავტორი ადრეულად თელის იმ ნიმუშებს, რომლებზეც ირმის სრბოლის პოზაშია მოცემული. ბალთებია ადრეულ ჯგუფს მრეკუთვნება, აგრეთვე, შ. ამირანაშვილის აზრით, ბოჩქომის მუზეუმში დაცული ბალთები და ბალთა ორტანიანი ფანტასტიკური ირმის გამოსახულებით. ცხენის გამოსახულებიანი ბალთები, ავტორის აზრით, შედარებით გვიანდელ საფეხურს განეკუთვნება⁵.

როგორც ვხედავთ, ორივე მკვლევარი, ბრინჯაოს ბალთების განვითარების გარკვეული საფეხურების დადგენის დროს, ეყრდნობა ამ ძეგლების არა შესრულების სტილის, არამედ იკონოგრაფიის მონაცემებს.

ბალთების ცალკეული ჯგუფების დასათარიღებლად ამ შემთხვევაში ბალთებზე წარმოდგენილ გამოსახულებათა შინაარსის ანალიზი ვერ დაგვეხმარება, რადგანაც ირმისა და ცხენის, როგორც გარკვეულ ლეთაებათა მონაცვლეობის ფაქტი ადამიანის აზროვნებაში ანტიკურ ეპოქაზე ბევრად უფრო ადრეულ ხანას განეკუთვნება და, ამდენად, ცხაღია, ანტიკური ძეგლების დასათარიღებლად და მათში განსხვავებული საფეხურების დასადგენად ვერ გამოდგება.

ამ მეტად რთული საკითხის გასარკვევად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბალთების დეკორის სტილისტური ანალიზის მონაცემებს.

ჩვენ რომ ერთმანეთს შევადაროთ პირველ იკონოგრაფიულ ჯგუფში გაერთიანებული ბალთები (მაგ. ბალთა № 1 და № 17, იხ. ტაბ. 1), დავინახავთ, რომ მათი შესრულების სტილი საკმაოდ განსხვავებულია: თუ ბალთა № 1 ფორმის ამორფულობით, სიტლანქითა და ერთგვარი სიმძიმით გამოირჩევა, ბალთა № 17 შესრულების სტილი გაცილებით სრულყოფილია. ამ ნიმუშებზე გაცილებით მეტი უურადლება ეთმობა ორნამენტულობასა და დეკორატიულობას; პლასტიკური ფორმა ორნამენტში ქნის დახვეწილ ხაზებს. ფორმა ძლიერ

⁴ გ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოს ქართული ბალთები, გვ. 217—219.

⁵ შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93—94.

სტილიზაციას განიცდის, მაგრამ ეს სტილიზაცია ორნამენტისათვის ორგანულია და ფორმის ერთიან აღქმას უწყობს ხელს.

საესებოთ ანალოგიური სტილისტური განსხვავებანი დამახასიათებელია ბალთების ყველა იკონოგრაფიული ჯგუფისათვის. მართლაც, თუ ერთმანეთს შევადარებთ მეორე იკონოგრაფიული ჯგუფის (ბალთა № 58, 84, ტაბ. 5 და № 47, № 74, იხ. ტაბ. 4—6), ან მესამე იკონოგრაფიული ჯგუფის (ბალთა № 159 და № 164, იხ. ტაბ. 13—16) ნიმუშებს, დავინახავთ, რომ პირველი ჯგუფისათვის დამახასიათებელი ზემოაღნიშნული სტილისტური განსხვავებანი ბალთების ყველა ჯგუფისთვის თითქმის თანაბრად არას დამახასიათებელი. ეს ბალთები განსხვავდება ერთმანეთისაგან მხოლოდ იკონოგრაფიით, ხოლო მათი სტილი საესებოთ ერთგვაროვან ცვალებადობას განიცდის.

საფიქრებელია, რომ ბალთების მხატვრული სტილისათვის დამახასიათებელი ეს საერთო ნიშანი მოწმობს ბალთების ყველა ჯგუფში საერთო ევოლუციური ხაზის არსებობას. ეს ევოლუცია კი მიემართება ფორმის ამორფული დამუშავებიდან, ერთგვარი ტლანქი „რეალიზმიდან“, სრულ თავისუფლებამდე. ზემოთქმული უფლებას გვაძლევს, გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ბალთების ყველა ჯგუფი ერთდროულად იწყებს არსებობას და ერთმანეთის პარალელურად განვითარების საერთო გზას გაივლის. დღეისათვის არსებულ მასალაზე დაყრდნობით, შესაძლებლად მიგვაჩნია ბალთებში განვითარების სამი საფეხურის, სამი ვარიანტის გამოყოფა.

ბალთების პირველ ვარიანტს (ეს საფეხური, საფიქრებელია, ყველაზე ადრეული უნდა იყოს) განეკუთვნება პირველ, მეორე, მესამე და მესამე ჯგუფში გაერთიანებული ბალთების ტლანქად ნამუშევარი ნიმუშები.

განვითარების მეორე საფეხურს უნდა ასახავდნენ ამავე ჯგუფებში გაერთიანებული სტილისტურად დახვეწილი ნიმუშები. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ ბალთებში განვითარების ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ხაზია შესამჩნევია. ერთი ხაზი არის ბალთებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული კომპოზიციების ფორმის სრულყოფა (ბალთა № 8, № 25, № 56, № 84, ტაბ. 2—7), ხოლო მეორე ხაზი ოსტატის გარკვეულ მხატვრულ ძიებებთან უნდა იყოს დაკავშირებული; ახალი გამომსახველი საშუალებების გამოყენების შედეგად ოსტატი ყოფს, ანაწევრებს სიბრტყეს და მხატვრულ დეკორში მრგვალი ქანდაკების ელემენტები შემოაქვს. განვითარების ამ გზას ყველაზე უკეთ წარმოგვიდგენენ ბალთების ის ნიმუშები, რომლებზეც ცხენის რეალისტური გამოსახულებაა მოცემული.

ამ ნიშნით, ცხენის გამოსახულებიან ბალთებს მკიდროდ უკავშირდება ის ნიმუშები, რომლებზედაც ჭიხვის რეალისტური გამოსახულებაა მოცემული. ამ შემთხვევაშიც, ჭიხვის თავი გამოდის რელიეფიდან და მრგვალ ქანდაკებად გვევლინება. მაგრამ მეტად ნიშანდობლივია, რომ ამასთან ერთად ჭიხვის ფიგურის დამუშავება დიდ სიახლოვეს იჩენს იმ ბალთებთან, რომლებიც მართალია ბალთების განვითარების მეორე საფეხურს განეკუთვნებიან, მაგრამ განვითარების განსხვავებული ხაზით მიდიან (შრდ. ბალთა № 148 და № 74, იხ. ტაბ. 12—6).

ბალთების უკანასკნელ ეტაპს განეკუთვნება მესამე ჯგუფში გაერთიანებულ, მეტად სტილიზებული ბალთები (ბალთა № 163, 164, ტაბ. 16—17). მათთვის დამახასიათებელია გადაქარბებული ორნამენტულობა და დეკორატიუ-

ლობა. მათ მხატვრულ გადაწყვეტაში აქცენტი ორნამენტის ფორმალურ სტილისტურ მხარეზეა გადატანილი, ძლიერ სტილიზაციას თავისთავადი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, რაც ბალთებისათვის დამახასიათებელი მხატვრული სტილისათვის არ არის ორგანული.

ხაზგასმით არის აღსანიშნავი, რომ ბალთების გავრცელების ქრონოლოგიური მონაკვეთი იმდენად მცირეა, რომ ჩვენს მიერ გამოყოფილ საფესურებს შორის დიდი ასაკობრივი განსხვავების არსებობა ძნელი წარმოსადგენია.

ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ბალთების სხვადასხვა ტიპების პარალელური არსებობის შესახებ, თითქოს მხარს უჭერს, არქეოლოგიის ის მწიერი მონაცემები, რომლებიც გავეაჩნია. რომელიც ხანით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩნდა ბალთები: № 77, № 93, № 144, № 57. ბალთის თვითიული ნიმუში განსხვავებულ იკონოგრაფიულ ჯგუფს წარმოგვიდგენს.

ამგვარად, საფიქრებელია, ბალთებში ჩვენ საქმე უნდა გვექონდეს მხატვრული ძეგლის ერთიდაიგივე ტიპის ვარიანტულ განსხვავებებთან. ეს ფაქტი კი მოწმობს და ამავე დროს ხსნის კიდევ ამ ძეგლების ფართო გავრცელებას და ადასტურებს მათ სახალხო ხასიათს.

* * *

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბრინჯაოს აუთრული ბალთები თავისი სემანტიკური და სტილისტური ნიშნებით კოლხური ხელოვნების წრეს ეკუთვნის⁶ და რომ ბალთებზე წარმოდგენილ გამოახსენებულთა საწყისები უნდა ვეძებოთ ადგილობრივ კავკასიურ გვიანბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის კულტურებში⁷.

ეს მოსაზრება სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ის არგუმენტაცია, რომელსაც აღნიშნული ავტორები იშველიებენ, ამ უპარტად მნიშვნელოვანი მოსაზრების დასაბუთებლად მცირეა და დღეისათვის არასაკმარისი.

აუცილებლად მიგვაჩნია კიდევ ერთხელ დაეუბრუნდეთ დასმულ საკითხს და საგანგებოდ შევჩერდეთ მის დასაბუთებაზე; მითუხეტეს, რომ დღეისათვის მოგვებოვება საკმარისი მასალა. რომელიც ბრინჯაოს ჰვირული ბალთების ადგილობრივი წარმოშობის საკითხს თითქმის უდავოდ ხდის.

ბრინჯაოს ქართული ბალთების მხატვრული სტილის თავისებურება აშკარად მიგვითითებს იმაზე, რომ ბალთების შესრულების სტილი ნჰიდროდ იყო დაკავშირებული ამიერკავკასიაში გავრცელებული უფრო ადრეული ძეგლებისათვის დამახასიათებელ მეტად თავისებურ ცხოველურ სტილთან. ამ ადრეულ ძეგლებს აღნიშნული ბალთები უკავშირდება როგორც თემატურად (ბრინჯაოს ბალთების მხატვრულ სახეებს, როგორც დაეინახეთ, წარმოადგენენ: ირემი, ჰინევი, ცხენი, თევზი, გველი, ფრინველი და სხვ. აღნიშნული ცხოველთა გამოსახულებანი ძლიერადაა დამახასიათებელი აგრეთვე ამიერკავკასიური ადრეული ხანის ძეგლებისათვისაც), ასევე სტილისტურად.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო მასალას იძლევა გვიანი ბრინჯაოს ხანის გრავირებული სარტყლები. აღნიშნულ ქამრებზე, როგორც ცნობილია, ძალიან ხშირად ირმის სახეა გადმოცემული. თუ ერთმანეთს შევადარებთ

⁶ შ. ა. მირიანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

⁷ F. H a n g a r, Einige Gurtelschliessen..., გვ. 153.

ამ ქაბრებზე (თრიალეთი, სამთავრო, თლი) გამოსახულ ირმებს, დაეინახავთ, რომ მათ საერთო ნიშნები ახასიათებთ. ამ ძეგლებზე ირმის გამოსახულებებს ერთიანი მხატვრული პრინციპი უღევს საფუძვლად. ირემი ყოველთვის გამოსახულია გრაფიკულად, ფიგურის კონტურები მკაფიო ხაზებშია გადმოცემული. ცხოველს კარგად ემჩნევა ვიწრო წელი, რომელიც მის სხეულს ორ ნაწილად ყოფს. ერთი ნაწილია ირმის მკერდი, ხოლო მეორე მისი ჰიპერტროფირებული თქო. იგივე მხატვრული პრინციპი უღევს საფუძვლად ჩვენს ბალთებზე წარმოდგენილ ირმის გამოსახულებებსაც, იმ განსხვავებით, რომ ქაბრებზე ირემი გრაფიკულად არის მოცემული, ხოლო ბალთებზე — მაღალ რელიეფშია წარმოდგენილი, სადაც ფორმის მოცულობით დამუშავებას განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი. ბალთებზე ირმის მოცულობით ფორმებს ხაზს უსვამს მკერდა და გავაზე გამოხატული კონცენტრირებული წრეები, რომლის მაგვარ ნიშნებს ჩვენ ხშირად ვხედავთ ქაბრებზე გამოსახულ ირმის სხეულზეც.

უარესად ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ ბალთებზე ცხოველთა განლაგების სქემა, რომელიც ამ ძეგლებზე წარმოდგენილ კომპოზიციებში ყოველთვის ზუსტად არის დაცული, თავის ადრეულ პარალელს სწორედ ამგვარ ძეგლებზე პოულობს. მაგალითისათვის უნდა დავასახელოთ თლის სამაროვანზე აღმოჩენილი ქაბარი (იხ. ტაბ. 19)⁸. მასზე წარმოდგენილია ირმებისა და ტახების ერთმხრივ მიმართული პროცესია. ირმებისა და ტახების გარშემო განლაგებულია უფრო პატარა ცხოველები, გველების, თევზებისა და ფრინველების სახით, ისე რომ თითოეული ჩვეუფი დამოუკიდებელი და სრულიად დამთავრებული კომპოზიციის შთაბეჭდილებას ახდენს.

ქაბარზე წარმოდგენილ ფიგურებში ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას ირემი და მის გარშემო განლაგებული ცხოველები იმსახურებენ. თუ ირმის პატარა კომპოზიციას სხვა გამოსახულებებისაგან იზოლირებულად განვიხილავთ, დაეინახავთ, რომ ამ კომპოზიციის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ირმის ფიგურა. ირემი პროფილშია გამოსახული. მას აქვს ვიწრო წელი. წელის ორივე მხარეს მკვეთი კონტურით არის გადმოცემული ირმის ჰიპერტროფირებული მკერდი და თქო. ირმის წინ გამოსახულია გველი, ირმის ზურგს ზევითა და მის ფეხებთან — ფრინველი (იხ. ტაბ. 19). როგორც ვხედავთ, ქაბარზე წარმოდგენილია ბალთებისთვის ტიპური ოთხელემენტაანი კომპოზიცია. უარესად მნიშვნელოვანია, რომ ამ ასაკობრივად საკმაოდ განსხვავებული ძეგლებისათვის დამახასიათებელია ერთიდაიგივე ფიგურების ურთიერთგანლაგების სახესებით იდენტური სქემა.

დიდი მსგავსება შეიმჩნევა აგრეთვე ჩვენს ბალთებსა, კოლხურ-ყობანურ ცულებსა და ამავე ტიპის ბალთებზე გამოსახულ ცხოველს შორის. კოლხურ-ყობანური ეპოქის აღნიშნულ ძეგლებზე გამოხატულ ფანტასტიკურ ცხოველს ყოველთვის საერთო სტილისტური ნიშნები და თავისებურებანი გააჩნია. მისი დამახასიათებელი ნიშნებია: წაგრძელებული ტანი, რომელსაც აშკარად გამოხატული წერილი წელი აქვს, ზომაზე მეტად გადიდებული თქო და მკერდი, მაღალი ფეხები, რომლებიც რიგ შემთხვევაში ფარფლისებურად ბოლოვდებიან, გრძელი, ბოლოში სპარალურად დახვეული კუდი, დიდი, რელიეფური თვალი და სხვ.

⁸ Б. В. Т е х о л, Раскопки Тлийского могильника, СА, 1963, № 1.

ეს ნიშნები, როგორც ზეითაც დავინახეთ, ახასიათებთ ჰვირულ ბალთებზე გამოხატულ ცხოველებსაც, იმ განსხვავებით, რომ ბალთებზე კომპოზიციები გრაფიკულად კი არ არის გადმოცემული, არამედ მოცულობით პლასტიკურ ფორმებშია გადაჭრილი.

განსაკუთრებით გვინდა შევჩერდეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ შედარებით მარტივ ჰვირულ ბალთებზე, რომლებზედაც ერთი რომელიმე, უფრო ხშირად ჭიხვის ან ირმის სტილიზებული გამოსახულებაა მოცემული.

მარტივი ჰვირული ბალთების საანტიერესო ეგზემპლარი ინახება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში⁹. ამ ბალთებზე მოცემულია უკანთავმობრუნებული ირმის სტილიზებული გამოსახულება, რომელიც დიდ სიახლოვეს იჩენს ბრინჯაოს ქართულ ბალთებთან. ორივე ძეგლისათვის დამახასიათებელია სპირალური კომპოზიცია. სპირალური კომპოზიციის შთაბეჭდილებას ორივე ძეგლზე ქმნის ირმის ვიწრო წელი და უკან თავმობრუნებული კისერი. მსგავსება დეტალების დამუშავებაშიც შეიმჩნევა. მსგავსი ხერხებით არის დამუშავებული ფეხების ფორმა, ცხოველის თავი, დიდი, რელიეფური თვალი და, ა. შ. მაგრამ ყველაზე დიდი მსგავსება ანტიკური ხანის ბრინჯაოს ბალთებსა და ამ მარტივ ჰვირულ ბალთებს შორის ის არის, რომ ორივეგან გამოსახულებანი რელიეფურ ფორმებშია მოცემული, სადაც მთლიანი ორნამენტი ჰვირულ სახეს იღებს. ორივე ძეგლზე მხატვრულად ღირებულია არა მარტო ფორმა, არამედ ამ ფორმებს შორის დარჩენილი სივრცეც, რომელიც როგორც ორნამენტის ნაწილი ისე იკითხება. ამ ძეგლების მხატვრულ გადმოცემაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნატიფი ხაზის დამუშავებას, ხაზთა უსასრულო დინების, ხაზოვანი დინამიკის გადმოცემას. მაგრამ განსხვავებით ადრეული ძეგლებისაგან, ანტიკური ბალთების დეკორის მხატვრულ გადაწყვეტაში აშკარად შეიმჩნევა ახალი ამოცანები — კომპოზიციის მოცულობით, პლასტიკურ ფორმებში გადაკრა, რაც დიდი ხნის მხატვრული ევოლუციის შედეგი უნდა იყოს.

ამრიგად, ბრინჯაოს ქართული ჰვირული ბალთების სტილი მკიდროდ უკანთავმობრუნდება ამიერკავკასიაში გავრცელებული მატერიალური კულტურის ადრეულ ძეგლებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ბალთების ადგილობრივი წარმოშობის ფაქტს. აქვე შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ვითარება სრულიად ეწინააღმდეგება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ ჰვირული ბალთები წარმოადგენენ ძველი კავკასიური ხელოვნებისა და ახალი სკვითური ხელოვნების ნაერთს (პანჩარი), ან რომ ისინი თითქოს ასახევენ კავკასიაში ე. წ. სარმატულ-კავკასიურ ეტაპს (როსტოვეცი).

ბრინჯაოს ქართული ბალთები თავისი დახვეწილი ფორმითა და შესრულების შესანიშნავი მანერით ძველი ქართული ხელოვნების განვითარების გზაზე, ახალი, აღმავალი საფეხურის გამომხატველია. მხატვრული გამომსახველობითა საშუალებებში ბრინჯაოს ქართულ ბალთებზე შეუდარებლად სრული და დახვეწილია. სწრაფვა ფორმის სრულყოფისაკენ, რომელიც ადრეულ ძეგლებშიც შეიმჩნევა, ანტიკურ ხანაში ბრინჯაოს ჰვირულ ბალთებში პოულობს თავის შესანიშნავ გადაჭრას.

⁹ ინვენტარის ნომერი 543321. ბალთა გამოქვეყნებულია, იხ. МАК, VIII, ტაბ. CV—19.

აქვე საინტერესოა დაისვას საკითხი, თუ რა დამოკიდებულებაში იმყოფება ბრინჯაოს ქართული ბალთები ანტიკური ხელოვნების იმ ნიმუშებთან, რომლებიც საქართველოში იყო აღმოჩენილი და ანტიკური ხელოვნების ძლიერი გავლენით იყო შექმნილი. ამგვარი ძეგლების შესანიშნავ მაგალითს იძლევა ცხენის ფიგურის გამოსახულება არმაზსა და ბორში აღმოჩენილ ვერცხლის თასზე, თაგილონში აღმოჩენილი ირმის სკულპტურული თავი და სხვ. ამ ძეგლებს, ბრინჯაოს ბალთებისაგან განსხვავებით, ახასიათებს პლასტიკური ფორმის საესეებით რეალისტური გადმოცემა, მეტყველი და დაკვირვებული ხაზი, რომელიც ყოველგვარი განზოგადებისა და სტილიზაციის გარეშე ქმნის პლასტიკურ ფორმას. ერთ ეპოქაში შექმნილი, მაგრამ სტილისტურად განსხვავებული ეს ძეგლები ამჟღავნებს სრულიად სხვადასხვა მხატვრულ მსოფლმხედველობას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბრინჯაოს ბალთების მხატვრული სტილი არ განიცდის ამ პერიოდის საქართველოში ფართოდ გავრცელებული ელინური კულტურის გავლენას, არამედ ადგილობრივი ტრადიციების თვითმყობადი განვითარების საკუთარი გზით მიდის.

ამგვარად, ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ ბრინჯაოს ბალთებზე, როგორც ერთიანი ქართული კულტურის ძეგლებზე, რომლებშიც ერთგვარად სინთეზს აღწევს უფრო ადრინდელი დას. ქართული და აღმ. ქართული კულტურებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.



ცალკე გვინდა შევეხოთ ბალთების დეკორისათვის დამახასიათებელ ორთავიანი ცხოველების მეტად თავისებურ მოტივს.

ორთავიან ცხოველთა გამოსახულებანი კავკასიის ბრინჯაოს კულტურაში მეტად გვრცელებულ მხატვრულ მოტივს წარმოადგენს. ამგვარი ცხოველები ხშირად არიან გამოსახული გვიანი ბრინჯაოს ხანის გრაფირებულ ქამრებზე. ამ ფორმის საკიდები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ჩრდილო კავკასიაში, რაქაში, ყაზბეგში და სხვ. ბრინჯაოსა და რკინის ხანის კულტურისათვის დამახასიათებელი ეს მოტივი თავს იჩენს უფრო გვიანდელი ხანის ხელოვნების ძეგლებზე, კერძოდ კი, ორთავიანი ფანტასტიკური ირმების მხატვრული მოტივი ზოგიერთ შემთხვევაში გვხვდება ბრინჯაოს ქართულ ბალთებზეც.

ბრინჯაოს ქართული ბალთების ამ ნიმუშებს თუ ორთავიან ცხოველთა ფორმის საკიდს შევეუდარებთ, მათ შორის არსებულ განსხვავებასთან ერთად, დიდ მსგავსებასაც დავინახავთ.

ამ ძეგლებისათვის დამახასიათებელია საერთო კომპოზიციური პრინციპები, რაც გამოიხატება ორი ირმისებური ან ცხენისებური ფიგურის შეერთებაში საერთო ტანის საშუალებით, ცენტრში მოთავსებულისა ან ადამიანის ფიგურა, ან ფიგურის მსგავსი ფორმა; ცხოველთა გამოსახულებანი მოცემულია სრულ პროფილში. გამოსახულებისათვის დამახასიათებელია ვიწრო წელი, განიერი მკერდის ორი მასა, რომელიც ყოველთვის გადადის მოკლე კისერში და სხვა.

ორივე ძეგლს ახასიათებს სწრაფვა დეკორატიულობისაკენ. მაგრამ თუ ბალთაზე კომპოზიციის დეკორატიული გადაწყვეტა ოსტატისათვის უკვე სრულიად შეგნებულ ამოცანას წარმოადგენს, საკიდებზე დეკორატივიზმი ჯერ კიდევ მხოლოდ სუსტადაა მინიშნებული.

აქვე უნდა აღინიშნოთ, რომ ორთავიან ცხოველთა მხატვრულ მოტივს

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც ის გამოდის კავკასიის ფარგლებს გარეთ და მეტად ფართო ტიპოლოგიური პარალელების საშუალებას იძლევა.

დიდი რაოდენობით იძებნება ამგვარი გამოსახულებანი მცირე აზიაში, სკივთური ხელოვნების ძეგლებზე. ორთავიანი ცხოველების მხატვრული სახე განსაკუთრებით ორგანულად არის შესული ირანის არქაულ ხელოვნებაში. ორმაგი ცხოველები და ზედ გამოსახული ადამიანის ფიგურები ხშირად არიან ასახულნი ელამურ არქაულ საბეჭდაეკვზე¹⁰. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ ტიპის გამოსახულებანი ლურისტანული კულტურისათვის.

ლურისტანში ვხვდებით ორთავიანი ჯიხვების, ძაღლისებური ცხოველების, ორთავიანი ფრინველების გამოსახულებებს. ხშირად ცხოველთა პროტომებზე გამოსახულია ადამიანის ფიგურა. ეს მხატვრული მოტივი განსაკუთრებით ხშირად იჩენს თავს ლურისტანულ ემბლემებზე¹¹ და ცხენის აკაზმულობის ნაწილებში¹².

ლურისტანულ ძეგლებთან განსაკუთრებულ სიახლოვეს ბალთა № 86 იჩენს (იხ. ტაბ 17). ბალთებზე ოთხკუთხედ ჩარჩოში ჩასმულია რელიეფურ ფორმებში შესრულებული კომპოზიცია, რომლის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს ორმაგი, ჰერალდიკური ტიპის ფანტასტიკური ირმების გამოსახულება. ორმაგ ირმებზე გამოსახულია ქალღვთაების ფრონტალური ფიგურა. ცენტრალური ცხოველის ორივე მხარეს მოცემულია გველის გამოსახულება, ხოლო მის შეხებთან მოცემულია ძაღლი.

ამგვარა, ჩარჩოში ჩასმული რთული კომპოზიციის ასაკობრივად უფრო ადრეული პარალელები, შეიძლება მოიძებნოს სწორედ ლურისტანში. ამის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ბრინჯაოს საყბურე (იხ. ტაბ. 20, 1). აღნიშნულ ძეგლზე, ოთხკუთხედ ჩარჩოში, ჩასმულია რელიეფურ ფორმებში შესრულებული კომპოზიცია, რომელზედაც წარმოდგენილია ორმაგ ჯიხვებზე ამხედრებული ქალღვთაების ფრონტალური ფიგურა. მის ორივე მხარეს გამოსახულია ორი ძაღლისებური ცხოველი.

თუ ამ ორ ძეგლს ერთმანეთს შევადარებთ, მათ შორის არსებული სტილისტური განსხვავების მიუხედავად, გარკვეულ მსგავსებას დავინახავთ. ორივე ძეგლზე აუქურული, რელიეფურ ფორმებში მოცემული კომპოზიციაა, რომელიც ოთხკუთხედ ჩარჩოშია ჩასმული. ჩარჩოს კუთხეებში, ორივე ძეგლზე, გამოხატულია საშუალო სიმაღლის კონუსის ფორმის ქიმები.

ლურისტანული კომპოზიციის ცენტრალურ, აქცენტირებულ ნაწილს წარმოადგენს ღვთაების გამოსახულება. ამ ძეგლზე სწორედ ქალღვთაების სახეა მთავარი და ძირითადი, ამიტომაც მასზეა გადატანილი მთელი აქცენტი, ქალღვთაების სახე სკულპტურული ფორმებით გამოირჩევა: მას აქვს დიდი, რელიეფურად გამოყვანილი თვალები, მასიური ცხვირი. თავზე მას გამოხატული აქვს ცხოველური რქები და ყურები, რაც კიდევ უფრო მეტად გამომხატველს ხდის მას. ყოველივე ამის გამო ქალღვთაების აზრობრივი ზემოქმედება ძალაღან დიდია. ბალთისაგან განსხვავებით ორმაგი ცხოველი მხატვრულად ღვთაების ატრიბუტს

¹⁰ A. Roess, *Greek Geometric Art*, ..., 1933, გვ. 107.

¹¹ SPA. IV, 45. ნახატი A, B, C, D, გვ. 44. ნახატი C. გვ. 46, ნახ. E.

¹² SPA, IV, გვ. 38, ნახატი ტაბ. XII, ნახ. 28.

წარმოდგენს; მას დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს. ცხოველების გამო-
სახელება, როგორც ორნამენტის ნაწილი, მთლიან აუბრუნებელი ფონში იკარგება.

ბრინჯაოს ქართულ ბალთაზე ძირითადი სიუჟეტი (ღვთაების სიძლიერის
გაღმორკვევა) უკვე მივიწყებულია. მთელი კომპოზიციის ორნამენტულ-დეკორა-
ტიული ხასიათი ადაპიანის ფიგურას თითქოს შეუქმნევს ცხდის. ადაპიანის
ფიგურა იკითხება როგორც მთლიანი ორნამენტის შემადგენელი ელემენტი.
კომპოზიციის ძირითადი და აქცენტირებული ნაწილია ორმაგი ცხოველის მასა
და მოცულობითი და ხაზოვანი დეკორატიულობა.

ორივე ძეგლს აშკარად გამოხატული დეკორატიულობა ახასიათებს. მაგრამ
კომპოზიციის ორნამენტულ-დეკორატიული გადაწყვეტა ამ ძეგლებზე სხვადა-
სხვა სტილით არის მიღწეული. ბალთისათვის დამახასიათებელია კარგად მო-
დელირებული, მოცულობითი ფორმები, ხაზების საოცარი მოქნილობა და სი-
ნატიფე. ამდენად, ბალთაზე გამოსახულებანი გაცილებით უფრო პლასტიურია.
პროპორციები უფრო თხელი, მაღალი და დახვეწილია. დახვეწილი ორნამენტის
ფონზე, ცენტრალური ცხოველის მასა უფრო აძლიერებს აუბრუნებელი ფონის
სინატიფეს და ჰაეროვნებას, თითქოს, ერთგვარად აპირისპირებს, ერთი მხრივ,
მოცულობითი სხეულის ფორმასა და, მეორე მხრივ, მსუბუქ კვირულ ფონს.

ლურისტანულ კომპოზიციას ახასიათებს ფორმის ნაკლები მოცულობი-
თობა. აქ ეს ფორმები თითქოს ერთ სიბრტყეშია ჩაქედილი; პროპორციებიც
უფრო ტლანქია და დამძიმებული.

გარკვეულ მსგავსებას იჩენენ ამ ძეგლებზე წარმოდგენილი დამატებითი
ცხოველებიც. ბალთაზე გამოსახული ძაღლის ფიგურა გარკვეულ სტილისტურ
მსგავსებას იჩენს ლურისტანურ საყბურზე ასახულ ძაღლისებურ ცხოველ-
თან. ძაღლს ორივეგან აქვს ვიწრო წელი, გრძელი, ბოლოში სპირალურად დახ-
ვეული კული, რელიეფური თვალი, გაღებული ხახა, ნახტომისებური პოზა და
სხვა. ლურისტანულ ძაღლს კისერზე მოუყვება გრეხილი ხაზი. ამგვარი მოსარ-
თავი ძალიან აქტიურად იჩენს თავს ბალთების მხატვრულ დეკორში. მაგრამ
ბალთაზე გრეხილი ხაზი დამატებითი ცხოველების მოსართავს კი არ წარმოა-
დგენს, არამედ ცენტრალურ ცხოველს მოუყვება ზურგზე.

ბრინჯაოს ქართულ ბალთაზე გამოსახულ ორმაგ ცხოველსა და ზედ გა-
მოსახულ ქალღმერთს შეიძლება დავუკავშიროთ კიდევ არაერთი ძეგლი
ლურისტანშიდან. მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზევით განხილული მასალისა-
გან განსხვავებით აქ აღნიშნული კომპოზიცია ჩარჩოში კი არ არის ჩასმული,
არამედ სუფთა სახით არის წარმოდგენილი. მაგალითისათვის შეიძლება დავა-
სახელოთ ლურისტანული თალისმანი, რომელზედაც წარმოდგენილია ორმაგი
ცხენისებური ცხოველი, რომლის ცენტრში, მკაცრად ფრანტალურ პოზაში,
მოცემულია მჭიდროდ ქალღმერთის ფიგურა. მას ხელები გაშლილი აქვს და
ცხოველის თავებს ეყრდნობა. ისევე, როგორც სხვა ლურისტანულ ძეგლებზე, აქ-
აც, პროტომების ორივე მხარეს, მოცემულია ორი ძაღლის გამოსახულება¹³.

ზევით განხილულ ძეგლებთან განსაკუთრებულ სიანალოკეს იჩენს წესანი-
შნავი ქანდაკება ორთავიანი ცხენისა, რომლის წარმოშობას მეცნიერები ამი-
ერკავკასიაში ეკრძალებენ¹⁴.

¹³ F. Hančar, Ross und Reiter..., ტაბ. 14—8.

¹⁴ E. Minns, Small bronzes from Northern Asia, AJ № 10, 1930; M. Rostovzev, Dicux et Chevaux, Syria, 1931, XI, l. op. 52. ძეგლი ინახება ბრიტანეთის მუზეუმში.

ქანდაკება წარმოადგენს ორთავიან ცხენს, რომლის თავები საერთო ტანით არის შეერთებული. ცენტრში სიმეტრიულად აღმართულია ქალღვთაების ფრონტალური ფიგურა. მას ხელები გაშლილი აქვს და ეყრდნობა ცხენის თავებს.

ორთავიანი ცხენის ლურისტანული კომპოზიცია, ბრინჯაოს ქართული ბალთა და ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ეს ქანდაკება (ამ ძეგლებს სავსებით შეიძლება დავუკავშიროთ ორმაგ ირმებზე ამხედრებული სკვითური ქალღვთაების გამოსახულება. იხ. ტაბ. 19) მხატვრული გადაწყვეტით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგრამ მათ შინც ახასიათებთ საერთო ნიშნები.

აღნიშნული კომპოზიცია ამ ქანდაკებაზე სუფთა სახით არის მოცემული, ხოლო ქართულ ბალთასა და ლურისტანულ ძეგლებზე უფრო დიდი და რთული კომპოზიციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ეს კომპოზიცია ამ ძეგლებზე ჩარჩოშია ჩასმული და დატვირთულია დამატებითი გამოსახულებებით. მაგრამ თუ ამ დიდ კომპოზიციას გავათავისუფლებთ დამატებითი გამოსახულებებისაგან, ავიღებთ მისგან ძირითად ბირთვის (ე. ი. ორთავიან ცხოველსა და ზედ მჭდომ ადამიანის ფიგურას) და შევედარებთ ბრიტანეთის მუზეუმის კავკასიურ ქანდაკებას, უღაღეს მსგავსებას დავინახავთ.

რაში ჩანს ეს მსგავსება? უპირველესად ყოვლისა, ეს არის ორი ცხოველის თავების შეერთება საერთო ტანის საშუალებითა და ცენტრში ქალის ფრონტალური ფიგურის მოთავსება. კავკასიურ ქანდაკებაზე ქალის ხელები გაშლილია და დევს ცხენის თავებზე, ისე რომ, ვიღებთ ქალღვთაების სხეულის ვერტიკალის პერპენდიკულარულ ხაზს. ასეთსავე მოვლენას ადგილი აქვს ქართულ ბალთაზეც. მართალია, ქალღვთაებას ხელები ზევით აქვს აწეული (ისევე, როგორც ლურისტანულ საყბურზე), მაგრამ მისი სხეულის ვერტიკალის პერპენდიკულარული ხაზი ბალთაზე მაინც იქმნება. ამ ხაზს ქმნის არა ადამიანის ხელები, არამედ ცენტრალური ცხოველის ყურები, რომელთა საშუალებითაც ქალღვთაების ფიგურა უკავშირდება ცხოველის ორ თავს.

ამგვარად, ჩვენ მივიღეთ ამ ძეგლებისათვის ფიგურების ურთიერთგანლაგების იდენტური სქემა.

ძლიერ მსგავსებას იჩენს ამ ძეგლებზე გამოხატული ადამიანის ფიგურა (განსაკუთრებული მსგავსება ჩანს კავკასიურ ქანდაკებასა და ლურისტანულ ძეგლებს შორის). ორივეს ახასიათებს წაგრძელებული, სწორი ტანი, რომელიც მთავრდება მოზრდილი თავით. ფიგურას ამკარად ემჩნევა მკერდი, წელზე გაკეთებული აქვს ქაშარი, ყელზე მანიაკი. სახე ამ ძეგლებზე პირობითად არის შესრულებული. მაგრამ, ბალთისაგან განსხვავებით, ამ ძეგლებზე ღვთაების სახე სკულპტურული ფორმებით არის დამუშავებული. ორივეს აქვს დიდი, მასიური ცხვირი, განიერი, დიდი რელიეფური თვალები და სხვ.

ზევით განხილულ ძეგლებს, მიუხედავად მათ შორის არსებული მსგავსებისა, დიდი განსხვავებაც ახასიათებს. ბალთას გაცილებით უფრო მეტი და ამკარად გამოხატული დეკორატიულობა ემჩნევა. კომპოზიციაში დახვეწილი ფორმები სავსებით მოკულობითია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთავარი ყურადღება ხაზების მოქნილობას, მათი ერთგვარი უსასრულო დინების გადმოცემას ეთმობა. კომპოზიციაში ხაზების სინატიფე განსაკუთრებულად არის ხაზგასმული — თავის გადასვლა კისერში, კისრის სიმრგვალე, ნატიფი ხაზი, რომელიც თანდათან მკერდში გადადის, ხახა, რომელიც ორნამენტულად იხსნება, დახვე-

ული რქები, რომლებიც როგორც ორნამენტი ისე იკითხება. ცხოველის მუცელზე გამოხატული ორნამენტული წრეები ხაზს უსვამენ ფორმის სიმრგვალებას და ამავე დროს სავსებით შეესაბამებიან მთელი კომპოზიციის ორნამენტულ გადაწყვეტას.

კაკასიური, სკვითური და ლურისტანული ძეგლები უფრო პრიმიტიულად არის ნაქეთები. ისინი სრულიად განსხვავებული მხატვრული მსოფლმხედველობის შედეგადაა შექმნილი. ფორმა აქ გარკვეული სტატუსტურული ძიებითაა მიღებული, რომლისთვისაც დამახასიათებელია სტილიზაციისა და გარემოს ნატურალისტური დაკვირვების ერთგვარი შერწყმა.

განსხვავება ბრინჯაოს ქართულ ბალთასა და ამ ძეგლების შესრულებიან სტილს შორის უნდა აისინას მათი ქრონოლოგიური სხვაობით. ლურისტანული ძეგლები, როგორც ეს უკანასკნელი წლების აღმოჩენებმა დაამტკიცა, ძვ. წ-ის VIII—VII სს. ეკუთვნიან¹⁵. კაკასიაში აღმოჩენილი ქალღვთაების ქანდაკება VII—VI სს. უნდა ეკუთვნოდეს¹⁶. სკვითური ბალთა VI—V სს-ით არის დათარიღებული¹⁷.

ბრინჯაოს ქართული ბალთა კი გვიანდლისტურ, გვიანანტიკურ ხანას ეკუთვნის. ამ ძეგლებზე ძირითადი სიუჟეტი (ღვთაების სიძლიერის გადმოცემა) უკვე ჰიფიწყებულა და იგი მხატვრული სტილიზაციის ელემენტად არის ქცეული. მთავარი ყურადღება ბალთის დეკორატიულ მხარეს ექცევა. ეს ამოცანა კი ანტიკური ეპოქის ქართულ ხელოვნებაში ბრწყინვალედ არის გადაწყვეტილი.

აქ კიდევ ერთხელ შეიძლება დაეუბრუნდეთ საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენადაა შესაძლებელი ვილაპარაკოთ აყურულ ბალთებზე, როგორც წმინდა ქართული სელოენების მოვლენაზე, პასუხობენ თუ არა ბალთების სტილისტური თავისებურებანი ხაზისა და ფორმის ადგილობრივ—ქართულ, შევრძენებს.

ბალთების მხატვრული სტილის ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ამ ძეგლებზე ჩვენ საქმე გვაქვს ფორმის გარკვეულ მხატვრულ გადაწყვეტასთან. ოსტატს აინტერესებს არა იმდენად რეალური ფორმის გადმოცემა, რამდენადაც ძლიერი, უწყვეტი ტალღისებრი „მოცულობითი ნახატი“ შთაბეჭდილების შექმნა; მიუხედავად იმისა, რომ ფორმა ხშირად გრაფიკულად კი არ არის მოცემული, არამედ სავსებით მოცულობითია, ბალთების დეკორში მინც წინა პლანზეა წამოწეული სილუეტის ძირითადი გარშემომწერი კონტურის დინების ერთგვარი უსასრულობისა და დინამიურობის წარმოდგენა. ხაზთა ეს უსასრულო დინება თავს იჩენს აგრეთვე კომპოზიციის დამატებითი ნაწილების (ფეხი, რქა) სილუეტშიც.

ეს ძირითადი ამოცანა ბალთების სხედასხვა ჯგუფში სხედასხვაგვარადაა გადაწყვეტილი. რიგ შემთხვევაში კომპოზიციის ძირითადი მასა გარკვეული სიმძიმითა და სიტლანქით გამოირჩევა. მაშინ როდესაც სხვა გამოსახულებებს

¹⁵ Vanden Berghe, La nécropole de War Kabud, L'Archéologie in eran, №181, 1967.

¹⁶ მ. როსტოვეცის აზრით, ეს ქანდაკება, დაახლოებით, თანადროული ურარტული ბრინჯაოს ვაზების სახეურებისა—იხ. M. Rostovtzev, დასახ. ნაშრომი, გვ. 56, ხოლო ბ. პოტროვსკი ურარტული ვაზების ამ ქანდაკებებს VII—VI სს. ათარიღებს. იხ. Б. Б. Пото-ровский, Ванское царство, 1959, стр. 179.

¹⁷ М. И. Артамонов, Сокровища скифских курганов, Прага-Ленинград, стр. 54—58, рис. 130.

მეტი კვირულობა და ჰაეროვნება ახასიათებთ. მაგრამ უკლებლივ ყველა შემთხვევაში ძირითად შთაბეჭდილებას მინც ქმნის განზოგადებული, სწორად სტილიზებული, საოცრად დინამიურ ხაზთა მდინარება. ყველა შემთხვევაში გამომსახველობის მთავარი ხერხია მოცულობითი ფორმების და კვირული არხის ურთიერთშეფარდებაზე დამყარებული ხაზოვანი დინამიკა.

მეტად ნიშანდობლივია, რომ ანტიკური ეპოქის ამ ქართული ძეგლებისათვის დამახასიათებელი ხაზოვანი დინამიკა მტკიცედ დამკვიდრდა შუასაუკუნეებშიც და ქართული ხელოვნების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა!¹⁸

ამგვარად, ანტიკურ ხანაში შექმნილ ბრინჯაოს კვირულ ბალთებში, რომლებიც თავისი მხატვრული სტილით მტკიცედ არიან დაკავშირებულნი წინარე-ანტიკური ხანის ქართული ხელოვნების ტრადიციებთან, ჩვენ ვხედავთ უკვე საესეებით ჩამოყალიბებულ და განმტკიცებულ ფორმაში რიგ მნიშვნელოვან ელემენტს, რომელიც მთელი შემდგომი პერიოდის ქართულმა ხელოვნებამ ასე ბრწყინვალედ განავითარა.

¹⁸ Г. П. Чубинашвили, Пещерные памятники Давид-Гареджи; Г. В. Аллигерашвили, Четыре портрета царныи Тамары, 1957, стр. 83—86.

ბრინჯაოს ქართული ბალთების მხატვრული დეკორის
სიმბოლიკის ზოგირთი საკითხი

ბრინჯაოს ქართული ბალთების გამოსახულებათა სიმბოლიკა დიდი ხანია იჭევეს ყურადღებას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბალთების შინაარსის დამაჭერებელი ახსნა ჯერ არავის მოუცია.

ბალთებზე წარმოდგენილ გამოსახულებათა შინაარსის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები ძირითადად ემყარებიან ან ენის შესახებ იაფეტური მოძღვრების მონაცემებს და ბალთებზე მოცემულ ცხოველებში გარკვეულ ეთნიურ წრებთან დაკავშირებულ ტოტემების გამოსახულებებს ხედავენ (აკად. ი. მეშჩანინოვი¹), ან ბალთების გამოსახულებათა სიმბოლიკას უძველეს მონადირეობას უკავშირებენ (აკად. ე. მილერი).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე ეს თეორია მოწყვეტილია ქართულ ეროვნულ ნიადაგს. ამ თეორიების ავტორები არ იცნობენ საკმარისად და ამიტომაც ვერც იყენებენ ქართული მითოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის უმდიდრეს მონაცემებს.

როგორც უკვე დავინახეთ, ბრინჯაოს ქართული ბალთები საკმაო მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ხშირია შემთხვევები, როდესაც ბალთის ცალკეული ნიმუში განსხვავებულ მხატვრულსა და იკონოგრაფიულ დეტალს შეიცავს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აშკარად ჩანს, რომ მთლიანად, ბრინჯაოს ქართული ბალთები ერთი სიუჟეტის გამომხატველნი არიან. იკონოგრაფიულად ბალთები ერთმანეთისაგან ცენტრალური ცხოველის გამოსახულებით განსხვავდებიან. ყველაზე ხშირად ცენტრალურ ცხოველს წარმოადგენს ირემი, ჭიხვი ან ფანტასტიკური არსება, რომელშიც ირმისა და ცხენის ატრიბუტებია გაერთიანებული. ხშირია ისეთი ნიმუშებიც, რომლებზეც ცხენის სახეებით რეალისტური გამოსახულებაა მიღებული, ბალთების დეკორში მოცემული დამატებითი ცხოველები კი, ძირითადად, უცვლელნი არიან. ამ ირმებთან და ჭიხვებთან ერთად სხვადასხვა კომბინაციით, მაგრამ ყოველთვის, ვხვდებით ძაღლის, გველის, თევზის ან ფრინველის გამოსახულებებს. ახალი პერსონაჟები ხარისა და კვიციის სახით ჩნდება მხოლოდ იმ ნიმუშებზე, რომლებზედაც ცხენის რეალისტური გამოსახულებაა მიღებული.

1 აღსანიშნავია, რომ აკად. ი. მეშჩანინოვის ეს შეხედულებანი სახეებით გაიზიარა ავსტრიელმა მეცნიერმა პანჩარამ. იხ. F. H a n g a r, Problem en des kaukasischen Tiersliis, W., 1935.

როგორც ვხედავთ, ბრინჯაოს ქართული ბალთების მხატვრული დეკორი საკმაოდ მდიდარია ცხოველური სახეებით. ამიტომ ისინი თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ ხელოვნების იმ ძეგლთა რიგს, რომელიც ე. წ. „ცხოველური სტილით“ შესრულებულ ნაწარმოებთა სახელითაა ცნობილი. ასეთი სტილი, როგორც ჩანს, კაცობრიობის კულტურული განვითარების გარკვეულ სტადიას ახასიათებდა. ამ სტადიაზე ცხოველური სტილი ადამიანის იდეოლოგიურ შეხედულებებთან იყო დაკავშირებული და მისი სახეები ხშირად რელიგიურ-სიმბოლური შინაარსის შემცველი იყო².

განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ცხოველური სტილი უნივერსალურ მოვლენას წარმოადგენს. ამიტომაც იგი ფართო ასახვას პოულობს ძველი ხალხების კულტურაში და ამ ხალხების იდეოლოგიურ შეხედულებათა შესწავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს³.

ცნობილია, რომ კავკასიური არქაული ხელოვნება მდიდარია ცხოველური სახეებით. ცხოველთა გამოსახულებანი შეადგენს ძველი ქართული ხელოვნების ძირითად თემას. მას თავიდანვე ემჩნევა მეტად თავისებური ნიშნები და გარკვეული მხატვრული სტილი⁴. კავკასიური ცხოველური სტილისათვის დამახასიათებელი მხატვრული სახეები გარკვეულ მდგარდობას იჩენს, რაც მათ მკვებავ სულოერ წარმოდგენათა სიმყარეს და ღრმა ტრადიციას მოწმობს. კავკასიის უძველესი ხელოვნების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს ის წარმოადგენს, რომ ღრის დიდი მონაკვეთით ერთმანეთისაგან დაცილებულ ძეგლებზე, ჩვენ ხშირად ერთი და იგივე მხატვრულ სახეებს ვხედავთ, ერთი და იგივე სიუჟეტის, ან მთელი კომპლექსის განმეორებით გადმოცემას ვხვდებით. ასე, მაგალითად, ბრინჯაოს ბალთებისათვის დამახასიათებელ ცხოველურ სახეებს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ მრავალ უფრო ადრეულ ძეგლებზე ვხვდებით. უპირველესად ყოვლისა, უნდა დავესახელოთ კოლხურ-ყობანური კულტურისათვის დამახასიათებელი ცულები და ყობანური ტიპის ბრინჯაოს ბალთები, რომელთა მხატვრული დეკორი უძველეს რელიგიურ და იდეოლოგიურ წარმოდგენებთან უნდა იყოს დაკავშირებული⁵. ამ ძეგლების დეკორის მხატვრულ სახეებს წარმოადგენენ ბალთების დეკორისათვის დამახასიათებელი ცხოველები — ირემი, გველი, ძაღლი და ფრინველი.

ანალოგიური გამოსახულებანი გვხვდება ხშირად გვიანბრინჯაოს ხანის გრავეირებულ ქამრებზედაც.

როგორც შენიშნულია, გარკვეულ მსგავსებას იჩენს, აგრეთვე, ბრინჯაოს ჭვირული ბალთებისა და საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლურჯი მინის ათწახნაგა საბეჭდავების გამოსახულებანიც⁶.

² D. Carter, The symbol of the beast..., p. 10.

³ თავისი განვითარების ადრეულ საფეხურზე ხელოვნების ყველა დარგი სარგებლობდა რელიგიური და მითოლოგიური სიუჟეტებით. მაგალითად, ბერძნულმა მითოლოგიამ ფართო ასახვა პპოვა ანტიკურ ხელოვნებაში. სწორედ არის შენიშნული, რომ ანტიკური საქაზო მხატვრობა წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს ძველი ბერძნული მითოლოგიისა და რელიგიურ შეხედულებათა აღსადგენად. იხ. Б. Д. Блаватский, История античной расписной керамики, М., 1953, стр. 10.

⁴ შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1944, გვ. 30.

⁵ Н. П. Мещанинов, Змея и собака..., стр. 16.

⁶ М. П. Мажанова, Стекланные многогранные печатки..., стр. 85.

უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომლის თანახმად, ყანჩაეთში აღმოჩენილი საბუქდავები ადგილობრივ ქართულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს ასახავენ და თავისი შინაარსით ზევით განხილულ ძეგლებს უკავშირდებათ⁷.

საუბრეებით დაცილებულ ძეგლებზე ერთი და იგივე სიუჟეტის განმეორება, ცხადია, ამ სიუჟეტის სიმბოლურ მნიშვნელობაზე მეტყველებს⁸.

მართლაც, ბრინჯაოს ბალთებისათვის დამახასიათებელი ცხოველური სახეები საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მრავალი უფრო ადრეული ძეგლისათვის არის დამახასიათებელი.

საინტერესოა, გავარკვიოთ კონკრეტულად, რა რელიგიური შესედულებები უდევს საფუძვლად კავკასიურ ცხოველურ სტილს და რაგვარად ჰპოვა ასახვა ამ შესხედულებებმა ბრინჯაოს ქართული ბალთების დეკორში.

ბალთების სიმბოლოების გასარკვევად, ჩვენი აზრით, გასაღებს იძლევა ბალთის ის ერთადერთი ეგზემპლარი, რომელზეც გამოხატულია ორთავიანი ცხოველი, მის ზურგზე მჯდარ ანტროპომორფული არსებით. ვფიქრობთ, რომ რელიგიური სიუჟეტი ამ ბალთაზე ყველაზე სრულად არის გადმოცემული, ამიტომ მის დეტალურ განხილვას დიდი მნიშვნელობა ექნება (იხ. ბალთა № 86, ტაბ. 7). ბალთა ფორმით უახლოვდება კვადრატს, კომპოზიციას გარშემო მოუყვება განიერი და რელიეფურად შესრულებული ჩარჩო. ჩარჩო შედგება სპირალური ორნამენტის ორი რიგისაგან. ჩარჩოში მოქცეულია საკმაოდ რთული კომპოზიცია, რომლის ცენტრალურ ნაწილს ორმაგი პერალდიკური ტიპის ფანტასტიკური ირმის გამოსახულება წარმოადგენს. ორმაგ ცხოველზე აღმართულია ქალღვთაების ფრონტალური ფიგურა. ცენტრალური ცხოველის ორივე მხარეს გველებია გამოსახული, ხოლო ცენტრალური ცხოველის ფეხებს შორის ძაღლი.

ბრინჯაოს ქართულ ბალთას, როგორც ზევითაც დავინახეთ, შეიძლება დავუკავშიროთ არაერთი ძეგლი ლურისტანიდან (ტაბ. 20,1), მცირე აზიიდან, სკვითური ხელოვნებიდან (ტაბ. 19), სადაც აღნიშნული ღვთაება, აგრეთვე, ორმაგ ცხოველზეა ამხედრებული⁹. განაკუთრებულ სიახლოვეს ქართულ ბალთასთან იჩენს შესანიშნავი ქანდაკება ორთავიანი ცხენისა, რომლის ცენტრში აღმართულია ქალღვთაების ფრონტალური ფიგურა.

ზევით განხილულ ძეგლებს ძალიან ჰგავს სპარტაში, არტემიდეს სამლოცველოში აღმოჩენილი ტყვიის ვოტივური ქანდაკება, რომელიც თითქოს ბალთის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. ამ ძეგლზე წარმოდგენილია ორთავიანი ცხენისმაგვარი ცხოველი, რომელზედაც აღმართულია ქალღვთაების ფრონტალური ფიგურა¹⁰. ამ ძეგლს უკავშირებს შ. ამირანაშვილი ჩრ. კავკასიაში აღმოჩენილ პერალდიკურ ორმაგ ცხენთა გამოსახულებებს. ავტორი ამ ქანდაკებაზე გამოსახულ ნიშანს ნაყოფიერების ქალღმერთის სიმბოლურ ნიშნად მიიჩნევს და, ამდენად, აღნიშნულ ქანდაკებას ნაყოფიერების ქალღმერთთან აკავშირებს¹¹.

⁷ ი. ვაგოშვიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები..., გვ. 30.

⁸ შტრ. ი. ვაგოშვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

⁹ E. Minns, Small bronzes..., 20—21, ტაბ. III.

¹⁰ M. Rostovtzev, Dieux et Chevaux..., გვ. 52, ნახ. 1.

¹¹ შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 78—79.

ზევით განხილული ძეგლები დიდ მსგავსებას იჩენენ კომპოზიციის აგების საერთო სქემით. ეს სქემა შეიძლება შეზღვედნაირად წარმოვადგინოთ: ცენტრში მდებარეობს ადამიანის ფიგურა, რომელიც ვერტიკალურად არის მოცემული. ხოლო ამ ვერტიკალის ორივე მხარეს სიმეტრიულად განლაგებულია ორი ცხოველი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად¹², გეომეტრიული ფიგურის ორივე მხარეს განლაგებული ცხოველების სიმეტრიული, ჰერალდიკური კომპოზიციის როგორც თავისი ფორმით, ასევე შინაარსით შეიძლება დავეუკუშროთ კომპოზიციას იმ ფართო წრეს, რომელიც კარგადაა ცნობილი მცირე და წინა აზიის ხელოვნებაში და წარმოვადგინოთ „სიციციცხლის ხის“ ან ქალღმერთ „ნადირთ ბატონის“ ორივე მხარეს განლაგებულ ცხოველებს¹³.

ამგვარად, ფორმალურ-სტილისტური ანალიზის შედეგად, ჩვენს მიერ ზევით განხილული ძეგლები, მათ შორის ბრინჯაოს ქართული ზალთაც, შეიძლება შევიყვანოთ იმ ძეგლების რიცხვში, რომლებიც ასახავენ ცხოველთა მფარველ ღვთაებასა და მასთან დაკავშირებულ ცხოველებს. მაგრამ იმისთვის, რომ ეს დასკვნა დამაჯერებელი იყოს, უნდა შევეხოთ საკითხის მეორე, არანაკლები მნიშვნელობის მქონე მხარეს, — ამ ბალთის სემანტიკას და ვნახოთ, რამდენად არის შესაძლებელი ამ ღვთაების სიმბოლიკის დაკავშირება ცხოველთა მფარველი ღვთაების სამყაროსთან.

¹² О. А. Артамонова-Полтавцева, Культура северо-восточного Кавказа в скифский период, С. А., 1950, № 14, стр. 78. საინტერესოა, რომ ეს დასკვნა ავტორის გამოქვეყნებული კავკასიაში გაერთიანებული ბრინჯაოს, ე. წ. ისტოლეს ტიპის ბალთების ღვთაების ანალიზის შედეგად აღნიშნული ბალთები ეუფთვიან VI-V სს. ძვ. წ. ავტორის ამ საინტერესო მოსაზრებას საესებოთ იზიარებს არქეოლოგი ე. ა. კრუპნიევი. მისი აზრით, ისტოლეს ტიპის ბალთები «являются полным отражением в местном искусстве более ранних и действительных культурных импульсов, идущих от переднеазиатского искусства», Е. М. Крупиной, Древняя история... стр. 370.

¹³ ნაყოფიერების ქალღმერთის ან სიციციცხლის ხის (სიციციცხლის ხე, როგორც ჩანს, ამ ქალღმერთის სიმბოლოს წარმოადგენდა შტრ. М. И. Вязьмитина, Ранние памятники скифского звериного стиля, С. А., 1963, № 2, стр. 169). ორივე მხარეს ირმების განლაგების მოტივს ღრმად ტრადიციის გაანხილავს იგი ძალიან გაერთიანებული ჩანს ბეთურ, ზურტულ, მიკენურსა და სკიითური სამყაროში. ამგვარი კომპოზიციის ერთ-ერთ აღრველ განსაზრებას ჩვენ ვხედავთ ზურტულ საბუდეზე, რომელიც ძვ. წ. XIV ს. დათარიღებული, იხ. L. D. E. La porte, La Hitlites p., 1922, ნახ. 22.

ეს მხატვრული სახე პოპულარული აგრეთვე სირულ-ხეთურ საბუდეებზე. იხ. G. Contea, La gliptiques..., 1922. სიციციცხლის ხისა და ცხოველთა მფარველი ღვთაების კავშირი საინტერესოდ არის ასახული სირულ-ხეთურ ერთ-ერთ საბუდეზე, რომელიც უკმულთაში იქნა აღმოჩენილი და ნ. ფლიტნერის აზრით, ეუფთვიან ძვ. წ.-ის X ს. იხ. Н. Д. Флитнер, Сиро-Хетские Памятники Эрмитажа, ТОВЭ, 1939, № 1. საბუდეის გამოსახულება, როგორც ჩანს, აერთიანებს რთულ რელიგიურ წარმოდგენებს. გამოსახულება შედგება ორი ქვეფისაგან, ეს ქვეფები დაკავშირებულია ერთმანეთთან როგორც კომპოზიციურად. ასევე შინაგანი შინაარსის მიხედვითაც. პირველი გამოსახულების ცენტრში დგას სიციციცხლის ხე, მის ორივე მხარეს განლაგებულია ორ-ორი თხა, ორი ფრთოსანი სფინქსი და ორი ირემი. მეორე ქვეფის ცენტრში გამოსახულია ფრთოსანი ქალღმერთი, რქებიანი ტიარით. მას ხელში ზევიან აქვს აწეული და ხელში უჭირავს შხის დისკო. ქალღმერთის ორივე მხარეს გამოსახულია ორი შინაგანი მამაკაცის ფიგურა. წყვილი ცხოველის თანხლებით გამოსახება ყოველთვის მცირე-აბიული ნაყოფიერების ღვთაება ჩუა-კიბედა. იხ. G. Richter, A handbook of Greek art, London, 1959, p. 252.

ამისათვის საჭიროა შევხვთ ქართული და კავკასიური ტომების უძველეს მითოლოგიურსა და რელიგიურ შეხედულებებს, განვიხილოთ ქართული ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის უძლიდრესი მონაცემები, რაც ამ მნიშვნელოვანი საკითხის სწორად გადაჭრის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს.



ადამიანთა საზოგადოებამ განვითარების ხანგრძლივი და რთული გზა განვლო. შრომის პროცესში ვითარდებოდა ადამიანის ცხოვრება, ვითარდებოდა და იცვლებოდა მისი სულიერი სამყაროც.

მატერიალური წარმოების განვითარების დაბალი დონე ქმნიდა პირობებს იმისათვის, რომ ადამიანს გამოემუშავებინა არასწორი, ფანტასტიკური შეხედულება მის გარემომცველ სამყაროზე, მასში მოქმედ ძალებზე, თვით ადამიანზე და მის არსზე. ადამიანს არ ესმოდა ბუნების მოვლენათა შორის არსებული კავშირები კანონზომიერება, ამიტომ ხშირად ადამიანი ამ კანონზომიერებას ფანტასტიკურ, ილუზორულ გამოხატულებას აძლევდა. სწორედ ამგვარ წარმოდგენათა ნიადაგზე წარმოიშობა „ადამიანური ყოფის ფანტასტიკური ასახვა ადამიანის თავში — რელიგია“¹⁴, რომელსაც თავიდანვე ადამიანის უცოდინარობა, ბუნების ძალთა წინაშე მისი სრული სისუსტე ჰკეზავს.

ბუნების მოვლენებსა და მათ შორის არსებულ კავშირს პირველყოფილი ადამიანი აღიქვამდა პირველყოფილ თემურ წყობილებაში ჩამოყალიბებული ურთიერთობების ანალოგიით. სწორედ ამიტომაც, წერს პროფ. ა. ლოსევი, «Небо, воздух, земля, море, подземный мир — вся природа представлялась человеку ничем иным, как одной огромной родовой общиной, населенной существами человеческого типа, находящимися в тех или иных родственных отношениях и воспроизводящими собой первобытный коллективизм первой в истории общественно-экономической формации. А это и есть ничто иное, как мифология, зарождавшаяся и процветавшая именно на ранних ступенях первобытно-общинного строя»¹⁵.

ადამიანი საკმაოდ ადრე იწყებს მხატვრული სახეებით აზროვნებას. ადამიანის სრული დამოკიდებულება ბუნებაზე, მისი უძლურება და შიში მის წინაშე, მის აზროვნებაში წარმოშობს მრავალრიცხოვან მფარველს, რომლებსაც თავდაპირველად ზოომორფული სახე აქვთ მიცემული. ეს ზოომორფული არსებანი ადამიანთა გარკვეული გვარისა თუ თემის მფარველებად წარმოიდგინებიან. ამ სახის ტრანსფორმაციის შემდგომ საფეხურს წარმოადგენს ამ ზოომორფულ მფარველთა ნაწილობრივი ან სრული ანტროპომორფიზაცია. ისინი ჯერ იღებენ ქალღვთაების სახეს, ხოლო შემდეგ მამაკაცი ღვთაების სახით წარმოიდგინებიან. ეს ზოომორფული არსებანი კი ტრადიციით მტკიცედ უკავშირდებიან ამ მფარველ ღვთაებებს, მის აუცილებელ ატრიბუტებად იქცევიან და ამ ღვთაების ძირითადი თვისებისა და არსის გამომხატველნი ხდებიან¹⁶.

ამიტომაც რელიგიის ინსტიტუტის წარმოშობასა და განვითარებაში ცხოველთა კულტებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს. როგორც ჩანს, ეს კულტი უნივერსალურად შეიძლება ჩაითვალოს.

ქართველი ხალხის პირველად რელიგიაში ცხოველთა კულტებმა უდი-

¹⁴ ფრ. ენგელსი, რ. თხზ., ტ. II, 1950, გვ. 93.

¹⁵ А. Ф. Лосев. Античная мифология в ее историческом развитии, М., 1957, стр. 7.

¹⁶ А. Lang. Mythes, Cultes et Religions, Paris, 1896, p. 516.

დესი როლი შეასრულეს და შემდგომ ეპოქებს ამ კულტურის მრავალრიცხოვანი და აშკარა გადმონაშთები დაუტოვეს.

ქართველი და კავკასიელი ხალხის უძველეს რელიგიებში დიდი ადგილი ეკირა ჭიხვისა და ირმის სახეს. მათი ძლიერი კულტის არსებობა საქართველოში ეკვს იწვევს და მას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ირმის გამოსახულებანი თიხის ქურქვებზე გვხვდება ისეთ ადრეულ ძეგლებზე, როგორც არის ურბნისის ქვატხელა¹⁷.

გვიანბრინჯაოს ხანაში ირმისა და ჭიხვის ქანდაკებანი მატულობს. ქანდაკების გვერდით ირმის გრაფიკულ გამოსახულებასაც ვხვდებით. ირმის სახე ორგანულად არის დაკავშირებული კოლხურ-ყოზანურ კულტურასთან. ირმის გამოსახულებანი კოლხური ტულების მხატვრული დეკორის უაღრესად გავრცელებულ სახეს წარმოადგენს.

საქართველოში ირმისა და ჭიხვის კულტის არსებობას ადასტურებს მდიდარი ქართული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა. ამაზე მეტყველებს ამ კულტის შერწყმა ქრისტიანულ რელიგიასთან — ქრისტიანულ ეკლესიებში და მის მისაღობებში ირმისა და ჭიხვის რქების ჩამოკიდების წესი.

ირმისა და ჭიხვის ძლიერი კულტი საქართველოსა და კავკასიაში ცხოველთა მფარველ ღვთაებასა და უძველეს მონადირეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

საქართველოში დამოწმებული ზოგიერთი წარმოდგენით, ნადირთ პატრონი თავისი ბუნებით ზოომორფული არსებდა და ჭიხვის, ირმის ან არჩვის სახით წარმოიდგინება. დანარჩენი ნადირისაგან მას მხოლოდ რაიმე ნიშანი (თეთრი ფერი, ოქროს რქები, თეთრი ნიშანი შუბლზე და სხვა) განასხვავებს. ეს ზოომორფული მფარველი დარაჯობს ნადირის ჯოგს და თუ მონადირე ვერ გამოარჩევს მას უბრალო ნადირისაგან და მოკლავს, მონადირის დაღუპვა გარდუვალია¹⁸.

ამგვარად, საფიქრებელია, რომ ირემი და ჭიხვი ცხოველთა მფარველი ღვთაების უძველეს სახეს წარმოადგენს და ცხოველთა მფარველი ღვთაების მითოლოგიური სახის განვითარებაში იმ საფეხურს ასახავს, როდესაც ცხოველთა თვითიული კლასის მფარველი, თავისი ბუნებით, ზოომორფული არსება უნდა ყოფილიყო.

შემდგომ, საწარმოო ძალების განვითარების საფუძველზე, მთელი სამყაროს ანტროპომორფიზაციის შედეგად, ადამიანი თავის მფარველ ზოომორფულ არსებებს ანტროპომორფულად აქცევს. ცხოველთა მთელი კლასი თავის ადრინდელ სახეს ინარჩუნებს, ხოლო ამ ცხოველების მფარველი და მბრძანებელი ღვთაება ადამიანის მსგავს არსებად იქცევა. ეს ზოომორფული არსებანი კი, როგორც აღვნიშნეთ, ცხოველთა მფარველი ღვთაების აუცილებელ ატრიბუტებად იქცევიან და მისი ძირითადი თვისებისა და არსის გამომხატველნი ხდებიან.

მართლაც, საქართველოშიც, ანტროპომორფიზაციის შედეგად, ნადირთ პატრონი ქალის სახით წარმოიდგინება. ქართველი ტომების მითოლოგიური შეხედულებების თანახმად, ცხოველთა მფარველი ღვთაების ყველაზე გავრცელებულ სახეს ქალღვთაება წარმოადგენს¹⁹. როგორც ჩანს, საკმაოდ ადრე, ცხო-

17 ა. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. დ. ლ. ო. ნ. ტ. ი, ურბნისი, I, 1962, ტაბ. X XI.

18 ე. ლ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, ქართული მონადირეობა, 1964, გვ. 22.

19 ა. რ. ო. ბ. ა. შ. ი ძ ე, შრომის ორგანიზაციის..., ვვ. 192.

ველთა მფარველი ღვთაების მითოლოგიური კომპლექსი უძველეს მონადირეობას უკავშირდება.

ცხოველთა მფარველ ქალღვთაებას რჩება უნარი თავისი ქვეშევრდომი ცხოველის სახე მიიღოს და ასე ეჩვენოს მონადირეს. ქართული ფოლკლორული მასალების მიხედვით, ნადირთ ბატონი ირმის ან ჭიხვის სახეს იღებს, მონადირეს კლდეზე ან ტყეში შეიტყუებს და მასთან სატრფიალო ურთიერთობას ამყარებს. მისი მოტრფიალე მონადირის ნადავლი ნადირობაში ძალიან იზრდება (ნაყოფიერების ფუნქცია). მაგრამ ამ ურთიერთობასთან ყოველთვის დაკავშირებულია მკაცრი ტაბუ — თუ კი მონადირე ქალღვთაებასთან სასიყვარულო ურთიერთობის საიდუმლოებას გასცემს, იგი აუცილებლად დაიღუპება.

სიუჟეტი მონადირისა და ნადირთ ბატონი ქალის სიყვარულის შესახებ მყარად არის შესული ქართულ ფოლკლორში და გამაგრებულია საქართველოში ნადირთ ბატონი ქალის კულტის არსებობით, რომლის ცალკეულმა გადმონაშთებმა ჩვენს დრომდე მოაღწია²⁰.

ანალოგიური შეხედულებანი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია დაცული.

სევანების წარმოდგენით, შიშველი მთის ნადირს (ირემი, ჭიხვი, არჩვი) ქალღმერთი დალი მფარველობს²¹. მართლაც, სევანურ ზღაპრებსა და თქმულებებში უარესად ხშირია შემთხვევები, როდესაც დალი ირმის სახით ეჩვენება მონადირეს.

მეგრელთა წარმოდგენით, ნადირთ ბატონი — „ტყაში მათა“ ლამაზი ქალია, რომელიც ლამაზი ოქროსფერი თმებით არის შემკული. მონადირის ბედობა მასზეა დამოკიდებული. ტყის დედოფალი მონადირესთან სატრფიალო კავშირს ამყარებს და ამის შემდეგ მას მფარველობას უწევს. ამ საიდუმლოების გამჟღავნებას, მეგრელთა წარმოდგენით, დიდი უბედურება მოჰყვება²². ნიკო მარის სამართლიანი შენიშვნით, მეგრული „ტყაში მათა“ სევანური დალის სახესხვაობას წარმოადგენს²³.

გუდამაყრელთა წარმოდგენით, „ნადირთ მწყემსი“ ბატონა ქალის სახით ეჩვენება მონადირეს. მაგრამ იგივე გუდამაყარში „ნადირთ მწყემსი“ ჭიხვის სახითაც წარმოიდგინება, რომელიც სხვა ჭიხვებისაგან მხოლოდ დიდი ზომით გამოირჩევა.

ცხოველთა მფარველ ღვთაებასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები კავკასიის ყველა ხალხს დაუყავს. ეს რწმენა-წარმოდგენები გარკვეულ მსგავსებას იჩენენ ქართველი ხალხის რელიგიურ-მითოლოგიურ შეხედულებებთან.

აფხაზთა რწმენით, ყველა ნადირი ემორჩილება ყრუ და უსინათლო მფეფადავას. ადაგვას ყავს სამი ქალიშვილი და ურიცხვი ნადირთ მწყემსები. ქალიშვილები ამ მწყემსებთან სასიყვარულო ურთიერთობაში არიან. ამიტომაც ეს ნადირთ მწყემსები დიდხალ ნადირს განაგებენ²⁴.

ჩეჩენებისა და ინგუშების მითოლოგიაში ირმის კულტს უდიდესი მნიშვნე-

20 ელ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

21 მ. ჩ ი თ ვ ა ნ ი, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947, გვ. 62.

22 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941, გვ. 336; თ. ს ა ხ რ ი ა, ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1956.

23 И. Я. М а р р, Фрако-армянский..., стр. 829.

24 ნ. ყ . ნ ა მ ი ა, აფხაზები, აკაიის კრებული, 1899, განვ. IV, გვ. 25.

ლობა აქვს. ირემი მკიდროდ არის დაკავშირებული ცხოველთა მფარველ ქალღმერთთან, რომელიც, ჩეჩნებისა და ინგუშების შეხედულების თანახმად, აღამიანს თეთრი ირმის სახით ევლინება²⁵.

ჩეჩქეზთა მითოლოგიურ შეხედულებებში დიდი ადგილი უჭირავს ნადირობისა და ტყის ღვთაება მეზითხას. მეზითხა წარმოადგინება ოქროს ტახტზე მჯდომარედ²⁶. მას ემორჩილებიან ირმები, რომლებიც მისგან შორს, სადაღ მინდვრებში სახლობენ²⁷.

ამგვარად, კავკასიის ტომთა უძველეს რელიგიურ შეხედულებებში დიდი ადგილი ეჭირა ცხოველთა მფარველ ღვთაებასა და მასთან დაკავშირებულ ცხოველებს. ქართველი ტომების წარმოდგენით, ცხოველთა მფარველ ღვთაებას ქალღვთაება წარმოადგენს. ეს ღვთაება მონადირეობის ქალღმერთის პირველ სახედ შეიძლება ჩაითვალოს. ქართულ სინამდვილეში ცხოველთა მფარველი ღვთაების ზომორთულსა და უძველეს სახეს წარმოადგენს ჭიხვი, ირემი ან არჩვი. ირმის კულტის უშუალო კავშირზე მონადირეობასთან და ცხოველთა მფარველ ღვთაებასთან მეტყველებს საქართველოს მთიან რაიონებში დამოწმებული კლდე ერთი საინტერესო რიტუალი: მონადირას მიერ დახოცილი ირმისა და ჭიხვის რქები სახლის თვალსაჩინო ადგილას იყო გამოფენილი და მონადირის გამარჯვებას აღნიშნავდა. ნადირობის წინ. ან ნადირობის შემდეგ ირმის რქებზე სანთელს დანთებდნენ, პირველ შემთხვევაში კარგ ნანადირევსა და მონადირის შინ მშვიდობით დაბრუნებას თხოვდნენ ნადირთ პატრონს, მეორე შემთხვევაში — მადლობას სწირავდნენ მას ბარაქიანი ნადირობისათვის²⁸.

კავკასიის ხალხებში ცხოველთა მფარველ ნაყოფიერების ღვთაებასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებთან განსაკუთრებულ სიახლოვეს ბერძნული არტემიდე იჩენს²⁹.

როგორც ცნობილია, ბერძნული არტემიდე საკმაოდ რთული ღვთაებაა, რომელმაც განვითარების გრძელი და რთული გზა განვლო, ამ ღვთაების წინაელებისტური წარმოშობა მეცნიერებაში დღეს უდავოდ არის აღიარებული. არტემიდე — ბუნების დიდი დედა ღვთაების ერთ-ერთ სახესხვაობადაა მიჩნეული. არტემიდე თავის საბელქვეშ აერთიანებდა მრავალ ახალგაზრდა ქალღმერთს, რომელნიც თავისი წარმოშობით წინაელებური ხანის ცალკეულ მოვლენათა პატრონების, მფარველებისა და დედების სახით არსებობდნენ³⁰. მასში გაერთიანებულია მეცნარეულობის ვეგეტატიურა ღვთაება, ცხოველთა პატრონი, ადგილის, კლდისა და წყლის მფარველი ღვთაება... უფრო გვიან არტემიდე მონადირეობის ღვთაებად იქცევა და მასი კულტა მთავრეს უკავშირდება³¹.

²⁵ Л. П. Семенов. Археологические и этнографические разыскания в Ингушетии, 1963, стр. 119—120; В. Б. Корзуин. Фольклор горских народов Северного Кавказа. 1966, стр. 36.

²⁶ П. Сталь. Этнографический очерк черкесского народа, Кавказский сборник, т. 21, 1900.

²⁷ Хан-Гирей, Вера, нравы, обычаи, образ жизни черкесов, Русский вариант, 1842, № 1.

²⁸ აღ. რობაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 175—176.

²⁹ შტრ. ელ. ვირსალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 94—97.

³⁰ N. H. Roscher, Ausführliches Lexicon der Griechischen und Römischen mythologie, Leipzig, 1884—1890, S. 560—582.

³¹ U. Von Wilamowitz-Moellendorf. Der Glaube der Hellenen, B. 11, 1932, S. 214.

არტემიდეს ბუნებისა და ფუნქციების გამოსავლენად საინტერესო მასალა იძლევიან ის ლეგენდები, რომლებიც ჰონადირე აქტეონის სახელთან არიან დაკავშირებულნი. ლეგენდების ეს ციკლი გენეტიკურად უძველეს მონადირეობას უკავშირდება³².

ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, აქტეონმა დაინახა მდინარეში მობანავე მშვენიერი არტემიდე. ამ კადნიერებით განრისხებულმა არტემიდემ აქტეონი ირმად აქცია და მისსავე ძალუბს დააგლეჯინა. მითოლოგიის ცნობილი მკვლევარის ს. რეინაქის აზრით, არტემიდეს არტეონზე განრისხების მიზეზი დაკავშირებული უნდა იყოს სამონადირეო ტაბუს დარღვევასთან. ზოგიერთი თქმულების თანახმად, აქტეონმა ნადირობაში აჯობა არტემიდეს, ხოლო ზოგიერთი თქმულებით კი, არტემიდე აქტეონს თავისი სიყვარულით გაუჭაყრებია. ამ თქმულების ყველაზე არქაული ვარიანტი, ს. რეინაქის აზრით, ასახულია ნეპოლის სანტანჯელის მუზეუმში დაცულ ძველბერძნული ვაზის მხატვრობაზე. ვაზზე გამოხატულია აქტეონი, რომელიც შუბით ჰკლავს ირემს. იგი თვითონაც ნახევრად ირმად არის ქცეული. მარცხნივ დგას არტემიდე და ისარს უმიზნებს აქტეონს.

ს. რეინაქის აზრით, ირემა, რომელსაც აქტეონი კლავს, არ არის ჩვეულებრივი ცხოველი. იგი უზარმაზარია სიდიდით და მას ვეებერთელა რქები აქვს. ირემი ამ შემთხვევაში ლეთაებრივ, წმინდა ცხოველს განასახიერებს. აქტეონის აზრით, ვაზზე გამოხატული უნდა იყოს ლეთაების რიტუალური მოკვლის სურათი³³.

საინტერესოა, აგრეთვე, ს. რეინაქის ცნობა ორსომენის ერთ-ერთ მონეტაზე გამოსახულ არტემიდეს შესახებ, რომელიც ისარს ესერის კლდეზე მიჭაპვეულ აქტეონს³⁴ (ამ შეიძლება კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ქართული ლეგენდებისა და ზღაპრების პოპულარული მოტივი — მონადირეობის ქალღმერთი დალი ირმის სახით ეჩვენება მონადირეს და შესთავაზებს თავისი სიყვარულს. ამ ურთიერთობის შედეგად მონადირე უამრავ ნადირს კლავს, მაგრამ ამ ურთიერთობის საიდუმლოების გამჟღავნებას, ტაბუს დარღვევას დალის მიერ მონადირის დაღუპვა სდევს თან).

საინტერესოა თავისი შინაარსით, აგრეთვე, კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილი ფირფიტაც, რომელიც არტემიდესადმი იყო მიძღვნილი. ფირფიტაზე მოცემულია გამოსახულებათა მთელი წყება. პირველ მწკრივში გამოსახულია სამი ჩიტი, მეორე მწკრივში — ორი გრიფონი, მესამე მწკრივში — მუზღმოდრეკილი მამაკაცი, რომლის მახლობლად დგას ნახევრად ჯიხვი — ნახევრად ქალი. ქვემო მწკრივში ფრთოსან არტემიდეს ორი გრიფონი უჭირავს ხელში³⁵.

როგორც ეხედავთ, არტემიდესთან მკვიდროდ არის დაკავშირებული ირემი, რომელიც როგორც ჩანს, მის უძველეს ზოომორფულ განსახიერებას წარმოადგენს. ამ ტრადიციის გამოძახილი უნდა იყოს ალბათ ის, რომ ელინური არტემიდე ყოველთვის ირემთან ერთად გამოიხატებოდა³⁶.

³² O. M. Фрайденберг, Тристаи и Изольда в мифологемах Средиземноморья. ТИРАМ, II, 1932, стр. 102.

³³ S. Reinach, Cultes, Mythes et Religions, P. 1908, გვ. 24—53.

³⁴ იქვე.

³⁵ N. H. Roscher, Ausführliches Lexicon..., S. 564.

³⁶ ნიშანდობლივია, რომ ლეთაბა ჰეკატას (რომელიც არტემიდესთან ჩანს დაახლოებული) ერთ-ერთ მთავარ ეპითეტს წარმოადგენს „ირმებით გახარებული“. იხ. В. Б. К л и н е р. Животные в античном и современном суеверии, стр. 107.

ირმის კავშირი ცხოველთა მფარველ ნაყოფიერების ღვთაებასთან კარგადაა ასახული სკვითური მატერიალური კულტურის ძეგლებზე. ირემი მდიდარი სკვითური ცხოველური სტილის ორგანულ სახეს წარმოადგენს და უკავშირდება ირმის, როგორც ტოტემური ცხოველის თაყვანისცემას³⁷. ირემი, ამავე დროს, მტკიცედ არის დაკავშირებული სკვითური ნაყოფიერების ქალღმერთთან, რომელიც წინააზიური დიდი ღედის ერთ-ერთ განსახიერებად არის მიჩნეული³⁸. აღრეული ეტაპისათვის დამახასიათებელი ღვთაების უსახური გამოსახულება თანდათან ანტროპომორფულ სახეებს იღებს. ძვ. წ. III ს. დათარიღებულ ბალთაზე ჩვენ მას ვხვდებით უკვე, როგორც ფრთოსან ღვთაებას, რომელიც ორთავიან ირემზეა გამოსახული (იხ. ტაბ. 19).

თუ აქ გავიხსენებთ ლანგის საყოველთაოდ აღიარებულ ღებულებას იმის შესახებ, რომ ის ნადირი, რომლის მფარველადაც გვევლინება ესა თუ ის ღვთაება, ან რომელიც ეწირება მას მსხვერპლად, უმეტეს შემთხვევაში, შორეულ წარსულში, თვითონ განასახიერებდა ამ ღვთაებას³⁹, ჩვენთვის სავსებით ნათელი იქნება ამ მითოლოგიური სახის განვითარების გზა — ტოტემური ცხოველებიდან ანტროპომორფულ ღვთაებად.

ზემოთქმულის გათვალისწინება შესაძლებლობას გვაძლევს, ბალთებზე გამოხატული ირემი და ჭიხვი ცხოველთა მფარველ ღვთაებასთან დაკავშირებულ რელიგიურ კომპლექსს მივაკეთენოთ და გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ბრინჯაოს ბალთაზე გამოსახულ ორთავიან ირემზე ამხედრებული ღვთაება არის ღვთაება დიდი ღედა, ცხოველთა მფარველი და ნაყოფიერების ქალღმერთი. ბალთაზე გამოხატული უნდა იყოს ამ ღვთაების ორგვარი სახე — ანტროპომორფული და ზოომორფული.

მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიციის ცენტრში ორთავიანი ირმის გამოსახულებას ბალთაზე მხოლოდ ერთ ნიმუშზე ვხვდებით, ეს მოტივი აქ ძეგლებისათვის არ უნდა იყოს უცხო. ცნობილია ბალთების კიდევ ორი ეგზემპლარი, რომლებზედაც ირმის პროტომები კომპოზიციის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს და ცენტრალური ცხოველის ზევით არის გამოსახული. ერთ მათგანზე. ცენტრალური ცხოველის ზევით მოთავსებულ ირმის პროტომებზე ჭიხვის თავია გამოსახული (ბალთა № 121, ტაბ. 10), ხოლო მეორეზე, ორთავიან ირემზე ჭიხვის მთელი ფიგურაა მოცემული (ბალთა № 122).

თუ ორთავიან ცხოველებს ცხოველთა მფარველ ნაყოფიერების ღვთაებას დაუკავშირებთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ზევით განხილულ ბალთებზე გამოსახულ ორთავიან ირემებზე, ერთ შემთხვევაში ქალღმერთაა წარმოდგენილი, ხოლო დანარჩენ ორ შემთხვევაში ამ ღვთაების ზოომორფული სახე — ჭიხვი.

ბრინჯაოს ქართულ ბალთებს, როგორც შესრულების სტილით, ასევე შინაარსით უკავშირდება „ლურისტანული ბრინჯაოს“⁴⁰ შესანიშნავი ძეგლები.

³⁷ А. Л. Иессен, Северо-Кавказские сосуда с изображением оленя, СОГАНМК, 1931, № 2, стр. 18.

³⁸ М. И. Вязьмитина, Ранние памятники скифского звериного стиля, С. А., 1963, № 2, стр. 169.

³⁹ A. Lang, Mythes. Cultes ..., p. 516.

⁴⁰ „ლურისტანული ბრინჯაოს“ სახელწოდებით სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია დიდი ჯგუფი ლითონის ნივთებისა, რომელიც აღმოჩენილი იყო დევანდელი ლურისტანის ტერიტორიაზე. ლურისტანული ნივთები მეტად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. მასალა შეიცავს იარაღის ნიმუშებს, სამკაულს, საკულტო დანიშნულების საგნებს, ლითონის და

ცალკეული ლურიტანული ძეგლების დიდ მსგავსებას კავკასიურსა და ქართულ მასალასთან აღნიშნავს რიგი მკვლევრებისა. მაგრამ ამ საკითხზე ისინი უმეტესად გარეგნული მსგავსებისა და ცალკეული თანხვედნების საფუძველზე მსჯელობდნენ. ჩვენც შევეცადეთ ჩაგვეტარებინა ასეთი შედარება და დავეინახა არა მხოლოდ გამოსახულებათა შორის არსებული სტილისტურა კავშირი (იხ. ზემოთ, თავი III), არამედ ამ გამოსახულებათა შორის სემანტიკური კავშირიც დაგვეღვინა⁴¹. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ცხოველთა მფარველ ღვთაებასთან დაკავშირებული სიუჟეტი ძალიან აქტიურია ლურისტანული ხელოვნების ძეგლებზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლურიტანულ ძეგლებს დაუცავს ის სიუჟეტი, მეტიც, მას შემოუწინააყვას იხეთი ღვთალები და მოტივები, რომლებიც ქართულ მასალაზე ჭერჭერობით არ არის დამოწმებული.

ცხოველთა მფარველ ღვთაებასა და მასთან დაკავშირებულ ცხოველებს ლურისტანში ჩვენ შეიძლება დავეუკავშიროთ არა მხოლოდ ორთაყვანი ცხოველები და ზედ გამოსახული ანტირომომრფული გამოსახულებანი, არამედ სხვა ძეგლებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ლურისტანული საკიდები. ამ საკიდებს ლურისტანში საერთო სტილისტური ნიშნები ახასიათებთ; საკიდი წარმოადგენს მასიურ დისკოს, რომელიც ხშირად წნული ორნამენტით არის

ოხის ჰორკელს. ყველაზე საინტერესო ჩგუფს წარმოადგენს ცხენის აკაზმულობის ნაწილები, — ცხოველს სტილში შესრულებული ლაგმები, საყბური და დეკორატიული რგოლები. ლურისტანულ ნივთებს ახასიათებს შექულობის რთული წესი. ორნამენტაცია შესრულებულია ცხოველურ სტილში. ხშირია, აგრეთვე, ადამიანის სტილიზებული გამოსახულებანიც. შენიშნულია, რომ ლურისტანული ნაწარმის ხასიათი და შექულობის სტილი მეტყველებს ფართოდ განვითარებულ მესაქონლეობასა და მეცხენეობაზე (R. Dussau, *The bronzes of Luristan*. SPA, I p. 225). ლურისტანული ბრინჯაოს ნივთები ევროპაში მოხდნენ ჩვენი საუენის 30-იან წლებში, მძარცველური გათხრების შედეგად. ამ კულტურამ დიდი ხანია მოიქცია მეცნიერთა ყურადღება. ამ საკითხის გარშემო დღისათვის არსებობს საქმაოდ მრავალრიცხოვანი ლიტერატურა. იხ. A. Godard, *Les bronzes du Luristan*, p. 1931; F. Hantzler, *Kaukasus-Luristan*. ESA, IX, 1934. F. Herzfeld, *Iran in the ancient East 1941*; F. Ackerman, *The Bronzes Luristan*, 1941; G. Gontenau, *Manuel d'archeologie orientale*, Paris, 1957, v. IV გვ. 2161 და შემდეგი, C. Schaeffer, *Stratigraphie comparee...*, 1948; R. Ghirshman, *Iran*, 1957. ამ ნაშრომებში დიდი ადგილი უჭირავს ამ საიდუმლოებით მოცული კულტურის დათარიღების საკითხს, რომელიც, როგორც ცნობილია, საქმად განსხვავებულად არის გადაჭრილი.

ლურისტანული კულტურის დათარიღებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბელგის არქეოლოგიური საზოგადოების მიერ 1966—68 წწ. ლურისტანში ჩატარებულ გათხრით სამუშაოებს. ამ ექსპედიციების შედეგად გამოვლინდა ლურისტანული ტიპილიზაციის საბოლოო ეტაპი, რომელიც ძვ. წ. VIII—VII სს. თარიღდება (იხ. Van den Beighe, *La Necropole de War Kabud, L, Archeologie en Iran № 181*, 1967. V. Maleki, *Les bronzes du Luristan*—იქვე). გამოიქმენა მოსაზრება, რომ ლურისტანული კულტურის მატარებელი კასტრ ტომები უნდა ყოფილიყვნენ. კასიტები აქლოს იღვნენ ზაგროსის მთიანეთში მოსახლე სება ტომებთან და ეყუთნან ე. წ. ზაგროს-ელამურ ენათა ჯგუფს (D. Cameron, *History of Early Iran*, 1936, გვ. 45). ზაგროს-ელამური ენების ზოგიერთი მკვლევარი კასიტურ ენას კავასიურ ენათა ჯგუფში აერთიანებს და აღნიშნავს კასიტების ეთნიკურ სიახლოვეს კავასიულ ხ:ლებთან. გ. მელიქიშვილი საკანგებოდ ჩერდება ამ საკითხზე და აღნიშნავს ზაგროს-ელამური ტომების კავშირს თანამედროვე კავკასიურ ეთნიკურ ჯგუფთან, მითოლოგიურ-ეპიკური ტრადიციის ხაზით. იხ. Г. А. Меликшвили, *Наши Урапы*, 1954, 120—121.

⁴¹ მ. ხ. ი. დ. ა. შ. ე. ლ. ი., საკულტო რელიგიური მარალელები ლურისტანსა და კავკასიის შორის, კრ. ძველი ისტორიის საკითხები, 111. 1970.

შესრულებული. დისკოზე ზევიდან აღმართულია ჯიხვის ან ქალღვთაების ფიგურა, დამუშავებული მასიურ, სკულპტურულ ფორმებში. ცენტრალური ფიგურის ორივე მხარეს გამოსახულია ორი ძაღლისებური ცხოველი. (ამ საკიდებზე კომპოზიციის აგების პრინციპი გარკვეულ მსგავსებას იჩენს ორთავიანი ცხოველების კომპოზიციებთან. იქ, ორთავიან ცხოველზე მჯდომი ღვთაების ორივე მხარეს არიან განლაგებულნი ძაღლისებური ცხოველები, საკიდებზე კი ქალღვთაება ან მისი ზომორფული გამოსახულება — ჯიხვია მოცემულ ბრინჯაოს დისკოზე, ხოლო მის ორივე მხარეს სიგრძეზე განლაგებულია ორი ძაღლის გამოსახულება⁴² (იხ. ტაბ. 20).

ცხოველთა მფარველი ღვთაების ორმაგი ბუნება განსაკუთრებით სრულად არის ასახული ერთ-ერთ ლურისტანულ საკიდზე (ტაბ. 20), საკიდი წარმოადგენს დისკოს, რომელზედაც აღმართულია საინტერესო ორთავიანი ფიგურა, ერთ მხარეს წარმოდგენილია საეხებით რეალისტურად გადმოცემული, მასიურ ფორმებში დამუშავებული ჯიხვის თავი, ხოლო მეორე მხარეს — ქალღმერთის თავი. ამგვარად, ჩვენ მივიღეთ ისევ სრულიად სხვა სტილით დამუშავებული, მაგრამ შინაგან ორთავიანი ფანტაზიური არსება, რომელიც უნდა აახადღეს ცხოველთა მფარველი ღვთაების ორგვარ სახეს — ანტროპომორფულს და ზომორფულს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ლურისტანულ ძეგლებზე ასახული ცხოველთა მფარველი ნაყოფიერების ღვთაების მხატვრული სახე ხშირად მეორდება სხვადასხვა დანიშნულების ნივთებზე, მაგრამ ამ გამოსახულებას ყველგან ერთი და იგივე და მკვეთრად გამოხატული სტრუქტურული ნიშნები ახასიათებს. ღვთაება ყოველთვის წარმოდგენილია an face. მას აქვს მაღალი კისერი, რომელიც ხშირად შემკულია ყელსაბამით. სახე გამოირჩევა მასიური, სკულპტურული ფორმებით: რელიეფურად გამოყვანილი თვალ-წარბი, მასიური ცხვირი. თავზე გაკეთებული აქვს სპირალურად დახვეული რქები, რომლებიც ხშირად აშკარად ჯიხვის რქებს მოგვაგონებს. უშუალოდ კისრიდან ქალის ფეხურას ამოზრდილი აქვს გრძელი ხელები, რომლებიც ხშირად ქალღვთაებას ზევით აქვს აწეული. ზოგჯერ კი ხელები, ისევე როგორც ჯიხვის რქები, სპირალურად იხრება და ეყრდნობა დისკოს (იხ. ტაბ. 20).

რ. გირშმანის აზრით, ლურისტანულ ძეგლებზე გამოსახული ქალღვთაება უნდა წარმოადგენდეს ღვთაება დიდი ღედის გამოსახულებას, რომელიც, მისი აზრით, ირანული ანაჰიტას ერთ-ერთ პირველსახედ შეიძლება ჩაითვალოს⁴³.

ლურისტანული მატერიალური კულტურის ძეგლების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ლურისტანის უძველესი მოსახლეობის წარმართულ პანთეონში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ცხოველთა მფარველ ნაყოფიერების ქალღვთაებას ეკირა, რომლის მთავარ ცხოველურ გამოვლენას წარმოადგენს ჯიხვი.

ქართული ბალთების გამოსახულებათა სიმბოლოების დასადგენად არ არის საკმარისი მხოლოდ ცენტრალური ცხოველის მნიშვნელობის გარკვევა. საკიროა შევეხოთ დამატებით ცხოველებს (ირემთან და ჯიხვთან ერთად ბალთების დეკორში ჩვენ ვხვდებით ძაღლის, ფრინველის, გველისა და თევზის გამოსახუ-

⁴² A. Godard, Les bronzes du Luristan, P, 1931, pl. XXXI—110 და 114, pl. XXXII—115 და 118.

⁴³ R. Ghirshman, Iran, 1957, p. 102.

ლებებს), გავარკვიოთ მათი მნიშვნელობა და სიუჟეტურად დაუქვეშდით ცენტრალურ ცხოველს.

ამისათვის საჭიროა განვიხილოთ წინააზიური დიდი დედის, შემდეგდროინდელი ინინა იშტარის სახე. ამ ღვთაების ფუნქციები სწორედ მასშია ყველაზე სრულად თავმოყრილი.

ქალღმერთ იშტარს საკმაოდ რთული ბუნება გააჩნია. იგი ნაყოფიერების ქალღმერთია და გვევლინება როგორც დიდი დედა ადამიანთა, ღვთაებათა და ცხოველთა მთელი მოდგმისა⁴⁴. ერთი მხრივ, ის სიყვარულის მფარველია, ხოლო მეორე მხრივ — ომის ქალღმერთი. მშვიდობიანობის დროს კი მონადირეთა ღვთაებაა, როგორც ქალღმერთი მშვილდისრისა და კაპარკისა.

ამრიგად, იშტარი საკმაოდ რთულ ღვთაებას წარმოადგენს, რომელშიაც სხვადასხვა ღვთაების ფუნქციებია გაერთიანებული. ალბათ, სწორედ მისი სირთულეა მიზეზი იმისა, რომ ნავთიერი კულტურის ძეგლებზე ქალღმერთი იშტარის საკმაოდ მრავალრიცხოვანი სიმბოლოები და ემბლემებია გამოხატული. თათოეული სიმბოლო და ნიშანი წარმოადგენს იშტარის ამა თუ იმ განხორციელების გამოხატვას.

ქალღმერთ იშტარის ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოს წარმოადგენს ვარსკვლავი. იგი უნდა გამოხატავდეს იშტარს, როგორც ცის ღვთაებას. იშტარის ამავე ფუნქციასთან უნდა იყოს დაკავშირებული მისი გამოსახვა სხვადასხვა ფრინველის სახით⁴⁵.

ხშირად იშტარის სიმბოლოს წარმოადგენს ხარი ან ლომი, რაც გამოხატავს მას, როგორც ომის ქალღმერთს, ბაბილონის ცილინდრულ საბეჭდვებზე ხარის გვერდით ხშირია იშტარის მეორე სიმბოლო — „თავთავი“. აქ არის სწორედ წარმოდგენილი მისი სხვადასხვა ბუნება. ხარი ასახავს მას როგორც ომის ღვთაებას, თავთავი, ეს არის ღვთაება ნაყოფიერებისა და მთვარე — ქალღმერთი სიყვარულისა. იშტარის სიმბოლოებს წარმოადგენს შვილდისარი, შუბი. ეს სიმბოლოები მონადირეობასთან აკავშირებენ და გადმოგვცემენ მას როგორც მონადირეობის ღვთაებას.

იშტარს, როგორც ცხოველთა მფარველსა და შემდეგდროინდელი მესაქონლეობის ღვთაებას, მრავალრიცხოვანი ცხოველი ემორჩილებოდა. ახალ ბაბილონურ წარწერებში შემონახულია ცნობა, რომლის თანახმად, იშტარის მორჩილი ცხოველები, განსაკუთრებით ხშირად კი ირმები, ვარსკვლავით იყვნენ აღნიშნულნი (მისი საკუთრების ნიშანი)⁴⁶. მატერიალურ-კულტურულ ძეგლებზე იშტარის ეს ნიშანი განსაკუთრებით ხშირად არის ასახული.

იშტარის რთული სახე, ერთ ღვთაებაში სხვადასხვა ფუნქციების გაერთიანება, იმის მაჩვენებელია, რომ ამ ღვთაებამ განვითარების რთული და ხანგრძლივი გზა განვლო. ამ ღვთაების პირველი სახის წარმოშობა ძალიან ადრე საფეხურზეა საფიქრებელი. მისი თითოეული ზოომორფული გამოსახულება, ემბლემა თუ ატრიბუტი უნდა გამოხატავდეს გარკვეულ საფეხურს მისი არსებობის და განვითარების ხანგრძლივ გზაზე.

იშტარის სახე და მასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი მითები გაცილებით უფრო ადრე წარმოიშვნენ, ვიდრე მოხუცებოდა მათი წერილობითი ფიქ-

⁴⁴ Хмельевский, Христианство и религия мира, М., 1963, стр. 10.

⁴⁵ H. J. Mar, Иштарь, Яфет., Сб., V, стр. 129, 153.

⁴⁶ G. Contenau, La civilisation des Hittites, p. 79.

საცია; სწორედ წერილობით გაფორმებულმა მითებმა შემოგვიინახეს ჩვენ ამ ქალღმერთის სინკრეტული და რთული სახე, რომელშიც ამ ღვთაების ხანგრძლივი არსებობის დროს შექმნილი თვისებებია შერწყმული და გაერთიანებული. იშტარის სახე ჩამოყალიბდა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მოხდა მისი ასახვა ხელოვნების ძეგლებზე და, მიუხედავად, გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე იშტარის ასახვამ მატერიალური კულტურის ძეგლებზე მიიღო გარკვეული კანონიერი ფორმები.

როგორც აღვნიშნეთ, ცხოველთა მფარველი ღვთაება, თავდაპირველად, ზოომორფული არსებაა, განვითარებებს უფრო გვიან საფეხურზე იქცევა იგი ადამიანის მსგავს არსებად. ეს ზოომორფული ღვთაებები მის აუცილებელ ატრიბუტებად იქცევიან და მისი ძირითადი არსის გამოხატველნი არიან. სწორედ ამ მომენტთან უნდა იყოს დაკავშირებული, ჩვენი აზრით, სამი საწყისის გაერთიანება ბუნების დიდი დედის სახეში. წყლის ცხოველები გაერთიანდნენ, ამთგან ერთი რომელიმე (თევზი, ბაყაყი, გველი) დიდი დედის აუცილებელი ატრიბუტი გახდა, და განააზიერებდა მის ბატონობას წყლის სამყაროზე, ჩიტი ავრცელებდა მის ბატონობას ზეცაზე (ცნობილია, რომ იშტარი ექუთვნოდა ასტრალურ ღვთაებათა რიცხვს), ხოლო ძაღლი, ირემი და სხვა ცხოველები მიწიერი სამყაროს ბატონად გვისახავდნენ მას. მაგრამ, როგორც ჩანს, ქალღმერთის ყველა ეს ატრიბუტი ოღუენადაც დამოუკიდებელ როლს ასრულებდა. ეს ატრიბუტები ზოომორფული არსებანი, ადრე თვითონაც ღვთაებებს წარმოადგენდნენ, შემდეგ კი დიდი დედის ზოომორფული გამოხატულების ფუნქცია დაეკისრა. თვითონ ამ ზოომორფული ღვთაებების წარმოშობა რელიგიური აზროვნების ტოტემისტურ საფეხურთან უნდა იყოს დაკავშირებული. სამი სამყაროს განმასახიერებელი ცხოველების ამ კავშირს გულისხმობდა ალბათ ნ. მარი, როდესაც წერდა. „Иштаръ в образе птицы обязательно сливается с Иштарью — рыбой, и рядом обязательно натолкнулись бы на образ Иштари-Дерева, — но раз возникает здесь речь о такой полностью всего ряда, конкретной рыбе, конкретной птице и конкретном дереве, то это уже пренстория богини Иштари, еще не антропоморфированной»⁴⁷.

როგორც ვხედავთ, იშტარის ღვთაებაში გაერთიანებულია რელიგიურ შეხედულებათა საკმაოდ რთული კომპლექსი, რომელშიაც აღნიშნული ღვთაება საკმაოდ მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი. კერძოდ კი, კარგად ჩანს ამ ღვთაების კავშირი სამ სამყაროსთან — ზეცასთან, მიწასთან და წყლის სამყაროსთან.

რელიგიურ შეხედულებათა აღნიშნული კომპლექსი საკმაოდ სრულად არის ასახული მატერიალური კულტურის ძეგლებზე. განსაკუთრებით საინტერესოა ასახვის ეს სიუჟეტი პოულობს სირიულ-ხეთურ საბეჭდავებზე, სადაც ეს სიუჟეტი მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი. გ. კონტენოს გამოქვეყნებული აქვს მრავალრიცხოვანი საბეჭდავები, რომლებიც სიუჟეტურად, სწორედ აღნიშნულ ღვთაებასა და მის მრავალრიცხოვან ატრიბუტებს უნდა გადმოგვემდინენ⁴⁸.

ერთ-ერთ საბეჭდავზე წარმოდგენილი კომპოზიციის ცენტრს წარმოადგენს საინტერესო ფიგურა, რომლის ზუსტი განსაზღვრა გაძნელებულია. ჩვენ შესაძლებელია მასში სიკოცხლის ხის და ქალღვთაების გამოსახულება დავინახოთ.

⁴⁷ И. Я. Марр, Указанное сочинение, стр. 153.

⁴⁸ G. Contenau, La Gliptique... pl. XXXI—110, 211, pl XXXII—213.

ფიგურას გაკეთებული აქვს ფრთები, რ.მლებიც ისეა დამუშავებული, რომ ხის ტოტებს მოგვაგონებენ. ფიგურის ქვემოთ, მარჯვნივ, გამოხატულია ირემი, მარცხნივ — ფრინველი. მის გვერდით მოცემულია თევზის გამოსახულება⁴⁹. ეს სიუჟეტი თავის მთლიანობაში არის ასახული მეორე ზეთურ საბეჭდავზე. აქ წარმოდგენილია შიშველი ქალღვთაება, რომელიც დედამიწიდან ამოდის. მის გვერდით გამოსახულია თაა და ირემი, ფრინველი და თევზი; იქვე მოცემულია ყვავილი, როგორც მცენარეულობის სიმბოლო. საბეჭდავზე მოცემულია აგრეთვე ციური მნათობების — მზის, მთეარისა და ვარსკვლავების გამოსახულებანი. ღვთაების გვერდით გამოსახულია კვერთხი, ნიშნად იმისა, რომ აღნიშნული ღვთაების ბატონობა ვრცელდება ყველაფერზე, რაც სიმბოლურად არის წარმოდგენილი საბეჭდავზე⁵⁰.

საბეჭდავებზე ირმის, თევზისა და ფრინველია გვერდით ხშირად მოცემულია ხელის გამოხატულება. ხელი კი, როგორც ცნობილია, სწორედ აღნიშნული ღვთაების სიმბოლურ ნიშანს წარმოადგენს⁵¹.

წარმოდგენა ბუნების დიდი დედის შესახებ, როგორც სამპიროვნული ღვთაების შესახებ, დატული ყოფილა, როგორც ჩანს, ბერძენთა პრეელინისტურ რელიგიამდე. ამის დამაპყტიებელი უნდა იყოს ამ ღვთაების გარკვეული იკონოგრაფია, შემუშავებული ბერძნულ საეპოხო მხატვრობაში. ამ ღვთაების საინტერესო გამოსახულება მოცემულია ბეოთიურ ამფორებზე. აქ მოცემული კომპოზიციის ცენტრს წარმოადგენს ქალღმერთის ფიგურა, მის ორივე მხარეა მოცემულია ღვთაების გამოსახულება. ქალღმერთს ხელები გაშლილი აქვს. მის ხელებზე სხედან ჩიტები. ღვთაების კაბაზე ვერტიკალურად გამოსახულია დიდი თევზი⁵².

მეორე ბეოთიურ ამფორაზე მოცემულია გამოსახულებათა ორი ფრიზი. ერთზე გამოსახულია ქალღვთაება ჩიტებთან, თევზთან და რალაც რქოსან ცხოველთან ერთად, ხოლო მეორე ფრიზზე ჩვენ ვხედავთ ირემების პროცესიას⁵³.

მითოლოგიურ წარმოდგენათა ამავე სფეროს უკავშირდება, როგორც ჩანს, ძველი კრეტელების რელიგიური შეხედულებანიც. მთელი თავისი არსებობის მანძილზე კრეტელები თავიანთ სცემდნენ ბუნების დიდ დედას, ადამიანთა და ცხოველთა მფარველ ნაყოფიერების ღვთაებას. უფრო გვიან, ბერძნულ ხანაში მისი ატრიბუტები ელინურ ქალღმერთებს დაუნაწილეს: არტემიდეს შეხვდა ირემები, ათინას გველები, ხოლო აფროდიტემ ფრინველები მიიღო⁵⁴.

რელიგიურ შეხედულებათა აღნიშნული კომპლექსი საკმაოდ სრულად და საინტერესოდ არის ასახული ქართული მატერიალური კულტურის შედარებით ადრეულ ძეგლებზეც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო მასალას იძლევა კოლხურ-ყოზანური ცულები და ამავე ტიპის ბრინჯაოს ბალთები. ამ ძეგლების დეკორის მხატვრულ სახეებს წარმოადგენენ: ირემი, გველი, თევზი, ფრინველი და ფანტასტიკური ძაღლისებური ცხოველი⁵⁵.

⁴⁹ G. Contreau, La Gliplique... სურ. 210.

⁵⁰ Фармаковский, Архангелский период в России, МАР, №: 31, стр. 23--24.

⁵¹ F. Chantre, Recherches anthropologiques... L. II, p. 70.

⁵² Harrison, Prolegomena to the study of Greek Religion, 1908, გვ. 264, სურ. 62.

⁵³ იქვე, გვ. 264, სურ. 60. ავტორის აზრით, ამფორებზე გამოსახულია ღვთაება დიდი დედა, რომელსაც უნდა ეწოდოთ არტემიდე, ან ეპილეა. იქვე, გვ. 266.

⁵⁴ Д. Пенджберн, Археология Крита, 1950, стр. 290.

⁵⁵ კოლხურ ცულებსა და ბალთებზე გამოსახული ცხოველის რაობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ა. მილერის აზრით, ამ ფანტასტიკურ

კოლხური ცულების ცხოველთა შემცველი კომპოზიციები უფრო ხშირად მოცემულია ცულის პირზე. ცხოველები ზოგჯერ განლაგებულია წყვილ-წყვილად, ზოგჯერ კი ცულის პირს ერთი ცხოველის გამოსახულება ავსებს. უფრო წვრილი ფიგურები, უმეტესად გველებისა და თევზებისა, ხშირად მეორდებიან ცულის წელსა და ტარზე და თითქოს ავსებენ მთელს კომპოზიციას სტილისტურადაც და სემანტიკურადაც.

ჩვენ შეიძლება დავასახელოთ კოლხურ-ყობანური ცულებისა და ბალთების მრავალრიცხოვანი ეგზემპლარები, რომლებზედაც ირმის გამოსახულებანია მოცემული. ამ ტიპის ძეგლებზე განსაკუთრებით ხშირია, აგრეთვე, ძაღლისებური ცხოველის გამოსახულება. ზოგჯერ ძაღლები გველებთან და თევზებთან ერთად არიან წარმოდგენილი. ამავე ცხოველებთან ჩვენ ხშირად ირმების გამოსახულებასაც ვხვდებით.

კოლხური ცულების მეტად საინტერესო ეგზემპლარი აღმოჩნდა წოისში⁵⁶. სხვა ძეგლებთან შედარებით აღნიშნულ ცულზე მითოლოგიური სიუჟეტი შედარებით მთლიანია სახით არის წარმოდგენილი. ცულის პირზე გამოჩნებულია უკან თვემომბრუნებული ფანტასტიკური ძაღლი, რომელსაც თავზე ირმის დატოტილი რქები აქვს დაღვმული. ძაღლის წინ გამოსახულია გველი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლხურსა და გვიანყობანურ ხანაში აღნიშნული ცხოველების გრაფიკულ გამოსახვასთან ერთად, ფართო გავრცელებას პოულობენ ირმების, ჭიხვების, ძაღლებისა და ფრინველების სკულპტურული ფიგურებიც.

კოლხურ-ყობანური ძეგლებისა და ბრინჯაოს ქართული ბალთების ანალოგიური გამოსახულებანი გვხვდება ისეთ მაღალმხატვრულ ძეგლებზე, როგორც არის გვიანბრინჯაოს ხანის გრაფირებული სარტყლები.

ყველას აღწერას არ შეუძლებით, არამედ შევხებით ზოგიერთ მათგანს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მასალას იძლევა თლის სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ქამარი, რომელიც შემკულია მეტად საინტერესო გამოსახულებებით. მასზე წარმოდგენილია ირმების, ჭიხვებისა და ტახების ერთი მხრივ მიმართული მწკრივი. ცხოველებს შორის მოცემულია, აგრეთვე, მონადირეთა ფიგურები. ერთი მათგანი ცხენზეა ამხედრებული, ხოლო მეორე დგას მშვილდისრით ხელში. ჩვენთვის საინტერესო ირმის, თევზის, გველისა და ფრინველის გამოსახულებათა კომპლექსი, რომელიც კოლხურ-ყობანურ ძეგლებზე უმეტესად დანაწევრებული სახით გვხვდება, აღნიშნულ ძეგლზე ისევე, როგორც ბრინჯაოს ქართულ ბალთებზე, მთელა თვისი სისრულით არის მოცემული. აქვე საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ქამარზე ამ ფიგურების განლაგების პრინციპი მოგვაგონებს ბალთებზე გამოსახულ კომპოზიციებს. ისევე როგორც ბალთებზე, ქამარზე წარმოდგენილი ირმის წინ გამოსა-

ცხოველს საფუძვლად ძაღლის რეალური გამოსახულება უდევს, რომელიც სტალინის შედეგად თანდათან სცლდება თავის პირვანდელ სახეს. А. А. Миллер, Изображение человека..., შემანიშნოვი ამ ფანტასტიკურ არსებას უწოდებს მგელ-ძაღლს და სთულის იბერების მთავარი ტრტემისა და ლეთაბის გამოსახულებად. И. И. Мещанинов, Змея и собака..., стр. 152—253; ე. ბარაუელიც კოლხურ-ყობანურ ძეგლებზე გამოსახულ ცხოველს საეულტო-მითოლოგიური ძაღლის ე. წ. მწვეარის გამოსახულებად მიიჩნევს, რომელთა განვითარება უწყვეტ სახით ტრტემური მგლიდან მოდის. В. В. Барлавел-л и л д з е, Древнейшие религиозные верования..., стр. 53.

56 Б. А. К у ф т и и, Археологическая маршрутизация..., стр. 27, рис. 6.

ხელა გველი, ხოლო ირმის ზურგს უკან და ფეხებს შორის მოთავსებულია ფრინველი (იხ. ტაბ. 19). ამრიგად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვალებთ ფიგურების ურთიერთგანლაგების საკვებით იდენტურ სურათს. ამ კომპოზიციის რიტუულურ ხასიათს ხაზს უსვამს იმ ასტრალური ნიშნების სიმრავლე, რომლებითაც შექველნი არიან ქამარზე გამოჩახული ცხოველები და ქამრის ორიგინალური ჩარჩო, რომელზეც, ჩვენი აზრით, ცხოველური რქებით შემკული ნიღბებია გამოსახული.

ამავე მითოლოგიურ სიუჟეტს უნდა უკავშირდებოდეს სამთავროს ქამრის შინაარსიც. მასზე გამოსახულებათა ორი ფრიზია მოცემულია. ზემოთა ფრიზზე გამოჩახულია ორი ირემი და მათ შორის თევზი, ცხენოსანი მონადირე, რომელსაც შუბი უტყორცნია ირმისათვის. იქვეა მეორე მონადირე, ტახტი და ფრინველი. ქამარზე ვხვდებით ასტრალურ მოტივებს. ვარსკვლავებისა და ნახევარმთვარის სახით⁵⁷. ირემების, თევზისა და ფრინველის ფიგურები მოცემულია აგრეთვე თრიალეთის სარტყელზე⁵⁸.

ზევით განხილული ძეგლები უკავშირდებიან და ასახავენ ბუნებისა და მისი ძალების კულტს. ბუნების ამ ძალთა განსახიერებას ისევე, როგორც სხვა ხალხის მითოლოგიური აზროვნებას ისტორიაში, წარმოადგენდა დედრობითი საწყისი, ბუნების დიდი დედა, ცხოველთა და ადამიანთა მფარველი ნაყოფიერების ღვთაება. ამ გამოსახულებებში შეიძლება ამ ღვთაების მრავალრიცხოვანი ზოომორფული სახეობანი და ატრიბუტები დავინახოთ. ცხოველთა სხეულზე გამოჩახული ასტრალური ნიშნები, ე. ბარდაველიძის კონცეფციის თანახმად, ღვთაება დიდი დედის ნაწილად, მის ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს⁵⁹.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ცხოველთა მფარველი ნაყოფიერების ღვთაების სახე და მასთან დაკავშირებული ცხოველების მითოლოგიური კომპლექსი საქართველოში შემონახულია არა მხოლოდ მატერიალური კულტურის ძეგლებზე, არამედ დღევანდლამდე შემონახული ქართული ხალხის სულიერი კულტურის მრავალფეროვან ძეგლებში, ფოლკლორისა და ეთნოგრაფიული ყოფის კომპლექსებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველ ტომებს ცოცხალ ყოფაში შემორჩენილი აქვთ წარმოდგენა ცხოველთა მფარველ ქალღვთაებაზე, რომელიც ირმის ან ჭიხვის სახით მოველინება მონადირეს და მასთან ინტიმურ ურთიერთობას ამყარებს. მონადირის კეთილდღეობა ამ ღვთაებაზეა დამოკიდებული. მაგრამ ამ ღვთაებასთან ყოველთვის დაკავშირებულია გარკვეული ტაბუ, აკრძალვა ამ ურთიერთობის საიდუმლოების გაკემისა, რომლის დარღვევა მონადირის ტრაგიკული დაღუპვით თავდება.

აღნიშნული ღვთაების ფუნქციების უფრო სრულად გამოსარკვევად მდიდარ მასალას იძლევა ქართული ზღაპრები თავისი სიუჟეტებით, მითოლოგიური მოტივებითა და საინტერესო პარალელებით; მთელი მასალა დროთა განმავლობაში, რა თქმა უნდა, ძალიან არის გამოცვლილი. იგი ზღაპრის ტიპური სახით შეიცვალა, მაგრამ მასში უძველესი სარწმუნოების აშკარა ანარეკლი ჩანს.

საილუსტრაციოდ რამდენიმე ცნობილ სიუჟეტს მოვიტანთ:

სამეგრელოში გავრცელებული თქმულებით, ერთ სოფელში ცხოვრობდა

57 შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 8, სურ. 20, 21.

58 ი ქ ვ ე, ტაბ. 7, სურ. 18, 19.

59 В. В. Бардавеладзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 110—111.

მონადირე. ეს მონადირე „ტყაში მათას“ შეუყვარდა. „ტყაში მათამ“ მონადირე დაასაჩუქრა ნადირობაში დიდი ნაღველით. მაგრამ როდესაც მონადირემ „ტყაში მათასთან“ ურთიერთობის საიდუმლო გასცა, მისი ბარაქიანობა ნადირობაში სრულიად გაქრა. „ტყაში მათამ“ დასაჯა მონადირე, ის ირმის სახით მოვევლინა მას, კლდეზე აიტყუა და ქვედ აქცია⁶⁰.

ქართულ ზღაპრებში ხშირად აღამიანს კეთილი საქმისათვის ჯადოსნური საჩუქრით (რომელიც ყოველთვის კეთილდღეობის მომტანია) ასაჩუქრებს გველი, თევზი ან ფრინველი. პოპულარულია სიუჟეტი, რომლის თანახმად, ვაჟი გველს სიკვდილისაგან იხსნის. მადლიერი გველი ეუბნება მონადირეს: რადგან ასეთი კეთილი საქმე მიყავი, დაგასაჩუქრებო. ენა გამოყავი, ჩემს ენის წვერს დაადე — ყველა სულიერისა და უსულოს ენას გაიგებო. ამავე დროს, გველი აფრთხილებს ვაჟს, ეს საიდუმლო არავის უთხრა, თორემ დაიღუპებო⁶¹.

ქართულ ზღაპრებში გველის ადგილს ხშირად თევზი იკავებს. თევზიც აღამიანს რაიმე სიკეთისათვის ჯადოსნური საჩუქრით ასაჩუქრებს, მაგრამ აფრთხილებს, ეს საიდუმლო არ გასცეს, რადგან ამ საიდუმლოების დარღვევით აღამიანი ან დაიღუპება, ანდა მისი კეთილდღეობა დაიკარგება⁶².

ანალოგიური ფუნქციის მატარებელი ქართულ ზღაპრებში ხშირად ფრინველი, ან, განსაკუთრებით, ფასკუნჯია. მეტად გავრცელებულია სიუჟეტი, რომლის თანახმად, მონადირეს ფასკუნჯი გადაარჩენს. მადლიერი ფასკუნჯი მას ყოველს შემძლე ყუთით ასაჩუქრებს, მაგრამ მონადირე შემთხვევით საჩუქრის მიღების საიდუმლოებას გასცემს და იღუპება⁶³.

მსგავსი ჰავალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ზემოთქმულიც საკმარისია იმისათვის, რომ ამ ცხოველებს შორის კავშირი დავინახოთ. ქართული ფოლკლორული მასალების მიხედვით, ირემი, ფრინველი, თევზი, გველი, არსებობს ერთ კატეგორიებს წარმოადგენენ, რომლებსაც აღამიანისათვის ხან კეთილდღეობა და ხან უბედურება მოაქვთ.

მეტად ნიშანდობლივია, რომ ქართული ფოლკლორის ამ მონაცემებს მხარს უჭერს, აგრეთვე, ეთნოგრაფიის მდიდარი მონაცემებიც.

როგორც ჩანს, ცხოველთა მფარველი ღმერთებმა განსაკუთრებულ სიახლოვეს წყლის სამყაროსთან იჩენს. აფხაზთა შეხედულებების თანახმად, წყლის ღმერთი მომხიბლავი, ლამაზი ქალია: მას ჰყავს რჩეული მონადირეთა შორის. წყლის ღმერთი შეიყვარებს მონადირეს, ასაჩუქრებს მას, იცავს უბედურებისაგან, მაგრამ ამ ურთიერთობას ისევე უკავშირდება მკაცრი ტაბუ, აკრძალვა წყლის

60 Я. Теплов, Из быта и верований..., СОМПК, т. XXVIII, отд. III, стр. 12—13.

61 რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, გვ. 271.

62 იქვე, გვ. 140.

63 ქართული მითოლოგიური ფასკუნჯი დიდ მსგავსებას იჩენს ირანულ სამყაროში დიდ გავრცელებულ ფანტასტიკურ არსება სენმურთან. სენმურეი წარმოადგენს ფრინველს, რომელიც სახლობს დიდ ტბაში მდგარ ხეზე. მას უკავშირდება რელიგიურ შეხედულებათა რთული კომპლექსი, სადაც თევზი, წყლის სამყარო, სიცოცხლის ხე და მასზე მცხოვრებ ფანტასტიკური ფრინველი, ერთმანეთთანა დაკავშირებული. სენმურეი სამშენებლოანი არსებაა, იგი სამივე სამყაროსთან ჩანს დაკავშირებული. ამავე დროს ის სამივე სამყაროს დამაჯემრებელ ფრინველსაც წარმოადგენს. საინტერესოა ამ სიტყვის ეტიმოლოგია. ინგლისელი მეცნიერების აზრით, სენმურეი ნიშნავს სამი ბუნების ფრინველს, ცნობილი შეკლევარის კ. ტრევერის აზრით, სენმურეი ფასკუნჯის ორეულია. თუ ფასკუნჯი ფრინველი ძალიან (მარი), სენმურეი (აღლ-ფრინველია. იხ. К. Тревер, Сеимур-поск и собака-птица, Л., 1937.

ღედასთან სასიყვარულო ურთიერთობის საიდუმლოების გაცემისა. ამ ტაბუს დარღვევა მონადირის ტრაგიკული დაღუპვით მთავრდება⁶⁴.

მეტად საინტერესოდ გამოიყურება, აგრეთვე, რწმენა-წარმოდგენები, დაკავშირებული მეგრულ მეთევზეთა ყოფასთან. მათი წარმოდგენით, არსებობს წყლისა და წყლის არსებათა გამგებელი ქალღმერთი, „წყარიშ მათა“ („წყლის მეფე“), რომელიც ისეთივე მზრძანებელია წყლისა, როგორც „ტყაში მათა“ („ტყის მეფე“) — ტყისა. „წყარიშ მათა“ მდებარებითი სქესისაა და ქალთევზას სახე აქვს⁶⁵. უაღრესად ნიშანდობლივია, რომ „წყარიშ მათა“-სთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები და წარმოდგენები გარკვეულ მსგავსებას იჩენებს სამონადირეო რიტუალებთან⁶⁶.

თევზის ქალღვთაება ლარსას არსებობა დამოწმებულია აგრეთვე იმერეთში. ლარსა, გ. ჩიტაიას შენიშვნით, სევანური ნადირთ პატრონის — დალის თანატოლი ჩანს⁶⁷.

ამიტომ არის, რომ დღევანდელ ეთნოგრაფიულ ყოფაში თევზსა და გველს, უპირველესად ყოვლისა, ნაყოფიერების ფუნქცია უკავშირდება (გველის, როგორც მვენე არსების გააზრება, უფრო გვიანდელი მოვლენაა). სევანეთსა და სამეგრელოში უკანასკნელ ხანებამდე იყო შემონახული ოჯახისა და კერის მფარველი გველის კულტი, რომელსაც ძირითადად ნაყოფიერების ფუნქცია ეკისრებოდა.

ასეთივე ფუნქცია უკავშირდება საქართველოში ძლიერად გავრცელებულ თევზის კულტსაც. თევზი წარმოადგენდა გამანაყოფიერებელი საწყისის მატარებელ ცხოველს და რიგ შემთხვევაში ტაბუირებულადაც ითვლებოდა⁶⁸.

თავისი მფარველი ქალღვთაება გააჩნდა, აგრეთვე, როგორც ჩანს, ფრინველებსაც, ცხოველთა მფარველი ღვთაება დალი, სევანეთში ფრინველების მფარველ ღვთაებასაც წარმოადგენს და „დალე კუანჭ“-ის სახელწოდებით არის ცნობილი⁶⁹.

ამგვარად, ქართული ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის ერთობლივი შონაცემების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ქართველი ტომების მითოლოგიურ აზროვნებაში ფრინველი, გველი და თევზი არსებათა ერთ კატეგორიას ეკუთვნოდნენ. ამ მითოლოგიურ სახეებში ჩვენ ერთი და იგივე ღვთაების (ამ შემთხვევაში — ბუნების დიდი ღედის) სხვადასხვა გააზრებასთან უნდა გვექონდეს საქმე. ზევით განხილულ შემთხვევებში აღმანიშნათვის კეთილდღეობის შონაცემი ხან ცხოველთა მფარველი ღვთაებაა, ხან „წყარიშ მათა“, ხან ფრინველი და ხან გველი. როგორც ჩანს, ეს ცხოველები ბუნების დიდი ღედის სხვადა-

64 მ. შაქავერიანი აფხაზეთი, ეთნოგრაფიული წერილები, „დროება“, 1885.

65 ზ. თანდილაძე, მეთევზეთა თქმულებები და ლეგენდები მეგრულ ფოლკლორში (ოჯისებო), საზოგადოებრივი მეცნიერების განყოფილებასთან არსებული ფოლკლორის საკორდინაციო საბჭოს სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 1969, გვ. 15.

66 იქვე.

67 გ. ჩიტაია, სიკოცხლის ხის შოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიშის შოამბე, X, 1941, გვ. 318.

68 А. Г. Робакидзе, К вопросу о некоторых пережитках культа ривня, СЭ., 1948, № 3, стр. 121. გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 318.

69 ვ. ჯარღაველიძე, ქართული (სევანური) საწესო გრაფიული ხელოვნების ნიმუშები, 1953, გვ. 88.

სხვა სახეობებს წარმოადგენენ, ხოლო გვიან ისინი ამავე ღვთაების ატრიბუტებად და ემბლემებად გადაიქცნენ⁷⁰.

რელიგიურ შეხედულებათა ზევით განხილულ წრეს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ორგანულად უკავშირდება ძაღლის სახეც.

კავკასიის ხალხებისა და მათ შორის ქართველი ტომების უძველეს რელიგიურ შეხედულებებში ძაღლს დიდი ადგილი უჭირავს, ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დატულია მდიდარი და საინტერესო მასალა, რომელიც მოწმობს ძაღლის კულტის ფართო გავრცელებას.

გ. ბარდაველიძის აზრით, ძაღლის კულტი საქართველოში ორგანულად არის დაკავშირებული მგლის კულტთან და ამ უკანასკნელის უწყვეტ განვითარებას წარმოადგენს. ძაღლის კულტთან დაკავშირებული წარმოდგენები ტოტემისტურ სამყაროს უკავშირდება. მკვლევრის აზრით, ძველ ქართულ პანთეონში, ასტრალურ ღვთაებებს თავისი დამხმარეები ყავდათ, ზოომორფული და ანტროპომორფული სულების სახით. ამგვარ ზოომორფულ დამხმარეებს წარმოადგენდნენ მგლები, გველები და ძაღლები. რომლებიც ამა თუ იმ ღვთაების ნების ერთგული შემსრულებლები იყვნენ. ღვთაების ბრძანებით, მათ ხან უზედღურება და ხან კეთილდღეობა მოჰქონდათ ადამიანისათვის⁷¹.

ქართველ ტომთა უძველეს რელიგიურ წარმოდგენებში დიდი ადგილი ეკი-რა, აგრეთვე, მითოლოგიურ ძაღლებს. ადამიანის მფარველი, ზღაპრული ყურ-შა ძაღლის სახე დღემდე შემოინახა ქართულმა მითოლოგიამ. არსებული თქმულებების თანახმად. ყურ-შა ზღაპრული ფასკუნჯის შვილია. ეს ფრთოსანი ლეკვი ხანდახან გამოჩნდება ხოლმე ფრიხეელის ბუდეში. ფასკუნჯი ზოგჯერ ამ ლეკვს მიწაზე გადმოაგდებს. ამ ფრთოსან ლეკვს იპოვნის მონადირე, რის შემდეგ მისი ნადავლი ნადირობაში არაჩვეულებრივად იზრდება. ძაღლის დაქარგვასთან ერთად მონადირის ბარაქა ქრება. მონადირე იგლოვს ფრთოსან ძაღლს, ეძიებს მის კვალს, მაგრამ მის ძებნაში აუცილებლად იღუპება.

ცნობილია, რომ ცხოველთა მფარველ ღვთაებასთან დაკავშირებული რელიგიური კომპლექსი ძალიან ადრე მონადირეობას დაუკავშირდა. ამიტომ გასაგებია ირმისა და ძაღლის კულტის სიძლიერე ამ მითოლოგიურ შეხედულებებში; ძაღლი მტკიცედ იყო დაკავშირებული ნადირთ პატრონთან, გვიან კი — მონადირეობის ღვთაების სახესთან. ხშირად იგი მის დუბლიკატსა და სახეცვლილებას წარმოადგენდა. ნადირთ პატრონი ზოგჯერ ძაღლის სახით ეჩვენებოდა მონადირეს, გვიან ძაღლი მონადირეთა ღვთაების ერთ-ერთ ატრიბუტად იქცა⁷².

საინტერესოა, რომ სამეგრელოში გავრცელებულ შეხედულებათა თანახმად. ტყისა და ნადირთ პატრონები ყოველთვის ძაღლების თანხლებით დადიან. ეს ძაღლები არაჩვეულებრივი გონიერებათა და ნადირობაში დიდი უნარიანობით გამოირჩევიან. თუ ეს ძაღლი მონადირეს ჩაუყვარდა ხელში, მისი ნადავლი ძალიან იზრდება⁷³.

ნიშანდობლივია, რომ ბერძენთა წინაელისისტურ რელიგიებში ძაღლი ქალღვთაებებთან არის დაკავშირებული. ძაღლი ქალღვთაების ატრიბუტსა და

70 შტრ. დ. შენ გელაია, წერილები, გვ. 206—208; ელ. ვირსალაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

71 გ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47—53.

72 ელ. ვირსალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

73 А. Дипр, Божество охоты и охотничий язык у кавказских горцев, СЛОМПК, X, отделение IV.

სახეცვლილებას წარმოადგენს⁷⁴. ასე, მაგალითად, ძაღლი არტემიდე — ჰეკატას მსახურია. ჰეკატას ხშირად ძაღლის სახით წარმოიდგენენ და ძაღლებს სწორავენ მსხვერპლად⁷⁵.

ამრიგად, როგორც ჩანს, ქართველი ტომების უძველეს რელიგიურ აზროვნებაში ძალიან დიდი ადგილი ეკირა ბუნების დიდი დედის მითოლოგიურ სახეს. სინკრეტული ღვთაება—ბუნების დიდი დედა, თავიდან მთელი სამყაროს მბრძანებლად და გამგებლად არის აღიარებული. რელიგიური პანთეონის გართულების შედეგად, ბუნების დიდი დედა თავის ფუნქციებს სხვადასხვა ქალღვთაებებს გადასცემს და სხვადასხვა ქალღვთაებებში კპოვებს განხორციელებას.

ბრინჯაოს ბალთებზე წარმოდგენილი კომპოზიციების ცენტრში ხშირად ცხენის რეალისტური ფიგურაა გამოხატული. ამ ბალთებზე შეცვლილი სახით არის წარმოდგენილი, აგრეთვე, კომპოზიციის დამატებითი ელემენტებიც. ირმანის კომპოზიციისათვის დამახასიათებელი გველის, თევზის, ფრინველის ადგილს ამ ბალთებზე იკავებს ხარისა და კვიციის გამოსახულება.

რელიგიის ისტორიიდან კარგად არის ცნობილი, რომ ხარის და ცხენის სახე მკიდროდ უკავშირდება ცხოველთა მფარველ ნაყოფიერების ღვთაებას. მაგრამ ბალთებზე ცხენის, კვიციისა და ხარის გამოხატვის დროს ამ ცხოველთა პირველადი მნიშვნელობა დაიკარგა, და ეს ცხოველები აღიქმებიან უფრო გვიანდელ, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ რელიგიურ შეხედულებათა სფეროში⁷⁶.

ირმისა და ხარის სამეურნეო ფუნქციების ცვალებადობას უნდა ასახავდეს საქართველოში გავრცელებული ერთი საინტერესო ლეგენდა: ღმერთმა ქვეყანა და ადამიანი რომ გააჩინა, დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ რომელი პირუტყვი გამოადგებოდა ადამიანს. დაუძახა ირემსა და ხარს. უბრძანა: გაიქეციოთ და ვისც უფრო მალე გადაიბრუნეს ცას, იმას დაეასაჩუქრებო. ირემმა დაიტოვა და გაფრინდა. უნდოდა ხარისათვის ეჯობნა, მაგრამ დიდი სირბილისაგან გაიბერა ირემი და მოკვდა. დარჩა მხოლოდ მისი ნაკვალევი ცაზე, რომელსაც ირმის სახტომი ჰქვია. ხარი კი დინჯად წავიდა, ცოხნით. გვიან მიადწვია, მაგრამ მინც მივიდა ბოლომდე. ხარის ნაკვალევიც დააჩნდა ცას, რომელსაც ხარის ნავალი ეწოდება. ამის შემდეგ აკურთხა ღმერთმა ხარი, დაულოცა ქელი და მას, ხარს, აწევს ადამიანის შენახვის ტვირთი⁷⁷.

ირმის, ხარისა და ცხენის, როგორც გარკვეულ ღვთაებათა მონაცვლეობის ფაქტი, ადამიანის აზროვნებაში ანტიკურ ხანაზე ბევრად უფრო ადრე უნდა მომხდარიყო. ანტიკური ხანის ბრინჯაოს ბალთებზე ასახულია გაცილებით უფრო

⁷⁴ O. M. Фрайдберг, Указ. Соч., стр. 104.

⁷⁵ A. Lang, დასახ. ხაზრ., გვ. 254.

⁷⁶ ქართველი ტომების რელიგიურ წარმოდგენებში ხარის კელტს უდიდესი ადგილი უჭირავს, ხარი, როგორც განანაყოფიერებელი ცხოველი, მკიდროდ არის დაკავშირებული პურეულის ღვთაება ლამიანთან. ხარებს ხშირად სწორავენ მსხვერპლად, აგრეთვე, დიდ დედა ნანას. В. В. Барташевич, Религиозные верования..., (აქ შეიძლება გავიხსენოთ მტარი, რომლის ეშლემებს წარმოადგენს თათვი და ხარი...), უფრო გვიან ხარი გენერაციურად შუას კელტს დაეუკნობდა. В. В. Барташевич, Главное божество древнерусского пантеона Гяертн, ВЭК, 1952, стр. 301.

⁷⁷ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 381—382. ამ ლეგენდის ვარიანტი გამოყენებული აქვს აგრეთვე აკად. გ. ჩიბაძის, იხ. Г. С. Чибая, Земледелецкие систем ..., ВЭК, 1953, стр. 101.

ძველი, ბუნების დიდ დედასთან დაკავშირებული მითოლოგიური შეხედულებანი, რომლებიც ბალთებზე წარმოდგენილ ცხოველებს ერთმანეთთან აკავშირებს და აერთიანებს ერთ რელიგიურ კომპლექსში. სრულიად სამართლიანად წერდა ბ. კუფტინი: «Сама уже сравнительно поздняя дата всей серии этих изделий (იჯლისხმება ბრინჯაოს ქართული ბალთები-მ. ხ.) заставляет исходить при толковании содержания изображений на них не из предполагаемой хронологической последовательности появления (в хозяйстве и мировоззрении, а не в конкретно данной продукции) различных образов, а из отражения во всем одновременном многообразии, существовавшего в эпоху изготовления этих блях... сложного представления о фантастическом существе, раздваиваемом и принимающем то вид оленя, то быка, то лошади, в зависимости от направления магического или, апотропического действия, вкладываемого в изображение»⁷⁸.

სინკრეტული ღვთაების, ბუნების დიდი დედის უძველეს ზომორფულ სახეებს ქართულ სინამდვილეში წარმოადგენენ ირემი, ჭიხვი, ძაღლი, თევზი, გველი და ფრინველი. ეს ის ცხოველებია, რომელთა საშუალებითაც დედა ღვთაება განაგებს თავის საბრძანებელს — დედამიწას, ცისა და წყლის სამყაროს.

განვითარების გარკვეულ საფეხურზე ეს ცხოველები ბუნების დიდი დედის ატრიბუტებად იქცევიან. მატერიალური კულტურის ძეგლებზე ამ ცხოველების ხშირი ასახვა ბუნების დიდი დედის კულტის ფართო გავრცელებასა და აქტიუობას უნდა მიუთითებდეს.

ბუნების დიდი დედის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული ბრინჯაოს ქართული ბალთების დიდი ნაწილის სიმბოლიკაც. ბალთებზე ირემისა და ჭიხვის გვერდით, უკლებლივ ყველა შემთხვევაში გველის, თევზის, ძაღლის ან ფრინველის გამოსახვა იმაზე მიუთითებს, რომ ბალთები სიუჟეტურად ბუნების დიდ დედასთან დაკავშირებული მითოლოგიური კომპლექსის ამსახველნი არიან.

* * *

ბრინჯაოს ქართულ ბალთებზე წარმოდგენილ ფანტასტიკურ ირემებს მკერდსა და გავაზე გამოხატული აქვთ კონცენტრირებული წრეები. გარდა წმინდა დეკორატიული დანიშნულებისა, ამ ნიშნებს თავიდან. უთუოდ, მაგოური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ.

მატერიალური კულტურის ძეგლებზე გამოსახული კონცენტრირებული წრეები ასტრალურ კულტებს უკავშირდება და მზისა და მთვარის სიმბოლურ ნიშნებად არის აღიარებული⁷⁹.

ასტრალურ კულტებში უძველესი უნდა იყოს მთვარის გაღმერთება. მთვა-

⁷⁸ Б. А. Куптин, Материалы к археологии Колхиды, т. I, стр. 81.

⁷⁹ აღსანიშნავია, რომ მზისა და მთვარის ემბლემების ერთმანეთისაგან გარჩევა, მათი გარეგნული მსგავსების გამო, საკმაოდ ძველია. რელიგიური სინკრეტიზმის შედეგად. ეს ნიშნები, ხშირად, ერთმანეთშია არეული. მუხსთან დაკავშირებული შეხედულებების დაწინაურების შემდეგ მთვარის სიმბოლური ნიშნები მზეს დაუკავშირდა. განვითარების ასეთივე გზა განელო ფრინველმა: ფრინველი, რომელიც ადრე მთვარესთან იყო დაახლოებული, უფრო გვიან მზეს დაუკავშირდა და მზის ერთ-ერთ ატრიბუტად გადაიქცა. იხ. А. Ross, დასახ. ნაშრ., გვ. 105—106.

რესთან დაკავშირებული რელიგიური შეხედულებანი თავისი წარმოშობით არქაული ხანის იდეოლოგიის ნაყოფია და რელიგიური აზროვნების უძველეს საფეხურს განეკუთვნება⁸⁰.

მთვარე ძველ კულტურულ ხალხთა სარწმუნოებაში თვალთან იყო შედარებული და ხშირად კონცენტრირებული წრეხაზებით გამოიხატებოდა. საფიქრებელია, რომ მთვარესთან დაკავშირებული კულტები უდიდეს როლს სწორედ უძველეს მონადირეობასთან დაკავშირებულ კულტებში ასრულებდნენ⁸¹.

საეციკლოპედიო სამეცნიერო ლიტერატურაში ორთავიანი ცხოველები ზოგჯერ განიხილებიან, როგორც ასტრალურ ღვთაებათა ატრიბუტები. ა. როსის აზრით, ორთავიანი ცხოველებზე ამხედრებული ქალღმერთი მთვარის ღვთაებას უნდა წარმოადგენდეს⁸².

ქართული წარმართული რელიგიის ისტორიიდან ცნობილია, რომ ცხოველთა მფარველი ღვთაება საკმაოდ ადრე ასტრალურ ნიშნებს იძენს და ამის შედეგად მთვარეს უკავშირდება. მაგალითად, ცხოველთა მფარველი ღვთაება (რომელიც, როგორც უკვე ვნახეთ, მონადირეს შეიძლება ირმის ან ძაღლის სახით მოველონოს) ხშირად ღრუბლის ან მთვარის სახეს იღებს და ისე ეჩვენება ადამიანს⁸³.

ამიტომ ბრინჯაოს ბალთებზე წარმოდგენილ ფანტასტიკურ ირმებზე გამოსახული კონცენტრირებული წრეები, შესაძლებელია, გამოხატავს ამ ცხოველების კავშირს მთვარის კულტთან და ამდენად, ცხოველთა მფარველ ღვთაებას ასტრალურ კულტსაც უკავშირებს.

ამ მოსაზრებას ამაგრებს დიდი ჩვეუი ქართული ბალთებისა, რომლებზეც ფანტასტიკურ ირმებს, რქების მაგივრად, ნახევარმთვარისებური წამონაზარდები გააჩნია.

* * *

ქართული კვირული ბალთების მრავალრიცხოვან ჩვეულებას ეკუთვნის ერთი საინტერესო ნიმუში, რომელზეც წარმოდგენილია ცხენზე მჯდომი მხედარი. მხედრის უკან გამოსახულია ფრინველი, ხოლო ცხენის წინ მოცემულია ასტრალური ნიშანი, კონცენტრირებული წრეები (იხ. ბალთა № 144).

ბ. კუფტინი ბალთაზე მოცემულ გამოსახულებას მზის კულტს უკავშირებს და მხედარს მზის ღვთაების გამოსახულებად მიიჩნევს⁸⁴.

⁸⁰ ვ. ბარდაეულიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, მსგ V, გვ. 62—63.

⁸¹ შეიძლება ამტკიცდეს, ძალიან ადრე ირემი მთვარეს დაუკავშირდა და მთვარის ცხოველად იქნა აღიარებული. საინტერესოა, რომ სამარის ეპოქის ერთ-ერთი ქურქლის ფრაზზე ძრეში ნახევარმთვარესთან ერთად არის გამოსახული. ნიშანდობლივია, რომ ამავე ეპოქის მეორე ქურქელზე ირმებს ქალღმერთი ინანა — იშტარის ნიშნები ახლავს. იხ. A. Ross, Greek geomelric Art..., გვ. 106, ნახ. 90.

⁸² ატორის ეს შეხედულება საესებით გაიზიარა ფ. ჰანჩარმა, და ბრინჯაოს ქართულ ბალთაზე წარმოდგენილ ღვთაებას მთვარის ღვთაებას დაუკავშირა. იხ. P. Hančar, Rossund... გვ. 64.

⁸³ ა. რობაქიძე, დ.ს.ხ. ნაშრომი, გვ. 191—192. აქვე შეიძლება გაიხსენოთ იშტარი, როგორც სოლარული ღვთაება ან ბერძნული არტემიდე, რომელსაც გამოსახულებენ ირმთან, ძაღლთან და მთვარესთან ერთად.

⁸⁴ Б. А. Куптин, Археологическая маршрутная..., стр. 222.

ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართველი ტომების წარმართულ პანთეონში მთავარ ღმერთებს მთვარე წარმოადგენდა. ქართველი ხალხის აზროვნებაში იგი მამაკაცის სახით წარმოიდგინებოდა. ეს კულტი ქრისტიანობაშიც გადადის, სადაც შემდგომში წმ. გიორგის სახელს უკავშირდება, ამდენად, ავტორის აზრით, წმ. გიორგის ქრისტიანულ კულტში წარმართული დროის მრავალი ელემენტი გადმოდის⁸⁵.

აღსანიშნავია, რომ მებრძოლი მხედარი, მთელი ანტიკური ხანის მანძილზე, ქართული მცირე ხელოვნების ძეგლების მეტად პოპულარულ სახეს წარმოადგენს, რაც ამ მხატვრული სახის მეტად დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

ბრინჯაოს ბალთაზე მოცემულ მხედარს მტკიცედ უკავშირდება კლდეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს მხედრის ქანდაკება⁸⁶, ყანჩათში მოპოვებული საბუკედეების ფარკებზე მოცემული მხედრის გამოსახულებები, აგრეთვე, ყანჩათისა და ახალგორის მხედრები და სხვა. ყანჩათისა და ბრინჯაოს ბალთაზე გამოსახულ მხედრებს ი. გავოშიძე ქართული წარმართული პანთეონის უმაღლესი ღმერთების — მთვარის ღმერთების გამოსახულებად მიიჩნევს და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ უკვე აღრენტიკური ხანის საქართველოში უნდა ჩამოყალიბებულიყო მთვარის ღმერთების გარკვეული იკონოგრაფია — მებრძოლი მხედარი, რომლის გამოსახულება არ სცილდება ქართულ მცირე ხელოვნებას მთელი ანტიკური ხანის მანძილზე⁸⁷.

საინტერესოა, განვითარების რა გზა გაიარა მთვარის მამაკაცმა ღმერთებამ, სანამ ის წმ. გიორგის ქრისტიანულ კულტს დაუკავშირდებოდა.

ყველა ხალხის რელიგიურ შეხედულებათა ისტორია იმას მოწმობს, რომ განვითარების გარკვეულ საფეხურზე ადამიანს შემუშავებული ჰქონდა მსოფლმხედველობა, რომლის საფუძველზე იგი ცდილობდა წარმოედგინა, აესხნა და შეედლებისამებრ დაესაბუთებინა სიციცხლის, ბუნებისა და თვით ადამიანის წარმოშობის საკითხები.

განვითარების საკმაოდ ადრეულ საფეხურზე ადამიანმა, როგორც ჩანს. შეიწუშავა წარმოდგენა, რომლის საფუძველზე ადამიანსა და ბუნებასათვის სიციცხლის მიმნიჭებელს წარმოადგენდა დედრობითი სქესის ძალა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს დიდძალი არქეოლოგიური მასალა. საკმაოდ დამაჯერებელია მოსაზრება, რომ უკვე ნეოლითურ ხანაშია საფიქრებელი ქალის ღმერთების არსებობა⁸⁸, რომელსაც, უპირველესად ყოვლისა, ნაყოფიერების ფუნქცია უკავშირდება. ბუნების დიდი დედის სახე და მასთან დაკავშირებული კულტები გვხვდება ძველი მსოფლიოს ყველა ხალხის რელიგიაში — მესო-

⁸⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, 1928, გვ. 43—51. ამავე აზრს ავითარებს თავის ნაშრომებში აკად. გ. ნუბინაშვილი. მისი აზრით, «Культ христианского св. Георгия явился преемником местного языческого культа имевшего глубокие корни и широкое разветвленное распространение... Отдельные черточки в каноническом житии и чудесах св. Георгия, отличающихся дикой фантазией, толкали исследователей на мысль о возможности связи их формирования именно с Грузией и в перерожденном определенными дохристианскими ее верованиями в образ Георгия». См. Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, стр. 241.

⁸⁶ გ. ლომთათიძე, კლდეების სამაროვანი, 1957, ტბ. VII, 1.

⁸⁷ ი. გავოშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 39—40.

⁸⁸ С. А. Токарев, Религия в истории народов мира, 1964, стр. 15.

პოტამიაში, მცირე აზიაში, ძველს ირანში, სკვითიაში და სხვა. ამ ღვთაების და მისი მრავალრიცხოვანი ატრიბუტების გამოსახულება ხშირად მოიძებნება მატერიალური კულტურის ძეგლებშიც.

საკმაოდ ადრე, ქალღვთაების გვერდით, ჩნდება მამრობითი ძალის გაღმერთება. როგორც ჩანს, ადამიანის მსოფლმხედველობაში გარკვეულ ცვლილებებს აქვს ადგილი. მაგრამ ამ პროცესში ერთი იდეოლოგია მეორე, ახალი იდეოლოგიით საუკებით ვერ ისპობა და ორივე ღვთაება ერთმანეთის გვერდით განაგრძობს არსებობას. ამიტომ არის, რომ ძველ სამყაროში ფართო გავრცელებას პოულობენ ღვთიური წყვილები. ღვთაება იშტარის გვერდით ჩვენ გვხვდება თამუზის სახე, იზიდას გვერდით — ოზირისი, კიბელას გვერდით — ატისი, არტემიდეს გვერდით — აქტეონი და სხვა მრავალი. რიგ შემთხვევაში, მამაკაცი ღვთაებანი ჯერ ჩრდილავენ ქალღვთაებებს და ბოლოს, რელიგიურ პანთეონში მათ ადგილსაც იკავებენ. ქალღვთაებათა შეცვლა მამაკაცი ღვთაებებით ცნობილი ფაქტია მრავალი ხალხის რელიგიის ისტორიაში⁸⁹.

მესოპოტამიაში დიდი ხანია აღიარებულია იშტარის ორსქესიანობა. ბაბილონურ წყაროებში იშტარი აშურთან არის შედარებული — ისევე, როგორც აშური, იშტარი წვეროსანია⁹⁰ (აქვე შეიძლება გაეიხსენოთ რომაული ვენერა, რომელიც ხშირად წვერებით არის გამოხატული) და ბოლოს ქალი და მამაკაცი ღვთაებების ფუნქციების შეცვლის შესანიშნავ მაგალითს იძლევა დიონისეს უძლიერესი კულტი, რომელმაც შეითვისა ქალღმერთთა მრავალი ფუნქცია და მრავალრიცხოვანი ატრიბუტი⁹¹.

ქართული და ზოგიერთი კავკასიური ტომის წარმართული შეხედულებების ანალოზი ადასტურებს მათ რელიგიურ შეხედულებებში ქალი და მამაკაცი ღვთაებების მონაცვლეობის არსებულ ფაქტს. ყველაზე უკეთ ეს პროცესი აისახება ცხოველთა მფარველი ნაყოფიერების ღვთაების მითოლოგიურ სახეში.

როგორც უკვე დავინახეთ, ქართველი ტომების უძველეს რელიგიურ შეხედულებებში დიდი ადგილი ეჭირა ცხოველთა მფარველ ღვთაებასა და მასთან დაკავშირებულ ცხოველებს. ამ ქალღვთაების უძველეს ზოომორფულ სახეებს, ირემთან და ჯიხვთან ერთად, წარმოდგენდნენ გველი, თევზი, ფრინველი და ძაღლი. საკმაოდ ადრე, მის გვერდით ჩნდება ცხოველთა მფარველი მამაკაცი ღვთაების სახე⁹².

მაგალითად, ხევისურებისა და რაჭველების წარმოდგენით, ნადირთპატრონები მამაკაცები არიან, ისინი თაყვანს სცემენ ანატორს და ოჩოპინტრუს. მაგრამ მის გვერდით დაცულია რწმენა ქალი ნადირთ პატრონის არსებობის შესახებაც⁹³.

თუშების წარმოდგენების თანახმად, ნადირთ პატრონები ანგელოზები

⁸⁹ Н. М. Никольский, Этюды по истории финикийских общинных и земледельческих культов, 1948, стр. 173.

⁹⁰ Н. Я. Марр, Иштарь, Я. С. V, стр. 111—112.

⁹¹ В. Иванов, Дионис и прадниониситство, Баку, 1923, стр. 77—93.

⁹² ეგეოსურსა და არქაული საბერძნეთის სამყაროში არტემიდეს გვერდით, ხშირად მოსჩანს მამაკაცი ღვთაება, რომელიც ცხოველთა მფარველ მამაკაცი ღვთაებას უნდა წარმოადგენდეს (იხ. С. П. Борнсковская, К вопросу о культе Артемиды в архаическом Копинии. Сб. Культура античного мира, 1966, стр. 42.

⁹³ ა. რ. ბ. ა. ბ. ე. დ. ა. ს. ხ. ნ. შ. რ. მ. ვ. 192.

არიან, ერთი ქალია, მეორე კაცი. სამეგრელოში დაცული შეხედულებების თანხმად, „ტყაში მათას“ გარდა, ტყეს მამაკაცი მფარველებიც გააჩნია⁹⁴.

ცხოველთა მფარველი მამაკაცი ღვთაების სახე მეტად პოპულარულია, აგრეთვე, ჩრ. კავკასიის ხალხების მითოლოგიაშიც. განსაკუთრებით საინტერესოა ადიღეელთა მამაკაცი ღვთაება მაზითხა, რომლის ფუნქციათა ანალიზი არკვეეს, რომ მაზითხას სახეში შემონახულია ადრინდელი ზოომორფული და ქალღვთაების ნიშნები⁹⁵.

ჩრ. და დას. კავკასიის ხალხებას ფოლკლორში დიდი პოპულარობით სარგებლობენ ცხოველთა (ირმებისა და ჭიხვების) და მონადირეთა მფარველი მამაკაცი ღვთაებები. ბალყარეთის აბსატი, აფხაზური აევეშპა, ოსური აფსატი, ამ, ფაქტიურად ერთი და იგივე ღვთაების სხვადასხვა სახელწოდებას წარმოადგენს.

სრულიად სამართლიანად არის შენიშნული, რომ ქართველი ტომების რელიგიურ შეხედულებებში შემორჩენილი რწმენა ქალი და მამაკაცი ღვთაებების ერთდროული არსებობისა, დაკავშირებულია არა წარმოდგენათა სიჭრელესთან, არამედ მათ საფეხურებრივ განსხვავებასთან, ნაღირთ ღვთაების სახის განვითარებასთან, მის განსხვავებულ გააზრებასთან, რომელიც ეკონომიური და სოციალური ყოფის განსხვავებულ საფეხურებთან არის დაკავშირებული⁹⁶.

მამაკაცი მთვარის ღვთაების განვითარების გზა, ქართველი ტომების მითოლოგიურ აზროვნებაში, როგორც ჩანს შემდეგნაირად განუთარდა: ცხოველთა მფარველ ქალღვთაებას საკმაოდ ადრე უჩნდება მამაკაცი კორელატი, რომელიც თანდათან ზღუდავს ქალღვთაების ფუნქციებს, ხოლო შემდეგ კი მის ადგილს იკავებს. ასტრალიზაციის შედეგად იგი მთვარეს უკავშირდება და ქართულ წარმართულ პანთეონში მხედრის სახით წარმოიდგინება. ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ მთვარის ღვთაება წმ. გიორგის დაუკავშირდა და წმინდა გიორგის კულტში წარმართობის მრავალი ელემენტი გადმოიტანა.

მართლაც, ვ. ბარდაველიძის შენიშვნით, ღვთაება ჭგრაგი ყველაზე მეტად დაახლოებულია დალთან. მკვლევარის აზრით, დალი და ჭგრაგი თავდაპირველად ტყის არსებანი უნდა ყოფილიყვნენ. დალი ცხოველებისა და ფრინველების მფარველია, ხოლო ჭგრაგი — მცენარეებისა.

მას შემდეგ, რაც ეს არსებანი ანტროპომორფულ სახეს ღებულობენ, ისინი მამრობითი (ჭგრაგი) და დედრობითი (დალი) სქესის ნაღირთპატრონებად წარმოიდგინებიან⁹⁷.

წმ. გიორგის ქრისტიანულ კულტში დიდ როლს ასრულებს ცხოველურა კულტები, კერძოდ კი ცხოველთა მფარველი ღვთაების უძველესი სახე — არემი.

გ. ჩიტაიას დამოწმებული აქვს საინტერესო შეხედულებები, რომლის თანხმად, წმ. გიორგის გიორგობის დღესასწაულზე თან მოყავდა ირმები. ის, რომ ქრისტიანულ წმ. გიორგის, რომელმაც წარმართული მთვარის ღვთაების

⁹⁴ В. Каган, Из мингрельских поверий.

⁹⁵ Б. В. Корзун, Фольклор горских народов..., стр. 38—40.

⁹⁶ ელ. ვი რ ს ა ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

⁹⁷ ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე. ქართული (სვანური) საწესო ვრთიულო..., გვ. 69.

ადგილი დაიჭირა, უკავშირდებიან ირმები, ახსნილია რელიგიური სინკრეტიზმით⁹⁸.

საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ წმ. გიორგი არის ერთადერთი ქრისტიანი ღვთაება, რომელსაც მოიხაენიებდა მონადირე თავის ლოცვაში, წარმართულ ღვთაებებთან ერთად, ლოცვის შემდეგ მოკლული ნადირის გულ-ღვიძლს მონადირე წმ. გიორგის შესწირავდა⁹⁹.

მეტად ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული იდეოლოგიური შეხედულებანი საკმაოდ სრულად არის ასახული ქართული მატერიალური კულტურის ზოგიერთ ძეგლზე. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო მასალას იძლევა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მამაკაცთა მრავალრიცხოვანი ქანდაკებანი.

როგორც შენიშნულია, ძველი კავკასიური მამაკაცთა ქანდაკებებისათვის, მიუხედავად მათი მრავალი ვარიაციისა, დამახასიათებელია რამდენიმე საერთო ნიშანი; ეს ნიშნებია: ამ გამოსახულებათა მკვეთრი ითიფალობა და ცხოველთა ატრიბუტებით შემკობა¹⁰⁰. ეს ნიშნები სწორედ იმის მაუწყებელია, რომ ამ ქანდაკებებში ჩვენ ღვთაების გამოსახულებებთან უნდა გვქონდეს საქმე.

მამაკაც ღვთაებათა ფიგურებით მდიდარია ყაზბეგის განძი. ყაზბეგში აღმოჩენილი ქანდაკებები რამდენიმე ჯგუფად განიყოფება¹⁰¹. ჩვენ ყველა მათგანის აღწერას არ შევუძღვებით, არამედ შევეხებით ზოგიერთს.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ყაზბეგის ქანდაკების ის სამი ნიმუში, რომელზეც მამაკაცი ღვთაებანი ჩიხების რქებზე არიან ამხედრებულნი. ეს ქანდაკებანი უნდა წარმოგვიდგენდნენ ცხოველთა მფარველი ნაყოფიერების მამაკაც ღვთაებებს, რომლებიც გამოსახულნი არიან თავის უძველეს ზოომორფულ (ჩიხვი) განსახიერებასთან ერთად¹⁰².

ყაზბეგის განძის ამ ქანდაკებებს მტკიცედ უკავშირდება ყობანში აღმოჩენილი მამაკაცის ქანდაკება, რომელიც ორთაეიან ირემზეა ამხედრებული¹⁰³.

რომ ცხოველთა მფარველი ღვთაების მითოლოგიური სახის განვითარება ასტრალიზაციის გზით მიდის და სწორედ მთვარეს უკავშირდება, თავის დამტკიცებას პოულობს ყაზბეგის განძის რამდენიმე ნიმუშზე. ჩვენ მხედველო-

⁹⁸ Г. С. Ч и т а я, Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, ВЭК, 1955, стр. 102.

⁹⁹ ელ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

¹⁰⁰ რ. რ ა შ ი შ ე ი ლ ი, ბრინჯაოს ორი ქანდაკება ბუქინთოდან: მსკა 111, 1963, გვ. 135.

¹⁰¹ A. M. Tallgren, The Kasbeg Treasure, ESA, V, 1930; შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67—70; ლ. წ ი თ ლ ა ნ ა ძ ე, ყაზბეგის განძის ზოგიერთი საკითხისათვის, მსკა 111, 1963, გვ. 39—58.

¹⁰² ფ. ჰ ა ნ ჩ ა რ ი ს ა ზ რ ი თ, ჩიხვის რქებზე ამხედრებული მამაკაცის ითიფალური ქანდაკებანი უნდა გამოსახდნენ ფარის მფარველ ნაყოფიერების ღვთაებას, რომელმაც მამაკაცის ძალაუფლების ზრდის შედეგად, ამავე რიგის ქალღვთაების ადგილი დაიჭირა. იხ. F. Hančar, Ross und Reither..., გვ. 62—63.

აქად. შ. ამირანაშვილის აზრით, ეს ქანდაკებები დაკავშირებულია ოქახის კერისა და საჭველლო ქუჩის მფარველის კულტთან. მისა აზრით, ეს არის კვერთხით აღჭურვილი მკედლობისა და ხელოვნების მფარველი ღვთაება, რომელიც თეშუბის ერთ-ერთ სახეცეცილობას წარმოადგენს. იხ. შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ე ი ლ ი, უსახ. ნაშრომი, გვ. 68.

¹⁰³ როგორც ზეით დავინახეთ, გეომეტრიული ფიგურის ორივე მხარეს განლაგებული ცხოველების სიმეტრიული, პერალეოტრი კომპოზიცია როგორც თავისი ფორმით, ასევე შინაგანით უკავშირდება ცხოველთა მფარველი ქალღვთაების სახელს. ორმავე ცხოველებზე მამა-

ბაში გვაქვს მამაკაცის ითიფალური ქანდაკებანი, რომელთაც ხელში ნახევარ-მთვარის გამოსახულებანი უჭირავთ¹⁰⁴.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ ყანჩაეთში აღმოჩენილი ნამგალა მთვარისებრი ბრინჯაოს ქვირული ფირფიტა, რომლის ცენტრში გამოსახულია მამაკაცის ითიფალური ქანდაკება¹⁰⁵.

დიდ ინტერესს იწვევს, აგრეთვე, საქართველოში აღმოჩენილი მხედრების ქანდაკებანი. ცხენოსნის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ქანდაკება ცნობილია ყობანიდან. ეს არის ყობანური ქინძისთავი, რომელიც წარმოგვიდგენს ორ-ფერდა სახურავიან სახლზე მდგარ მხედარს. საყურადღებოა, აგრეთვე, აფხაზეთში აღმოჩენილი მხედრის ქანდაკება, რომელსაც ბ. კუფტინი ყაზბეგის განძის სინქრონულად მიიჩნევს¹⁰⁶.

ყაზბეგის განძის მრავალრიცხოვანი ძეგლები შეიცავენ ერთ მეტად საინტერესო ნიმუშს, რომელზედაც მხედრის ქანდაკება ჩიხვის რქებზეა მოთავსებული¹⁰⁷. ნიშანდობლივია ისიც, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ ცნობილ ახალგორსა და ყანჩაეთში აღმოჩენილ შტანდარტებზე ჩვენ ვხედავთ ევრაჰის რქებზე აღმართულ ცხენოსნებს, როგლებიც მთვარის ღვთაების გამო-სახულებებს წარმოადგენდნენ. ამ ღვთაების ნაყოფიერების ფუნქციაზე უნდა მიუთითებდეს ევრაჰის რქების შვერილები, რომლებიც ფალოსების გამოსახულებად არის მიჩნეული¹⁰⁸.

მხედრის ჯიხვის რქებზე მოთავსება, ჩვენი აზრით, უძველესი რელიგიური და მითოლოგიური წარმოდგენების გამოძახილი უნდა იყოს. ცხადია, რომ ცხენზე ამხედრებული მთვარის ღვთაების სახეში ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერ მოქმედებენ უფრო ძველი, ცხოველური კულტები. ასევე, მთვარის ღვთაებთან იკონოგრაფია მინიშნებულია და არ არის განთავისუფლებული ძველი წარმოდგენებისაგან.

ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ბრინჯაოს ქართულ ბალთაზე გამოსახული მხედარი წარმოგვიდგენს ქართული ასტრალური პანთეონის ერთ-ერთ ძირითად წევრს, მთვარის ღვთაებას, რომელსაც ქრისტიანულ ხანაში წმ. გიორგის ძლიერი კულტი შეენაცვლა.

* * *

ამგვარად, როგორც დავინახეთ, ბრინჯაოს ქართული ბალთები თავისი შინაარსით მტკიცედ უკავშირდებიან და ასახავენ ბუნების ღედის კულტთან დაკავშირებულ მითოლოგიურ კომპლექსს.

თვით ქართული ბუნების დიდი ღედა, ცხოველთა მფარველი ნაყოფიერების ქალღმერთი, დიდ მსგავსებას იჩენს მთელს სამყაროში ფართოდ გავრცელებულ ამ რიგის ღვთაებებთან. ბაბილონური იშტარი, ფინიკიელთა ას-

კაცი ღვთაების მოთავსება შესაძლებელია მიუთითებს ამ ღვთაებებისა და მათი არტიპეტების მეკვიდრობით ცვალებადობას. თხების ორ თავს შორის მდგარ აღამიანთა ხელაყრობილი ფიგურები გამოსახულია, აგრეთვე, ყანჩაეთში აღმოჩენილ შტანდარტზე — იხ. ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. IV—10.

¹⁰⁴ ლ. წ ი თ ლ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40

¹⁰⁵ ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. IV, 2.

¹⁰⁶ Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, I, стр. 243, илосбр. 45.

¹⁰⁷ ლ. წ ი თ ლ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. IV—2.

¹⁰⁸ ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45—46.

ტარტა, ფრიგიული კიბელა, ბერძნული არტემიდე-პეკატა, ლურისტანული და ქართული ქალღვთაებები, ერთმანეთისაგან მხოლოდ სახელწოდებით განსხვავდებიან, ფაქტიურად კი ერთი შინაარსის მატარებელნი ჩანან. თავის საფუძველშივე ყველა ესენი უკავშირდებიან სინკრეტულ ღვთაებას, ბუნებას დიდ დედას, რომელმაც რელიგიური პანთეონის გართულების შედეგად თავისი ფუნქციები სხვადასხვა ქალღმერთებს გადასცა და მათში ჰპოვა თავისი განხორციელება¹⁰⁹.

ბრინჯაოს ქართულ ბალთებზე ასახულ მითოლოგიურ კომპლექსში ცხოველთა მფარველ ნაყოფიერების ღვთაებასთან დაკავშირებული ცხოველები, უკვე გვიანდელსა და, ამდენად, ბევრად უფრო გართულებულ გააზრებაშია წარმოდგენილი. ხოლო თვით ქალღვთაების მითოლოგიური სახე დაკავშირებული ჩანს ასტრალურ კულტებთან.

მაგრამ საფიქრებელია, რომ ბრინჯაოს ქართულ ბალთებზე აღნიშნულ სიუჟეტს დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და იგი მხატვრული სტილიზაციის ელემენტად არის ქცეული. ფიგურათა სტილიზაცია იმ საფეხურზეა აყვანილი, როცა ის წმინდა დეკორატიულ ფუნქციას ასრულებს. მთავარი ყურადღება ორნამენტის დეკორატიულ მხარეს ექცევა. ეს ამოცანა კი გვიანანტიკური ხანის ქართულ ხელოვნებაში ბრწყინვალედ არის გადაწყვეტილი.

ბრინჯაოს ბალთების ანალოზი საშუალებას ვვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ საქართველოში ელინისტურსა და გვიანანტიკურ ხანაში არსებობდა ნაკადი, არსებობდა ძეგლების გარკვეული ჯგუფი, რომელსაც არც სტილისტურად, არც თემატიკურად არ განუცდია ელინური წარმოშობის ხელოვნების გავლენა, რომელიც აღმოცენდა ადგილობრივ ნიადაგზე¹¹⁰ და უკავშირდებოდა ქართულ ხალხურ იდეოლოგიურ წარმოდგენებს. ქართული მასალა, სადაც ეს შეხედულებანი წარმოდგენილია არა მხოლოდ არქეოლოგიურ ძეგლებზე, არამედ დატულია ცოცხალ ყოფაში, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მონაცემების კომპლექსებში, ცხადყოფს ქართული კულტურის უღრმეს ფესვებს.

¹⁰⁹ ძველ სამყაროში გავრცელებული ქალღმერთებისაგან განსხვავებით, ქართული ცხოველთა მფარველი ნაყოფიერების ღვთაება არ გადაქცეულა ქალღმერთად, რადგან, როგორც ზევით უკვე იყო აღნიშნული, მის გვერდით ძალიან ადრე ჩნდება მამაკაცი ღვთაება, რომელიც ითვისებს ქალღვთაების ფუნქციებს და თანდათან ჩრდილავს მას.

¹¹⁰ შტრ. გ. ლ მ თ ა თ ი ძ ე, კლდეურის სამაროვანი, 1957, გვ. 185 -- 186.

ქ ა ტ ა ლ ო გ ი

ბალთების პირველი ჯგუფი

I კვეჯგუფი

ბ ა ლ თ ა № 1

დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ინვენტარის № 2174. ბალთის ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. ჩარჩოს კუთხეებში მოთავსებულია დაბალი მასიური კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ირმის თავი, ბალთის ზომა 9,5×9, ჩარჩო 1,5 სმ. ბალთა კარგად არის შენახული, აღმოჩენილია აფხაზეთში.

ბ ა ლ თ ა № 2

დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ინვ. № 3665. ბალთის ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ირმის თავი. ბალთის ზომა 9,5×9. ჩარჩო 1,5 სმ. ბალთა აღმოჩენილია კახეთში, სოფ. ნინოწმინდაში.

ბ ა ლ თ ა № 3

დაცულია სახელმწიფო ერმიტაჟში. ინვ. № K3 5328. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი, მასიური კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ირმის თავი. ბალთის ზომა 9,6×8,4, ჩარჩო 1,5 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. აღმოჩენის ადგილი უცნობია.

ბ ა ლ თ ა № 4

დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში. კოლექციის ნომერი № 78939. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი, მასიური კოპები. ჩარჩოში ჩასმულია ორფიგურიანი კომპოზიცია. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ირმის თავი. ბალთის ზომა 8,5×8. ჩარჩო 1,5 სმ. აღმოჩენის ადგილი უცნობია. ბალთა შესყიდულია გუზეუმის მიერ 1937 წ. კერძო პირისაგან. კარგად არის შენახული. დაფარულია მომწვანო პატინით.

ბ ა ლ თ ა № 5

დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში. ინვენტარის ნომერი 54 06/5. ჩარჩო შედგება წნული ორნამენტისაგან. კუთხეებში მოთავსებულია

დაბალი კოპები. ჩარჩოში ჩასმულია ორფიგურიანი კომპოზიცია. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ირმის თავი. ბალთის ზომა $10 \times 9,5$, ჩარჩო $1,5$ სმ. აღმოჩენილია შორაპნის მახლობლად. სოფ. კილვანში, ბალთა კარგად არის შენახული.

ბ ა ლ თ ა № 6

დაცულია საჩხერის რ-ნის სოფ. სპეთის სასკოლო მუზეუმში. ბალთის ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი, მასიური კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ირმის თავი. ბალთის ზომა $9 \times 8,5$, ჩარჩო 1 სმ. ოდნავ დაზიანებულია ბალთის ჩარჩო. ბალთა დაფარულია პატინით. აღმოჩენილია შემთხვევით სოფ. სპეთაში.

ბ ა ლ თ ა № 7

დაცულია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ირმის თავი. ბალთა კარგად არის შენახული. აღმოჩენილია 1939 წ. რაქის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ბრილში, სამარხეულ კომპლექსში.

II მ ა მ ა რ ე ბ ე რ ე ბ ა

ბ ა ლ თ ა № 8

დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ინვ. № 9—12 : 1.

ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. ჩარჩოში ჩასმულია ორელებენტანი კომპოზიცია. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ფრინველი. ბალთის ზომა $10 \times 9,5$, ჩარჩო 1 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. აღმოჩენის ადგილი უცნობია. გამოქვეყნებულია. იხ. ი. ქოროძე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რაიონი). ტაბ. XII, სურ. 2.

ბ ა ლ თ ა № 9

დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში. კოლექციის № 78939, ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ფრინველი. ბალთის ზომა $10 \times 9,5$, ჩარჩო 1 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. აღმოჩენის ადგილი უცნობია.

ბ ა ლ თ ა № 10

დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში. ინვ. № 5508. ჩარჩო შედგება წნული ორნამენტისაგან. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ფრინველი. ბალთის ზომა $10 \times 9,5$, ჩარჩო 1 სმ. ბალთა ოდნავ დაზიანებულია. მოტეხილია ირმის რქები. აღმოჩენილია ჭრუჭის მონასტერში, შემთხვევით.

ბ ა ლ თ ა № 11

დაცულია საჩხერის რ-ნის სოფ. ქორეთის სასკოლო მუზეუმში. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოკები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ფრინველი, ბალთას ზომა $9,9 \times 9$, ჩარჩო 1 სმ. ბალთა დაზიანებულია. მას მოტეხილი აქვს მარცხენა ქვედა კუთხე. ბალთა აღმოჩენილია საჩხერის რ-ნში. გამოქვეყნებულია, იხ. ი. ქორიძის დასახ. ნაშრომი, ტაბ. XII, სურ. 1.

ბ ა ლ თ ა № 12

დაცულია საჩხერის რ-ნ სოფ. ქორეთის საშუალო სკოლის მუზეუმში. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოკები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ფრინველი, ბალთის ზომა $9,5 \times 8,5$, ჩარჩო 1 სმ. ბალთა დაზიანებულია. მოტეხილია ფრინველის გამოსახულება. აღმოჩენილია საჩხერის რ-ნის სოფ. მღვიმევში.

ბ ა ლ თ ა № 13

დაცულია საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში. ინვ. № 2165. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. ჩარჩოს კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოკები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ფრინველი. ირემს მკერდსა და გავაზე მოუყვება გრეხილი მოსართავი. ბალთის ზომა $11 \times 10,5$, ჩარჩო 1 სმ. აღმოჩენის ადგილი უცნობია. ბალთა კარგად არის შენახული.

ბ ა ლ თ ა № 14

დაცულია საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში. ინვ. № 2165. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. ჩარჩოს კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოკები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ფრინველი. ბალთის ზომა $10 \times 9,5$, ჩარჩო 1 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. აღმოჩენის ადგილი უცნობია.

ბ ა ლ თ ა № 15

დაცულია სახელმწიფო ერმიტაჟში, ინვ. № Кз 5209. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის მასიური კოკები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ფრინველი. ზომა $8,4 \times 7,8$, ჩარჩო 1 სმ. ბალთა კარგად არის დაცული. შესყიდულია ვლადიკავკავში კოლექციონერ ბობრინსკის მიერ.

ბ ა ლ თ ა № 16

დაცულია სახელმწიფო ერმიტაჟში. ინვენტარის № Кз 5341, ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია მასიური კოკები, A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ფრინველი. ზომა $8,3 \times 7,5$, ჩარჩო 1 სმ. ბალთა კარგად არის შენახული, აღმოჩენის ადგილი უცნობია.

ბ ა ლ თ ა № 17

დაცულია საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში. ინვენტ. № 1273. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ფრინველი. ბალთის ზომა $10 \times 9,5$, ჩარჩო 1 სმ. ბალთა დაზიანებულია. მას მოტეხილი აქვს მარცხნივ მდებარე ქვედა კუთხე. აღმოჩენილია ჭიკაძურის რნის სოფ. კაცხში. ბალთა გამოქვეყნებულია. იხ. შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, ტაბ. 19—1.

ბ ა ლ თ ა № 18

დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ინვენტარის № 4—38:1. ბალთის ჩარჩო შედგება წნული ორნამენტისაგან. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი. D ფრინველი. ბალთის ზომა $10 \times 9,5$, ჩარჩო 1 სმ.

ბალთა კარგად არის შენახული. დაფარულია პატინით. აღმოჩენილია იმერეთში, შემთხვევით, მიწის თხრის დროს. გამოქვეყნებულია. იხ. დ. ქ ო რ ი ძ ი ს დასახ. ნაშრომი. ტაბ. XII, სურ. 3.

ბ ა ლ თ ა № 19

დაცულია ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ინვენ. № 3211. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში განლაგებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ფრინველი. ბალთის ზომა 10×9 , ჩარჩო 1 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. აღმოჩენილია ზემო რაქაში, სოფ. ონქევში.

ბ ა ლ თ ა № 20

დაცულია ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ინვენტარის № 22, ბალთის ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ფრინველი. ბალთის ზომა $8 \times 7,5$, ჩარჩო 1 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. იგი შემთხვევით არის აღმოჩენილი ზემო რაქაში.

ბ ა ლ თ ა № 21

დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ინვენ. № 66—09:70. ბალთის ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი. D ფრინველი. ბალთა კარგად არის შენახული. აღმოჩენილია შემთხვევით მ.ნგლისის მახლობლად. ბალთა გამოქვეყნებულია. იხ. ი. ქ ო რ ი ძ ი ს დასახ. ნაშრომი, ტაბ. XII—4. არქეოლოგიური მასალების კატალოგი ტ. II, 1955, ტაბ. X—2. Б. А. Куфтин, Трналетн, стр. 27, Рис. 29 а.

ბ ა ლ თ ა № 22

დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, ინვ. № 611. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური თავ-

მობრუნებული ირემი, D ჭრინველი, ბალთის ზომა 10,5×10, ჩარჩო 1 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. აღმოჩენილია შემთხვევით საჩხერის რ-ნის სოფ. დარყაში.

ბ ა ლ თ ა № 23

დაცულია ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ინვ. № $\frac{896}{759}$.

ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ფრინველი. ბალთის ზომა 8,5×8, ჩარჩო 1 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. აღმოჩენილია ცხინვალის რ-ნის სოფ. ურსდზუარში. გამოქვეყნებულია. იხ. 5. В. Т е х о в, О н ажурных поясах, ...СА № 4, 1969, стр. 54, рис. 3—2.

ბ ა ლ თ ა № 24

დაცულია ივ. ჭავჭავიძეის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ფრინველი, ბალთა კარგად არის შენახული. აღმოჩენილია რაჰის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, 1939 წ. ბრილში, სამარხულ კომპლექსში.

ბ ა ლ თ ა № 25

დაცულია ივ. ჭავჭავიძეის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ფრინველი. ბალთა კარგად არის შენახული. აღმოჩენილია რაჰის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, 1959 წ. ბრილში, სამარხულ კომპლექსში.

ბ ა ლ თ ა № 26

დაცულია ივ. ჭავჭავიძეის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ბალთის ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ფრინველი. ბალთა კარგად არის შენახული. იგი აღმოჩენილია რაჰის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ბრილში; 1939 წ. ბალთა გამოქვეყნებულია. იხ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, ტაბ. L 3.

ბ ა ლ თ ა № 27

დაცულია ივ. ჭავჭავიძეის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. მისი ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ფრინველი. ბალთა კარგად არის შენახული. იგი აღმოჩენილია 1939 წ. რაჰის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ბრილში.

ბ ა ლ თ ა № 28

დაცულია ივ. ჭავჭავიძეის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი.

D ფრინელი. კარგად არის შენახული, იგი აღმოჩენილია რაქის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ბრილში.

III ძველები

ბ ა ლ თ ა № 29

დაცულია საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში, ინვ. № 2180. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კონუსის კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ძაღლი. ბალთის ზომა $10,5 \times 10$. ჩარჩო $1,5$ სმ. კარგად არის შენახული. ბალთა აღმოჩენილია აფხაზეთში.

ბ ა ლ თ ა № 30

დაცულია საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში ინვ. № 2176. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ძაღლი, ბალთის ზომა $10,5 \times 10$, ჩარჩო $1,5$ სმ. ბალთა კარგად არის შენახული. იგი აღმოჩენილია აფხაზეთში.

ბ ა ლ თ ა № 31

დაცულია საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში. ინვ. № 2179. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი. D ძაღლი. ბალთის ზომა $10,5 \times 10$, ჩარჩო $1,5$ სმ. ბალთა კარგად არის შენახული. იგი აღმოჩენილია აფხაზეთში.

ბ ა ლ თ ა № 32

დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. ინვ. № 54. ჩარჩო შედგება წნული ორნამენტისაგან. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ძაღლი. ბალთის ზომა $10 \times 9,5$, ჩარჩო 1 სმ. ბალთა დაზიანებულია. მას მოტეხილი აქვს მარცხენა კიდე. დაფარულია მწვანე პატინით. აღმოჩენილია ზემორაქის სოფ. ჭიარას ეკლესიაში.

ბ ა ლ თ ა № 33

დაცულია კიევის ისტორიულ მუზეუმში. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი. D ძაღლი. ბალთა კარგადაა დაცული. გამოქვეყნებულია. იხ. МАК, VIII, გვ. 350, სურ 276, Б. Н. и Б. Н. Ханенко, Древности Приднепровья, Вып. II, Киев, 1899, табл. XIV, 261.

ბ ა ლ თ ა № 34

ეს ეგზემპლარი საქართველოში შეუძენია ფრანგ კოლექციონერს კ. ანეს, ცნახება მის კერძო კოლექციაში, ქ. პარიზში. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. A ფანტასტიკური თავმობრუნებული ირემი, D ძაღლი.

ბალთა აღმოჩენილია რიონის ხეობაში. გამოქვეყნებულია. იხ. А. Миллер, Изображение собаки... ИРАИМК, II 1922, ტაბ. XXV_{II}—2.

ბ ა ლ თ ა № 35

ფრაგმენტი. ინახება ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში. ინვ. № 5406/6. შერჩენილია მხოლოდ თავმობრუნებული ირმის სხეულის ნაწილი. აღმოჩენილია შორაპნის მახლობლად სოფ. კილოვანში.

ბალთის მძიმე ჯგუფი

I ქვეჯგუფი

ბ ა ლ თ ა № 36

დატულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ინვენტარის № 2175. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ირმის თავი, D ფრინველი, C ძაღლი. ბალთის ზომა 10,2×9,3, ჩარჩო 1 სმ. ბალთა კარგად არის შენახული, აღმოჩენილია აფხაზეთში.

ბ ა ლ თ ა № 37

დატულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში. ინვენტარის № 78939. ჩარჩო შედგება წნული ორნამენტისაგან. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ირმის თავი, C ძაღლი, D ფრინველი. ბალთის ზომა 10,5×9,6, ჩარჩო 1 სმ. კარგად არის შენახული. აღმოჩენის ადგილი უცნობია.

ბ ა ლ თ ა № 38

დატულია ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ინვენტარის № 1797/302. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ირმის თავი, C ძაღლი, D ფრინველი. ბალთის ზომა 10,3×9,5, ჩარჩო 1 სმ. დაზიანებულია, მოტეხილი აქვს მარჯვენა ქვედა კუთხე და ჩარჩოს ნაწილი დაფარულია შავი პატინით. აღმოჩენილია შემთხვევით ცხინვალის რ. სოფ. თუჯარაში. ბალთა გამოქვეყნებულია, იხ. Б. В. Техов, Об ажурных поясных..., стр. 54, рис. 3—I.

ბ ა ლ თ ა № 39

შეუძენია ფრანგ კოლექციონერ კ. ანეს. ინახება მის კერძო კოლექციაში ქ. პარიზში. ჩარჩო შედგება წნული ორნამენტისაგან. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ირმის თავი, C ძაღლი, D ფრინველი. აღმოჩენილია შემთხვევით მდ. რიონის ხეობაში. გამოქვეყნებულია. იხ. ა. შ ი ლ ე რ ი ს დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXIX, სურ. 1.

ბ ა ლ თ ა № 40

დატულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში. ინვენტარის № 5424/2. ჩარჩო შედგება წნული ორნამენტისაგან. კუთხეებში მოთავსებულია

დაბალი განიერი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ირმის თავი, C ძაღლი, D ფრინველი. ბალთის ზომა 9.2×8 , ჩარჩო 1 სმ. გატეხილია შუაზე. აღმოჩენილია ონის რ-ნის სოფ. ლების მთავარანგელოზის ეკლესიაში.

ბ ა ლ თ ა № 41

ინახება ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში. ინვენტარის № 5447, ჩარჩო შედგება წნული ორნამენტისაგან. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ირმის თავი, C ძაღლი, D ფრინველი, ბალთას ზომა $19,3 \times 9,5$, ჩარჩო 1 სმ. კარგად არის შენახული. იგი შემთხვევით არის ნაპოვნი ონში.

ბ ა ლ თ ა № 42

ინახება ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში. ინვენტარის № 5506. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ირმის თავი, C ძაღლი, D ფრინველი. ბალთის ზომა $10 \times 9,5$, ჩარჩო 1 სმ. კარგად არის შენახული. მუზეუმში შემოვიდა სოფ. ფუტიეთის ეკლესიიდან.

ბ ა ლ თ ა № 43

ინახება საქართველოს სსრ სახალხო მსატერის დავით კაკაბაძის კერძო კოლექციაში. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ირმის თავი, C ძაღლი, D ფრინველი. ბალთის ზომა 10.5×9 . ჩარჩო 1 სმ. კარგად არის შენახული. აღმოჩენის ადგილი უცნობია.

ბ ა ლ თ ა № 44

დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ინვენტარის № A 64. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ირმის თავი, C ძაღლი, D ფრინველი. ბალთის ზომა $10,5 \times 10$. ჩარჩო 1 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. აღმოჩენილია ხევსურეთში (მუზეუმის საინვენტარო წიგნში ეს ცნობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რაც მას ეჭვის ქვეშ აყენებს).

ბ ა ლ თ ა № 45

დაცულია ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ირმის თავი, C ძაღლი, D ფრინველი. კარგად არის შენახული. აღმოჩენილია რაჭის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ბრილში, გამოქვეყნებულია. იხ. გ. გ. ო. ბ. ჯ. ო. შვილიძის დასახ. ნაშრომი. ტაბ. XIX-2.

ბ ა ლ თ ა № 46

დაცულია ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ირმის თავი,

C ძალლი, D ორმის თავი. დაზიანებულია ბალთის მარცხენა ზედა კუთხე. აღმოჩენილია 1939 წ. რაკის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ბრილში.

II ქვეჯგუფი

ბ ა ლ თ ა № 47

დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ინვენტარის № 2178. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძალლი, C ფრინველი, D თევზი. ბალთის ზომა $9,5 \times 9$, ჩარჩო 1,5 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. მხოლოდ ჩარჩოზე ნაწილობრივ წაშლილია ორნამენტი. აღმოჩენილია აფხაზეთში.

ბ ა ლ თ ა № 48

დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში. ინვენტარის № 41865, ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძალლი, C ფრინველი, D თევზი. ბალთის ზომა 12×11 , ჩარჩო 1,5 სმ. კარგად არის შენახული. იგი შესყიდულია თბილისში.

ბ ა ლ თ ა № 49

დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. ინვენტარის № 611. ჩარჩო შედგება დუგმისებური ორნამენტისაგან. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძალლი, C ძალლი, D თევზი. ბალთის ზომა $11,5 \times 11$. ჩარჩო 1,6 სმ. დაზიანებულია ცენტრალური ცხოველის მკერდი. დაფარულია მწვანე პატინით. ბალთა აღმოჩენილია საჩხერის რ-ნის სოფ. დარყაში.

ბ ა ლ თ ა № 50

დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში. ინვენტარის № 5507. ჩარჩო შედგება სპირალური ორნამენტის ორი რიგისაგან. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძალლი, C ძალლი, D თევზი. ბალთის ზომა 12×11 , ჩარჩო 1 სმ. კარგად არის შენახული. აღმოჩენილია ხარაგაულის რ-ნის სოფ. ღორეშაში.

ბ ა ლ თ ა № 51

დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ინვენტარის № 8977. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძალლი, C ფრინველი, D თევზი. ზომა $11 \times 10,5$, ჩარჩო 1 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. აღმოჩენის ადგილი უცნობია.

ბ ა ლ თ ა № 52

დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში. ინვენტარის № 5502/1. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძალლი, C ძალლი, D თევზი. ბალთის

ზომა $11,3 \times 10,5$, ჩარჩო 2 სმ. დაზიანებულია ბალთის ჩარჩო. ბალთა ნაპოვნია ხარაგოულის რ-ნის სოფ. გომის წმინდა გიორგის ეკლესიაში.

ბ ა ლ თ ა № 53

ინახება კოლექციონერ კ. ანეს კერძო კოლექციაში ქ. პარცხში. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. A ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, C ძაღლი, D თევზი. ბალთა აღმოჩენილია რიონის ხეობაში. გამოქვეყნებულია იხ. ა. მიღერის დასახ. ნაშრ., ტაბ. XXIX — 2.

IV კვირეული

ბ ა ლ თ ა № 54

დატულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ინვენტარის № 2171. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. ჩარჩოს კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, D ძაღლი. C გველი, ბალთის ზომა $11 \times 10,3$, ჩარჩო 1,5 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. იგი აღმოჩენილია აფხაზეთში.

ბ ა ლ თ ა № 55

დატულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ინვენტარის № 2172. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, D ძაღლი. C გველი. ზომა $11 \times 10,3$, ჩარჩო 1,5 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. აღმოჩენილია აფხაზეთში.

ბ ა ლ თ ა № 56

დატულია სახელმწიფო ერმიტაჟში. ინვენტარის № Kz 5327. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, D ძაღლი, C გველი. ზომა $10,7 \times 11$, ჩარჩო 1,5 სმ. ბალთა კარგად არის შენახული, აღმოჩენის ადგილი უცნობია.

ბ ა ლ თ ა № 57

ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, D ფრინველი, C გველი. ზომა $8,9 \times 8,2$, ჩარჩო 1,5 სმ. ბალთა დაზიანებულია. მოტეხილი აქვს მარცხენა ზედა კუთხე. ბალთა აღმოჩენილია შემთხვევით, მდ. ძამის ხეობაში, ქარელის რაიონის სუქანანთ უბანში, სამარხეულ კომპლექსში.

ბ ა ლ თ ა № 58

დატულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ინვენტარის № 195. ჩარჩო შედგება სპირალური ორნამენტისაგან. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, D ძაღლი C გველი, ზომა $10,8 \times 8,2$, ჩარჩო 1,5 სმ. კარგად არის შენახული. აღმოჩენილია სადგურ წიფასთან, 1912 წ.

ბ ა ლ თ ა № 59

დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში. ინვენტარის № 78939. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A — ფანტასტიკური ირემი, B — ძაღლი, D — ძაღლი, C — გველი, კარგად არის შენახული. აღმოჩენის ადგილი უცნობია.

ბ ა ლ თ ა № 60

დაცულია ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ინვენტარის № 3442. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კონუსები. A — ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, D — ძაღლი, C — გველი. ზომა 11×10 , ჩარჩო 1,5 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. აღმოჩენილია ზემო რაჭაში.

ბ ა ლ თ ა № 61

დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში. ინვენტარის № 5406/4. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, D ძაღლი, C გველი. ბალთის ზომა $12,5 \times 11,3$, ჩარჩო 2 სმ. კარგად არის შენახული. შემთხვევით არის აღმოჩენილი ზესტაფონის რ-ნის სოფ. კილოვანში.

ბ ა ლ თ ა № 62

დაცულია საჩხერის რ-ნის სოფ. სპეთის საშუალო სკოლის მუზეუმში. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, D ძაღლი, C გველი. ბალთის ზომა $10,5 \times 9,8$, ჩარჩო 2 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. შემთხვევით არის აღმოჩენილი სოფ. სპეთაში.

ბ ა ლ თ ა № 63

დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. ინვენტარის № 611. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, D ძაღლი, C გველი. ბალთის ზომა $12 \times 11,5$, ჩარჩო 1,5 სმ. ბალთა დაზიანებულია. მას მოტეხილი აქვს მარჯვენა ქვედა კუთხე. იგი დაფარულია მწვანე პატინით. შემთხვევათაა აღმოჩენილი საჩხერის რ. სოფ. დარჯაში.

ბ ა ლ თ ა № 64

დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ინვენტარის № 01, № 4. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით, კუთხეებში მოთავსებულია კონუსის ფორმის კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, D ფრინველი, C გველი. ზომა $11 \times 10,5$, ჩარჩო 1 სმ. ბალთა კარგადაა შენახული. აღმოჩენის ადგილი უცნობია.

ბ ა ლ თ ა № 65

დაცულია სახელმწიფო ერმიტაჟში. ინვენტარის № Kz 3318. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია კონუსის 7. მ. ხიდაშელი

ფორმის კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ადგილა დაზიანებულია. D ფრინველი, C გველი, ბალთის ზომა — $11 \times 10,5$, ჩარჩო 1 სმ. ბალთა დაზიანებულია — მარცხენა ზედა კუთხე მოტეხილი აქვს. აღმოჩენილია ჩრ. ოსეთის სოფ. კამუნათში.

ბ ა ლ თ ა № 66

დაცულია ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ფრინველი, D ფრინველი, C გველი. ბალთა კარგად არის შენახული. აღმოჩენილია რაქის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ.

ბ ა ლ თ ა № 67.

ეკუთვნის არქეოლოგ თემო ბერიძეს. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით, კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი. B ძაღლი, D ფრინველი. C ორმხრივ დახვეული სპირალი, ზომა $8,5 \times 8$, ჩარჩო 1 სმ. ოდნავ დაზიანებულია ბალთის ჩარჩო. ბალთა აღმოჩენილია შემთხვევით, დიღომში.

ბ ა ლ თ ა № 68.

დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ინვენტარის № 5—47:1. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, D ფრინველი, C ორმხრივ დახვეული სპირალი. ბალთის ზომა $9,5 \times 9$, ჩარჩო 1 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. აღმოჩენილია წალკის რაიონში.

ბ ა ლ თ ა № 69

დაცულია საქართველოს სსრ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. ინვენტარის № 416. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, D ფრინველი, C ორმხრივ დახვეული სპირალი. ბალთის ზომა $10,5 \times 10$, ჩარჩო 1,5 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. აღმოჩენილია ზემო სევანეთის სოფ. ნესეგუმში.

ბ ა ლ თ ა 70

დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში. ინვენტარის № 7351. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, D ფრინველი, C ორმხრივ დახვეული სპირალი. ზომა $9,5 \times 9$, ჩარჩო 1,4 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. დაფარულია მწვანე პატინით. აღმოჩენილია საჩხერის რ. სოფ. სხვიტორში.

ბ ა ლ თ ა № 71

ეკუთვნის ისტორიკოს ჭუმბერ ოდიშელს. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, D ძაღლი, C ორმხრივ დახვეული სპირალი. ზომა $10,5 \times 10$, ჩარჩო 1,8 სმ. ბალთა ოდნავ დაზიანებულია. დაფარულია მწვანე პატინით. აღმოჩენილია შემთხვევით. კიათურის რ. სოფ. ცხრუკვეთში.

ბ ა ლ თ ა № 72

დაცულია ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმში. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ფრინველი, C გამოხატულია ორმხრივ დახვეული სპირალი. D ორმხრივ დახვეული სპირალი. ბალთის ეს ეგზემპლარი საქართველოში შეუძენია ფრანგ კოლექციონერს კ. ანეს. ეს ბალთა, ზოგიერთ სხვა ძეგლთან ერთად მას გადაუცია მეტროპოლიტენის მუზეუმისათვის. ბალთის ფოტო გამოქვეყნებულია. იხ. D. Carter, *The Symbol...* გვ. 124. ტაბ. 32—C.

IV ქვეჯგუფი

ბ ა ლ თ ა № 73.

დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ინვენტარის № 66—08: 69. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძალღი, C ფრინველი, D ფრინველი. ზომა 9,5, ჩარჩო 1 სმ. ბალთა აღმოჩენილია მანგლისში. იგი კარგად არის შენახული. ბალთა გამოქვეყნებულია. იხ. დ. ქო რ ი ძ ი ს და სახ. ნაშრომი, ტაბ. XIII—2, აგრეთვე არქეოლოგიური მასალების კატალოგი ტ. II, 1955, ტაბ. X—2, Б. Куфтин, Триалети, გვ. 27. ნახ. 29.

ბ ა ლ თ ა № 74

ბალთა დაცულია სახელმწიფო ერმიტაჟში. ინვენტარის № Кз 7644, ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძალღი, C ფრინველი, D ფრინველი. ზომა 10,7, ჩარჩო 2 სმ. აღმოჩენის ადგილი უცნობია.

ბ ა ლ თ ა № 75

დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში. ინვენტარის № 5502/2. ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძალღი, C ფრინველი, D ფრინველი. ზომა 10,5×10, ჩარჩო 1,5 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. დაფარულია მწვანე პატინით. აღმოჩენის ადგილი უცნობია.

ბ ა ლ თ ა № 76

დაცულია ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ინვენტარის № ДП 1703 : 3, ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძალღი, C ფრინველი, D ფრინველი. ზომა 10,3×10, ჩარჩო 1 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. დაფარულია მწვანე პატინით. აღმოჩენილია შემთხვევით ქ. ცხინვალში. ბალთა გამოქვეყნებულია. იხ. Б. В. Т е х о в, Об ажурных поясных пряжках из Юго Осетии, СА, № 4, 1969, стр. 53, Рис. 2—7.

ბ ა ლ თ ა № 77

დაცულია ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ინვენტარის № ДП 897/780 ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, C ფრინველი, D ფრინველი. ზომა 10,3×9,2, ჩარჩო 1 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. დაფარულია მწვანე პატინით. აღმოჩენილია 1926 წ. ვ. პილინას მიერ სოხტას სამაროვნებზე ჩატარებულ არქეოლოგიური გათხრების შედეგად (სამარხი № 2). ბალთა გამოქვეყნებულია Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная..., таб. III—2; Б. В. Техов, დასახ. ნაშრ. გვ. 53, სურ. 2—6.

ბ ა ლ თ ა № 78

დაცულია ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ინვენტარის № ДП 758 ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, C ფრინველი, D ფრინველი. ზომა 10,5×10,1, ჩარჩო 1,5 სმ. ბალთა დაზიანებულია. მას მოტეხილი აქვს მარცხენა ქვედა კუთხე. დაფარულია მწვანე პატინით. აღმოჩენის ადგილი უცნობია.

ბ ა ლ თ ა 79

ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ჩარჩო შესრულებულია სპირალური ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. A ფანტასტიკური ირემი, B ძაღლი, C ფრინველი, D ფრინველი, ზომა 9×8,6, ჩარჩო 1,3 სმ. ბალთა კარგად არის შენახული. დაფარულია მწვანე პატინით. შემთხვევით არის აღმოჩენილი კიათურის რაიონის სოფ. თაბაგრებში.

ბ ა ლ თ ა № 80

